



ციბეჩანი

№ 79 / 6-12 ივნისი / 2011

ორი აზრი: პარლამენტი ქუთაისში გვ. 06

გერმანიის მწვანე მომავალი გვ. 08

გაღაფის ეპოქის დასასრული გვ. 12

დედაქალაქი N2 გვ. 27

შეზღუდული ლუსტრაცია გვ. 30

ვირთხა სუპერმარკეტში გვ. 39

ვის სჭირდება საზოგადოებრივი აზრი დღეს? გვ. 42

Ad Hominem არგუმენტები გვ. 44

სოციალური გვ. 50

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528



დაჯახბუდების ჩისსვი ხვდავ უსნობია

გვ. 14-26

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0



UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0

IB

VB

TBII

TBI

UTB

98.0



სტალინის ბარელიეფი ორთაჭალაშესზე, თბილისი, 1 ივნისი 2011

ფოტო: მარია ქორიანიძე

ნომერი:

- 02 „ლიბერალის“ ვებგვერდიდან
- 04 მოკლედ
- 06 **ორი აზრი**
პარლამენტის ქუთაისში გადატანა ხელს შეუწყობს ხელისუფლების დეცენტრალიზაციას თუ შეამცირებს პარლამენტის უფლებამოსილებას?
გია ხუროშვილი VS გიორგი ახვლედიანი
- მსოფლიო**
- 08 გერმანიის მწვანე მომავალი
- 10 **ბალკანეთი**
მლადიჩი ევროპული კეთილგანწყობის სანაცვლოდ

- კონფლიქტები**
- 12 ბალაფშის ეპოქის დასასრული
მთავარი თემა
- 14 დაკარგულები
- 18 რამ იმსხვერპლა ნიკა კვინტრაძე?
- 21 ბადრი ბიწაძის საქმე
- 25 საქართველო კრემლის ობიექტივში
პოლიტიკა
- 27 დედაქალაქი N2
- 30 **საბჭოთა მემკვიდრეობა**
შეზღუდული ლუსტრაცია
- საზოგადოება**
- 39 ვირთხა
სუპერმარკეტში



- თვალსაზრისი**
- 42 საზოგადოებრივი აზრი ვის სჭირდება ის დღეს?
იაგო კატკაჭიშვილი
- 44 **Ad Hominem** არგუმენტები მარკ მალენი
- კულტურა**
- 46 ყვირილი და სიჩუმე
- 48 **ტექნოლოგიები ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები**
- 50 სოღანლულში
- სპორტი**
- 52 ისევ ბლატერი

გარეკანზე:
დაკარგულების რიცხვი კვლავ უცნობია
ფოტო: თემო ბარძიმაშვილი



ქურნალი „ლიბერალი“ გამოცემა ფონდ „ლია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

ვიყოთ "შეაქცელები" ანუ აუტანები, მოვიტხოვოთ ახალი ხანობა

ქეთი ქანთარიას ბლოგი



წლინახევრის წინ, მარტში, როცა თბილისში პირველი „კავკასიური“ კონფერენცია გაიმართა, სადაც ჩერქეზების გენოციდის აღიარების თემა განიხილებოდა, „თბილისი-მარიოტში“ ერთ პატარა სცენას შევესწარი. საკონფერენციო დარბაზს გარეთ, კიბესთან ახალგაზრდა ლამაზ ქალს, რომელსაც ტირილამდე არაფერი უკლდა, შუახნის ძალიან სიმპატიური ევროპელი ქალბატონი ამშვიდებდა და ურჩევდა, ვილაცებისთვის ყურადღება არ მიექცია. უფრო ასაკოვანი მარი ბენინგსენი იყო, კავკასიის ფრანგი ექსპერტი, ახალგაზრდა – ფატიმა ტლისოვა, რუსეთის ფედერალური სამსახურის მიერ არაერთხელ შეწუხებული (მონამღვლი, გატაცებული, ნანამები

და ბოლოს აშშ-ში გადასახლებული) ცნობილი ჩერქეზი უურნალისტი და აქტივისტი – ერთ-ერთი იმთავადანი, ვინც, ქართულ-აფხაზური დაძაბულობის მიუხედავად, არ იუკადრისა თბილისს „მინდობდა“ და ამის გამო უამრავი მონინალმდეგე და კრიტიკოსი გაიჩინა. ტლისოვას ჩერქეზებში დიდი ავტორიტეტი აქვს, მაგრამ, როგორც ჩანს, წნეხი კიდევ უფრო ძლიერი იყო. მაშინ ქართული მხარის ინიციატივის მიმართ სხვა კავკასიელები კი არა, თავად ქართველები, – ქართველები კი არა, ლამის თავად თბილისელი ორგანიზატორებიც უნდობლად იყვნენ განწყობილები.

ჩერქეზებს ჰქონდათ თბილისის მიმართ უნდობლობის მიზეზი: ქართულ-აფხაზური

ომი. იმ ომში, რომელიც არაოფიციალურად ყველამ შეცდომად ვაღიარეთ, ადელური წარმოშობის ასობით, შეიძლება ათასობით მეომარი იბრძოდა. თურმე ნალჩიკის ცენტრში ამ ომში დაღუპული მეომრების მემორიალიც დგას. როცა ზურაბ ჟვანიამ გადაწყვიტა, ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი დასაყრდენი ჩრდილოეთ კავკასიაში ჩერქეზთა შორის ექებნა და მამუკა არეშიძესთან ერთად 90-იანების შუა წლებში ნალჩიკში გაემგზავრა, მათ წინ ყველა კარი დახურული აღმოჩნდა.

მას შემდეგ წლები გავიდა. დაუჯერებელი რამ მოხდა. ქართულმა პარლამენტმა 1964 წლის ამბები ჩერქეზთა გენოციდად აღიარა. ახლა ფატიმა ტლისოვას და მის თანამოაზრეებს, რომლებიც ჩერქეზთა გენოციდის აღიარებისთვის იბრძვიან, შეუძლიათ საკუთარი სიმართლის პირველი ტრიუმფით დატკბნენ.

ჩერქეზულ ფორუმებზე, სადაც მანამდე აფხაზებთან ომისთვის ყველა ქართველს აგრესორს უწოდებდნენ და სალანძღავ სიტყვებს არ იშურებდნენ, დღეს ემოციების აფეთქებაა. იუზერები საქართველოს, ქართველებს მადლობას უხდებიან, რუსულად კი არა, ხშირად ქართულად, ქართული ასოებით, შეცდომებით, „ჩერქეზი ხალხის“ სახელით, საქართველოს დროშას ითხოვენ, წერენ, რომ ამ ნაბიჯს ქართველებს არასოდეს დაუვინწყებენ. ჩანს, რა ხდება ნალჩიკის, ბაქსანის და ჩერქეზებით დასა-

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი შორენა შვერდაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი სოფო ქვაჯა / კავკასია და კონფლიქტები სოფო ბუკია / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ახალი ამბები ნანა საჯავია / ვებგვერდის რედაქტორი ნინო ჯაფარიანი
შპს ნაწარმი: მია ნიკოლაური, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანიშვილი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო რობაქიძე, ნათია გულიაშვილი
კონსტრუქციები: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, მანანა ვარდიამილი, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორაძე, ლექსო ჩქარული, დიანა ჩაჩუა, ნათია ახალაშვილი, ნინო ბექაშვილი, დანიელ ნინი, ნიკო ნერგაძე
რედაქციის: ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია / კორექტორი თამარ ლონღაძე
ბამომცემლობა: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბითიძე / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი ნათია რუსაძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია
ბამომცემლობა: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge
სსპ ბამომცემლობა: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „პიზნისი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ბამომცემლობა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.
გამოცემის კერაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.
www.liberali.ge

ხლებული სხვა ქალაქების ქუჩებში: ხალხი მანქანებით და დროშებით ქუჩებში დარბის, ერთმანეთს ულოცავენ, ბედნიერების ცრემლებით ტირიან.

იმათ, ვინც ამ აღიარების იდეას მშრალი რაციონალური მოსაზრებებით ეწინააღმდეგებოდნენ, ალბათ ვერ წარმოუდგენიათ, რა მოხდა: ხალხს, რომელიც ასორმოცდაათიოდე წლის წინ მავნე მწერებივით გაუფუფეს, მონარჩენი კი თურქეთს გაუყენეს, შავ ზღვაში დაახრჩეს, ვინც საკუთარი ბედის მიმართ უსამართლობას და განურჩევლობას შეეჩვია, წელს, 21 მაისს, იმ დღეს, როცა ტრადიციულად თავიანთი დიდი ტრაგედიის წლისთავს აღნიშნავენ, პირველად მიეცათ სიხარულის მიზეზი, იმედი.

დღეს, ამ სიხარულის ფაშს, ჩერქეზები ჩერქეზულ, ქართულ და აფხაზურ დროშებს ერთად აფრიალებენ. ფორუმებზე აფხაზებიც ალალი გულით ულოცავენ ჩერქეზებს – კავკასიაში მათთვის ყველაზე მონათესავე ხალხს.

ზოგს აქაც და სხვაგანაც მიაჩნია, რომ ჩერქეზთა გენოციდის აღიარების საკით-


ხი ქართულ მხარეს აფხაზურ-ჩერქეზული კავშირის შესასუსტებლად, უკანასკნელთა გადმოსაბირებლად სჭირდებოდა.

თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ხელი-სუფლების „სუფთა გულების“ ამბავს, ეს შესაძლოა, სიმართლედ იყოს. ამის პირველი ნიშნები უკვე გამოჩნდა: ტელეარხ „რეგიონის“ ცოტა საშიში ნამყვანი (მადლობა ღმერთს, უურნალისტი არ ვარ და არაკოლეგიალობად არ ჩამეთვლება) „ჩერქეზული კონგრესის“ ლიდერს, რუსლან ქეშს (ქეშევს) გეტაპოელივით დაადგა თავზე: აბა, თქვით, როგორია, ქართველებმა თქვენი გენოციდი პირველებმა ვაღიარეთ, თქვენ კი ოცი წლის წინ საქართველოს წინააღმდეგ აფხაზეთში ომობდით?

ეს გამარჯვება, რომელიც საქართველომ კავკასიაში მოიპოვა, დამარცხებად გადაიქცევა, თუ ჩერქეზების კითხვას „როგორი იქნება საფასური“ პასუხად კავკასიაში ახალი განხეთქილების ჩამოგდების სურვილი ექნება.

ეს აუცილებლად უნდა იყოს მხარდაჭე-

რის უანგარო ფესტი. მეტიც, კარგი იქნება, თუ ყველა ერთად, საქართველოს ხელისუფლებაც, მოქალაქეებაც აღიარებენ საკუთარ შეცდომებს და იმის გააზრებას დაიწყებენ, რა უფრო მნიშვნელოვანია: აფხაზეთის კეთილი ნებით „გაშვება“ და ამით კავკასიაში მშვიდობიანი, უაღრესად საინტერესო, რელიგიურად და მსოფლმხედველობრივად შემწყნარებლური გარემოს შექმნა, რომელიც დიდი კაპიტალი იქნება შემდგომი წარმატებისთვის, თუ ქვეყნის ქმედითი ენერჯის უშედეგო ხარჯვა წვრილ ინტრიგებზე, გატყეხილის გამთლიანების წარუმატებელ მცდელობებზე და კიდევ

P.S. მათთვის, ვინც ამ აღიარებას იმ მოტივით არ უჭერდა მხარს, თითქოს „სომეხ ერთან უხერხულია“. სომხური სახელმწიფოსთვის ტესტად ეს გამოადგება: იქნებ ჯერ საკუთარი პარტნიორი ქვეყნის, რუსეთის მიერ ჩადენილი გენოციდის აღიარებაში შემოგვიერთდნენ. სრული, მრავალმხრივი „ანყვეტისთვის“ კარგი ბიძგი იქნებოდა. 

Radio *Commersant*

marketing@commersant.ge
+995 32 505 955



ბიზნესის კერძონალური რადიო

Commersant.ge



ეკოპანემა ესპანური ბოსტნეულის იმპორტი შეწყვიტა

ნანლაგური ინფექციის ახალი ფორმით, რომელიც ორგანიზმს ანტიბიოტიკებისადმი წინააღმდეგობის განვითარებას უზრდის, გერმანიაში 17, შვედეთში კი ერთი ადამიანი გარდაიცვალა. დაახლოებით 1200 ადამიანი დანიაში, ჰოლანდიაში, ესპანეთსა და დიდ ბრიტანეთში დღეს ამ ინფექციას ებრძვის. ინფექცია აღმოაჩნდა ორ ადამიანს ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. ისინი ამერიკაში ჰამბურგიდან ჩავიდნენ.

გერმანიის ხელისუფლება აცხადებს, რომ განსაკუთრებით საშიში ბაქტერია ქვეყანაში ესპანეთიდან შემოტანილი ბოსტნეულიდან, კერძოდ კი ესპანური კიტრიდან მოხვდა. ესპანეთი ამ ბრალდებას უარყოფს. იმის დასადასტურებლად, რომ ესპანური კიტრი მავნებელი არ არის, ესპანეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა როსა აგილარმა, ტელეარხ Sky News-ის პირდაპირ ეთერში კიტრი შეჭამა.

ესპანური მედიის ცნობით, კიტრის დაბინძურების 3 ვარიანტი არსებობს: შესაძლოა

ის ესპანეთში დაბინძურდა, რაც დადასტურებას საჭიროებს. მეორე ვერსიით, ბაქტერია კიტრში შესაძლოა ტრანსპორტირების დროს მოხვდა, მესამე ვერსიით კი ესპანეთში დაბინძურდა.

ეპიდემიის გამომწვევ მიზეზებს გერმანიის რობერტ კოხის ინსტიტუტის თანამშრომლები იკვლევენ. ინსტიტუტის ხელმძღვანელობის განცხადებით, კვლევა შესაძლოა კიდევ რამდენიმე თვეს გაგრძელდეს, რადგან ეპიდემიის წყაროს გამოვლენა ვერ ხერხდება.

ევროპაში ესპანური კიტრისა და სხვა ბოსტნეულის შეტანა ნანლაგური ჩხირით – EHEC-ით დაავადების შიშით შეწყვიტეს. თავის მხრივ, ევროპიდან ბოსტნეულის იმპორტი აკრძალა რუსეთმა.

შედეგად, ესპანეთის სოფლის მეურნეობის ყოველკვირეულმა ზარალმა, შესაძლოა, 200 მლნ ევროს მიაღწიოს. ესპანურ სოფლის მეურნეობას ევროპაში და მსოფლიოში საექსპორტო ბაზარზე წამყვანი პოზიციები უკავია.

საანაწმინდი აშშ-ის შინა-პოლიციას შეხვდა

ჯო ბაიდენი და მიხეილ სააკაშვილი ერთმანეთს 1 ივნისს რომში იტალიის გავრთიანების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე შეხვდნენ. მათ საქართველოს უსაფრთხოებისა და დემოკრატიის საკითხები განიხილეს. ასევე რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში განვერთიანების შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებები განიხილეს. თეორი სახლის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ბაიდენმა „გამოხატა მხარდაჭერა შევიცარიის შუამავლობით საქართველოსა და რუსეთს შორის, რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში წევრობის კანდიდატობასთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკებებისადმი.“

"ქართული პარტია" დაფუძნდა

ლევან გაჩეჩილაძემ, კოკა გუნცაძემ, კახა მიქაიამ და ლევან ჩიკვიტიამ „ქართული პარტია“ დატოვეს. „ბოლო პერიოდში ჩვენ არ ვეთანხმებოდით, რიგ შემთხვევებში, არც ემონაწილეობდით პარტიის არცერთ გადაწყვეტილებაში, რომელიც ერთიანობის კურსს ეწინააღმდეგებოდა. გადავწყვიტეთ, დამოუკიდებლად ვიმოქმედოთ, რათა მივანალიზოთ საყოველთაო თანხმობას არსებული რეჟიმის დასამარცხებლად“, – წერია მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაში. „ქართულ პარტიაში“ მათ წარმატება უსურვეს.

"ბაიხო" 26 მაისის დაშლის დაზარალებულთა დახმავის ხელშეწყობა



„გაეროს“ ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესმა კომისარიატმა თბილისში 26 მაისის ანტისამთავრობო დემონსტრაციის წინააღმდეგ გადამეტებული ძალის გამოყენება დაგმო. ჟენევაში გამართულ პრესკონფერენციაზე უფლებათა დაცვის სამმართველოს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა რუპერ კოლვილმა განაცხადა, რომ უმაღლესი კომისარიატი სრულად იზიარებს საქართვე-

ლოს ომბუდსმენის მონოდეზას 26 მაისის პოლიციის მოქმედების ყოველმხრივი, ეფექტური და მიუკერძოებელი გამოძიების შესახებ. უმაღლესმა კომისარიატმა საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, უზრუნველყოს დაკავებულებისათვის ადვოკატი და სამედიცინო დახმარების უფლება. ასევე ყველა ღონე იხმაროს საიმისოდ, რომ მათ წინააღმდეგ წამება არ გამოიყენონ. „გაეროს“ ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესმა კომისარიატმა ორივე მხარეს მოუწოდა ძალადობისგან თავი შეიკავონ.

აფხაზეთის დაშლის დაზარალებულთა დახმავის ხელშეწყობა

რუსეთის, ნიკარაგუას, ვენესუელას და ნაურუს შემდეგ, ვანუატუ უკვე მეხუთე ქვეყანაა, რომელმაც აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა – ეს ინფორმაცია აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ გაავრცელა. აფხაზეთის მთავრობამ ვანუატუს გადა-

წყვეტილებას გაბედული ნაბიჯი უწოდა, რომელიც „განპირობებულია თანამედროვე გეოპოლიტიკური მსოფლიოს რეალიებით“. წყნაროკეანური სახელმწიფოს – ვანუატუს ფართობი 12 ათასი კვადრატული კილომეტრია. მოსახლეობა დაახლოებით – 243 ათასი.

საქართველო ავღანეთში დახმავით მხარდაჭერის პროგრამის ISAF-ის ფარგლებში, საგარეო დეპარტამენტის 625 სამხედრო მოსამსახურეს გაგზავნის.

ეს ინფორმაცია მიხეილ სააკაშვილისა და ჯო ბაიდენის შეხვედრის შემდეგ გავრცელდა. აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა საქართველოს პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა „იმ ახალი მნიშვნელოვანი წვლილისათვის, რომელიც საქართველოს ავღანეთში უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალებში [ISAF]

შეაქვს“. საქართველო „ნატოს“ ეგიდით მიმდინარე პროგრამას 2009 წელს შეუერთდა. ამჯერად ავღანეთში 900-ზე მეტი ქართველი ჯარისკაცი მსახურობს. ბოლო 2 წლის მანძილზე ავღანეთში 8 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა.



ჩისხვეები

1
ივნისს ქართულ სკოლებში პირველი საატესტატო გამოცდები დასრულდა

5,5
ქულა საატესტატო გამოცდებზე ყველა საგანში გამსვლელ ბარიერად გამოცხადდა

575
მილიონი აშშ დოლარი ასესხა აზერბაიჯანმა საქართველოს ახალი სარკინიგზო ხაზის დასასრულებლად

სიტყვები



„რუსეთი ხელს შეუწყობს თქვენს საერთაშორისო ურთიერთობებს ყველა სახელმწიფოსთან, მათ შორის ყველაზე ახლო მეზობლებთან. დრო ყველა იარაღს მოაშუშებს. იმედი მაქვს, რომ აფხაზ და ქართველ ხალხებს შორის ყველა ურთიერთობა დალაგდება“.

რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი სერგეი ბალაფშის დაკრძალვაზე

„მე რომ დამაპატიმრონ, ამაზე შემდეგ მთელი მსოფლიო აყვირდება“.

ნინო ბურჯანაძე, „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოსთვის“ ლიდერი

„ყველაზე ნაკლებად მინდა „კოჭლ იხვად“ აღმიქვამდნენ. საქართველოში ხელისუფლება დემოკრატიულად შეიცვლება, საქართველოში საზოგადოება კიდევ უფრო ღია გახდება და მის მართვას არასდროს დაინწყებს ერთი ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი“.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი „ევრონიუსთან“ ინტერვიუში



გია ხუროშვილი
მთავრობის საპარლამენტო მდივანი

გეოგრაფიული ადგილის შეცვლასა და პარლამენტის ინსტიტუციონალური უფლებამოსილების შემცირებას შორის ვერანაირ კავშირს ვერ ვხედავ. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სულ რამდენიმე თვეა მივიღეთ და დავამტკიცეთ საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელმაც საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილება გაზარდა და აღმასრულებელი ხელისუფლება, მთელი რიგი მიმართულებით, პირდაპირ დამოკიდებული გახადა ხალხის მიერ არჩეულ ადამიანებზე. პარლამენტი მკვეთრად დეცენტრალიზებულია, საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები კი გაზრდილი.

პარლამენტის წევრი რაც ახლოს იქნება თავის ამომრჩეველთან, უფრო მეტად იქნება ჩართული პრობლემების გადაწყვეტაში.

დღესაც საქართველოს პარლამენტის წევრების ძალიან დიდი პროცენტი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან არის არჩეული, მაგრამ ისინი საქმიანობენ და მოღვაწეობენ დედაქალაქში. ამიტომ ამ ტიპის გადანაცვლება უშუალოდ წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატებზე გავლენას ვერ მოახდენს.

რაც შეეხება აპარატის თანამშრომლებს, ბუნებრივია, მათი დიდი ნაწილი შეიძლება ცხოვრობდეს თბილისში. იმედი მაქვს, რომ ეს ადამიანები მიიღებენ გადაწყვეტილებას საქმიანობა ქუთაისში გააგრძელონ. თუ ვინმე არ გადაწყვეტს ქუთაისში წამოსვლას, პრობლემას ამ შემთხვევაშიც ვერ ვხედავ. დავასაქმებთ ადგილობრივ კადრებს.

რაც შეეხება ხარჯებს, შეიძლება ზოგი დეპუტატისთვის ბათუმიდან, ან ხაშურიდან თბილისში ჩამოსვლა უფრო ძვირია, ვიდრე ქუთაისში ჩასვლა. არა მგონია, ამას რაიმე ეკონომიკური ხარჯის გაზრდა მოჰყვეს. პარლამენტის ფუნქციონირება, როგორც თბილისშია დაკავშირებული გარკვეულ ხარჯებთან, იგივე ტიპის ხარჯებთან იქნება დაკავშირებული ქუთაისშიც, პირიქით, შეიძლება, ნაკლებიც კი იყოს.

რაც მთავარია, ეს პროექტი უნდა განვიხილოთ, როგორც მთლიანი რეგიონალური ეკონომიკური პროექტის შემადგენელი ნაწილი და არა მხოლოდ საქართველოს პარლამენტის ტექნიკური ადგილმონაცვლეობა. ამ პროექტის მიღმა დგას კონკრეტული ეკონომიკური გათვლები რეგიონში. საუბარია ინფრასტრუქტურის აღდგენა-გაუმჯობესებაზე, გზების მონესრიგებაზე, სასტუმრო ინფრასტრუქტურის აყვავებაზე. ეს ყველაფერი პირდაპირა დაკავშირებული პარლამენტში ჩასულ სტუმართან, იმ ადამიანებთან, რომლებიც საქმიანობენ პარლამენტში. გაიზრდება ეკონომიკური აქტივობა, საკვებ დანესებულებებზე მოთხოვნილება, შედეგად კი უზრუნველყოფილი იქნება ადგილობრივების კეთილდღეობა, გაიზრდება აქ დასაქმებული ადამიანების შემოსავალი. საბოლოო მიზანი გახლავთ ის, რომ საქართველოს ყველა რეგიონს დაუბრუნდება თავისი ეკონომიკური აქტივობა. ეს „თავკომბალა პრინციპი“, რომლის თანახმადაც დედაქალაქი უნდა ყოფილიყო ერთადერთი ეკონომიკური, კულტურული საგანმანათლებლო ცენტრი, ნელ-ნელა უნდა დაირღვეს და ყველა რეგიონს უნდა ჰქონდეს განვითარების თანაბარი შესაძლებლობა. **■**



პარლამენტის წევრი რაც ახლოს იქნება თავის ამომრჩეველთან, უფრო მეტად იქნება ჩართული პრობლემების გადაწყვეტაში. დღესაც საქართველოს პარლამენტის წევრების უმრავლესობა სხვადასხვა რეგიონიდან არის არჩეული, მაგრამ ისინი მოღვაწეობენ დედაქალაქში. ამიტომ ამ ტიპის გადანაცვლება უშუალოდ წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატებზე გავლენას ვერ მოახდენს.

■ პარლამენტის წევრი რაც ახლოს იქნება თავის ამომრჩეველთან, უფრო მეტად იქნება ჩართული პრობლემების გადაწყვეტაში. დღესაც საქართველოს პარლამენტის წევრების უმრავლესობა სხვადასხვა რეგიონიდან არის არჩეული, მაგრამ ისინი მოღვაწეობენ დედაქალაქში. ამიტომ ამ ტიპის გადანაცვლება უშუალოდ წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატებზე გავლენას ვერ მოახდენს.



ქუთაისის ახალი პარლამენტის შენობის მაკეტი, ივნისი 2011



გიორგი ახვლედიანი

საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე

ფოტო ვარსკვლავი: თინათინი

თბილისიდან ქუთაისში პარლამენტის გადატანით დეცენტრალიზაციის საკითხის წინ წამოწევა, სულ ცოტა, გულუბრყვილობაა. რეალური დეცენტრალიზაციისთვის თვითმმართველობის ორგანოების გაძლიერება და ადგილზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის ხელშეწყობაა აუცილებელი, რაც ხელისუფლების პრიორიტეტულ ამოცანებში არ შედის. პარლამენტის გადატანას აქვს ერთადერთი დატვირთვა – ეს არის საპარლამენტო ცხოვრებისა და აქტივობის შესუსტება. ამ მოსაზრებას ამყარებს პრეზიდენტის დაუფარავი განცხადებებიც იმის შესახებ, რომ მას მობეზრდა მიტინგები და აქციები რუსთაველზე, პარლამენტის შენობის წინ.

პარლამენტის უფლებამოსილების შესუსტებას ჩვენ ვგულისხმობთ იმ თვალსაზრისით, რომ დედაქალაქიდან საპარლამენტო ცხოვრების ამოგლეჯა მოხდება. მისი ქალაქარეთ გადატანით კი, ბუნებრივია, საკანონმდებლო ორგანოს მუშაობა შეიძლება შეფერხდეს. ქუთაისში ძალიან რთული იქნება პარლამენტარების მუდმივად შეკრება. აუცილებლად შეიქმნება კვორუმის პრობლემა, რადგან პარლამენტის წევრთა უმრავლესობა თბილისიდანაა. შეიძლება, უცებ აღმოჩნდეს, რომ ადამიანი ვერ ახერხებს აღმოსავლეთ საქართველოდან ქუთაისში ჩასვლას. ეს შეიძლება იყოს არა ერთჯერადი შემთხვევები, არამედ მასობრივი და ხშირი.

პარლამენტს შეექმნება პროფესიონალი კადრების პრობლემაც. ამჟამად პარლამენტის აპარატი დაახლოებით 2 ათასამდე ადამიანი მუშაობს, რომლებიც საკანონმდებლო სფეროში პროფესიონალებად წლების განმავლობაში ჩამოყალიბდნენ. ამ ადამიანებს არ სთავაზობენ საცხოვრებლებს ქუთაისში და თავად უნდა შეძლონ დასავლეთ საქართველოში ოჯახებით გადაბარგება. თუ არადა, სამსახურის გარეშე დარჩებიან.

ქუთაისში შესაძლებელი იქნება ახალი კადრების აყვანა, მაგრამ ვეჭვობ შეძლონ ათასობით პროფესიონალი კადრის მოძებნა. ახალი თანამშრომლების ჩამოყალიბებას კი ძალიან დიდი დრო დასჭირდება და პირველ ხანებში საკანონმდებლო მუშაობა შეფერხდება.

პრობლემურ საკითხად რჩება მთავრობისა და პარლამენტის ურთიერთობის საკითხი. თუკი მთავრობა დარჩება თბილისში და პარლამენტი გადავა ქუთაისში, მაშინ ბიუჯეტიდან ხარჯების ასანაზღაურებლად თითოეული სამინისტროსთვის მილიონობით ლარის დამატება გახდება საჭირო. დღესდღეობით პარლამენტთან მთავრობის წარმომადგენლები ინტენსიურად მუშაობენ. ახალი კონსტიტუციური ცვლილებების თანახმად, მთავრობა უფრო ანგარიშვალდებული გახდება პარლამენტის წინაშე და თანამშრომლობა ამ ორ რგოლს შორის გაიზრდება, რაც, ბუნებრივია, მივლინების ხარჯების ზრდასაც გამოიწვევს. საჭიროა კი ამდენი ტყუილუბრალოდ განეული ხარჯი? **■**

საქართველში ბადაცხანა ხელსა და დასაქმებულთა უფლებამოსილებას?

■ პარლამენტის გადატანას აქვს ერთადერთი დატვირთვა – ეს არის საპარლამენტო ცხოვრებისა და აქტივობის შესუსტება. ამ მოსაზრებას ამყარებს პრეზიდენტის დაუფარავი განცხადებებიც იმის შესახებ, რომ მას მობეზრდა მიტინგები და აქციები რუსთაველზე, პარლამენტის შენობის წინ.

ევროპა

ბეჩმანიის მხანა მომავალი

ბირთვულ ენერჯიაზე უარის თქმით, გერმანია განახლებადი ენერჯიების დარგში მეორე ინდუსტრიულ რევოლუციას გეგმავს. უახლოეს ათწლეულში ეს მხოლოდ გაზრდის გერმანიის რუსულ გაზზე დამოკიდებულებას.

დიანა ჩაჩუა

გერმანია განვითარებული ეკონომიკის მქონე პირველი ქვეყანაა, რომელიც სრულად ამბობს უარს ბირთვული ენერჯიის მოხმარებაზე. 2022 წელს გერმანიაში ბოლო ბირთვული რეაქტორი უნდა გაჩერდეს. ქვეყნის მმართველი მემარჯვენე-ცენტრისტული კოალიცია უკვე შეთანხმდა გეგმაზე, რომელიც 2022 წლისთვის ეტაპობრივად ყველა ბირთვული ენერჯოსადგურის დახურვას გულისხმობს.

გემის თანახმად, შვიდი ყველაზე ძველი რეაქტორი, რომლებიც ფუკუშიმას ინციდენტის შემდეგ დროებით არ ფუნქციონირებდა, საბოლოოდ გამოვა ექსპლუატაციიდან. კიდევ 6 რეაქტორი 2021 წლისთვის შეაჩერებს მუშაობას, ბოლო სამი კი – 2022 წელს.

ანტიბირთვულ ინიციატივაზე საავტორო უფლება ანგელა მერკელს არ ეკუთვნის. ჯერ კიდევ გერმანიის წინა ხელი-სუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ბირთვული ელექტროსადგურები 2021 წლისთვის უნდა დახურულიყო. გასული წლის სექტემბერში მერკელმა ეს გადაწყვეტილება გააუქმა და ამ სადგურებს, სულ მცირე, 12 წლით გაუხანგრძლივა ექსპლუატაციის ვადა. მაშინ კანცლერის გუნდი აცხადებდა, რომ მწვანე მომავალში გადასასვლელად ბირთვული ენერჯია „დამაკავშირებელ რგოლს“ წარმოადგენდა. კანცლერის ეს გადაწყვეტილება გერმანიაში ფუკუშიმას რეაქტორის ინციდენტამდეც არაპოპულარული იყო. თუმცა, იაპონიის მოვლენებმა საბოლოოდ დაუსვა წერტილი მერკელის ამ გეგმებს და გერმანიის კანცლერის პოლიტიკაში მორიგი 180 გრადუსიანი შემობრუნება მოხდა.



ანგელა მერკელი, 30 მაისი 2011

ფოტო: შტუფანგ რაბანს / REUTERS

■ მიუხედავად იმისა, რომ ბირთვული ენერჯიიდან განახლებად ენერჯიებზე გადასვლას ბევრი კითხვა და ფინანსური ზარალი ახლავს თან, ეს გადაწყვეტილება მოკლევადიან პერსპექტივაში მერკელის წინასაარჩევნო რეიტინგისთვის ძალიან სასარგებლო იქნება.

მერკელი მოულოდნელად ყველა ბირთვული სადგურის დახურვის ინიციატივით გამოვიდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბირთვული ენერჯიიდან განახლებად ენერჯიებზე გადასვლას ბევრი კითხვა და ფინანსური ზარალი ახლავს თან, ეს გადაწყვეტილება მოკლევადიან პერსპექტივაში მერკელის წინასაარჩევნო რეიტინგისთვის ძალიან სასარგებლო იქნება.

ფუკუშიმას კატასტროფის შემდეგ გერმანიის კანცლერს ორი არჩევანი ჰქონდა: ან ბირთვული ელექტროსადგურების დახურვის გადაწყვეტილება უნდა მიეღო და ამით საკუთარ თანაგუნდელების აზრის წინააღმდეგ წასულიყო, ან ამ სადგურების ექსპლუატაციის ვადა გაეხანგრძლივებინა, რითიც მოსახლეობის

უმრავლესობის ნების საწინააღმდეგოდ წავიდოდა.

მან ამომრჩევლის გულის მოგება არჩია. ეს, შესაძლოა, ერთადერთი გზაა, რომელიც მას კანცლერად დარჩენის შანსს მისცემს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მერკელს ბირთვულ ენერჯიასთან დაკავშირებით ოპოზიციასთან დებატებში ჩართვა მოუწევდა, რომელშიც გერმანული მედიის შეფასებით, ის აუცილებლად დამარცხდებოდა.

დროული და მოქნილი ანტიბირთვული პოლიტიკის წყალობით, ანგელა მერკელმა მწვანეებს და სოციალ-დემოკრატებს ამომრჩევლების მობილიზაციისთვის მნიშვნელოვანი საკითხი ააცალა ხელიდან. ანტიბირთვული პოლიტიკა მთავარი ფაქტორი იყო, რის გამოც მარტში

ბადენ-ვიურტემბერგის მხარეში ჩატარებულ არჩევნებში მწვანეთა პარტიამ მერკელის პარტიის დამარცხება შეძლო. თანაც, ეს მხარე არჩევნებამდე მერკელის პარტიის ტრადიციულ მხარდამჭერად მიიჩნეოდა.

ბირთვული ელექტროსადგურების მშენებლობას უზარმაზარი თანხები სჭირდება, თუმცა მისი მართვა საკმაოდ იაფია, ამიტომაც ის ენერჯის იაფ და სტაბილურ წყაროს წარმოადგენს. თუ-

ფურო გაზრდის ამ ქვეყნის რუსეთზე დამოკიდებულებას.

დღეს გერმანიაში ბირთვულ ენერჯიაზე ელექტრომომარაგების 22,3 პროცენტია დამოკიდებული, ქვანახშირზე – 42 პროცენტი, ბუნებრივ აირზე – 13,6 პროცენტი, განახლებად ენერჯიებზე კი 16,5 პროცენტი.

მერკელის გუნდს, რომელმაც ამ გადაწყვეტილებით ამომრჩევლების გულის მოგებას შეეცადა, კრიტიკოსებიც ჰყავს.

ლევადიან სარგებელს ნახავს. ასეთი მიდგომა ინიციატივის მთავარ მიზანს ჩრდილს აყენებს, – წერს გერმანული კონსერვატიული გამოცემა Die Welt-ი.

ანგელა მერკელის გადაწყვეტილებას გერმანიის მსხვილი კერძო ენერჯოკომპანიებიც აპროტესტებენ. ბირთვულ ენერჯიაზე უარის თქმით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ბიზნესმენები სასამართლოს გზით შეეცდებიან.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობა ბირთვულ ენერჯიაზე დამოკიდებული და არც აპირებს მასზე უარის თქმას, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ გერმანიის გადაწყვეტილებას ევროპის დედაქალაქებში სიხარულით არ შეხვდებიან. მით უმეტეს, რომ გერმანიის მეზობლებს, რომლებიც გერმანულ ენერჯიაზე იყვნენ დამოკიდებულნი, ენერჯის ალტერნატიული გზების გამონახვა მოუწევთ.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ფრანსუა ფილონმა განაცხადა, რომ საფრანგეთი „პატივს სცემს გერმანიის გადაწყვეტილებას, მაგრამ არ იზიარებს მას“.

გერმანიისგან განსხვავებით, ბირთვულ ენერჯიაზე დამოკიდებულებას და ახალი სადგურების მშენებლობას განაგრძობენ აშშ-ში, ჩინეთში, ინდოეთში, მექსიკასა და ირანში. შეერთებულ შტატებში გასულ კვირას პირველი ციფრული ბირთვული ენერჯოსადგურის მშენებლობის შესახებ განაცხადეს. Financial Times-ის თანახმად, კომპანია Harris-ის კვლევამ აჩვენა, რომ აშშ-ის მოსახლეობის 40 პროცენტი ახალი რეაქტორების მშენებლობას მხარს უჭერს.

გერმანიის ფედერალური კავშირის სააგენტოს განცხადებით, შვიდი ბირთვული სადგურის დახურვის მიუხედავად, გერმანიის ენერჯომომარაგებას პრობლემები ჯერ არ შექმნია. მართალია „კარგი ამინდის პირობებში“ გერმანიას ქარის და მზის საშუალებით იმავე რაოდენობით ენერჯის მიღება შეუძლია, რასაც 28 ბირთვული რეაქტორი გამოიმუშავებდა, თუმცა განახლებადი ენერჯიების მერყევი ხასიათის გამო, გერმანიაში ენერჯის მხოლოდ ამ წყაროებზე დამოკიდებულებას სკეპტიკურად უყურებენ. **■**



ატომური ელექტროსადგური „ისარ 1+2“ ბავარიაში, 2 აპრილი 2011

ფოტო: შინდლერ რინო / REUTERS

მცა, ფუკუშიმას ავარიამ მთელი მსოფლიო ბირთვული ენერჯის რისკებზე კიდევ ერთხელ ააღაპარა და ყველაზე აქტიურები ამ დებატებში გერმანელები იყვნენ.

თუმცა გერმანელების ანტიბირთვული ეიფორიის უკან რამდენიმე სერიოზული დაბრკოლება იმალება. ბირთვული რეაქტორების გაჩერება გერმანიაში ელექტროენერჯის გაძიერებას გამოიწვევს. ამას გარდა, განახლებად ენერჯიებზე გადასვლამდე, მოკლე და შუალედურ პერსპექტივაში გერმანიას აქცენტის გაკეთება გაზის და ქვანახშირის ენერჯიაზე მოუწევს. ასეთ პირობებში ყველაზე მეტ სარგებელს რუსეთი მიიღებს, რომელიც Nord Stream-ის გზით გერმანელების მზარდ მოთხოვნას დააკმაყოფილებს და კიდევ

ოპონენტები მიიჩნევენ, რომ 2022 წლამდე არასაკმარისი დროა დარჩენილი იმისათვის, რომ ქვეყანამ გამართულად და მოსახლეობისა და წარმოებისთვის ზიანის მიყენების გარეშე შეძლოს ენერჯის ალტერნატიული გზების უზრუნველყოფა.

„შვეიცარიის ენერჯეტიკის მინისტრმა, რომლის ქვეყანაც ატომური ელექტროსადგურების მშენებლობას აჩერებს და 2034 წლისათვის ბირთვული ენერჯის გამოყენებას შეწყვეტს, განაცხადა, რომ ამ ცვლილებისთვის დრო სჭირდება და მათ ეს დრო აქვთ. ჩვენთან ასეთი დამოკიდებულება არავის გამოუხატავს. კონსერვატორებიდან დაწყებული, მწვანეებით დასრულებული ყველა ერთმანეთს ეჯიბრება, ვინ უფრო მეტ მოკ-

ბალკანეთი

მლადიჩი ავსოვანი ხათიბანწყობის სანასვლოდ

ბოლო წლებში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ბელგრადი მალევე იმყოფ სამხედრო დამნაშავეებს ევროპასთან მოლაპარაკებების გადამწყვეტ მომენტში კარგად იყენებს.

ვასო კუჭუხიძე

26 მაისს სერბეთის სპეცსამსახურებმა ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე სოფელ ლაზარევოში ჩატარებული ოპერაციის შედეგად ბოსნიელი სერბების ყოფილი გენერალი რატკო მლადიჩი დააკავეს. მიუხედავად იმისა, რომ ძებნილი შეიარაღებული იყო, მას წინააღმდეგობის განევა არ უცდია და სამართალდამცავებს მშვიდად ჩაბარდა. მლადიჩის დაპატიმრებამ სერბი ნაციონალისტების გაღიზიანება გამოიწვია და მისი მხარდამჭერი მასშტაბური აქცია ბელგრადის ცენტრში მეორე დღესვე მოეწყო, თუმცა რადიკალთა მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო. სერბეთის მთავრობამ 31 მაისს მლადიჩი ნიდერლანდებს გადასცა, სადაც მას ჰააგის სამხედრო ტრიბუნალი გაასამართლებს.

მლადიჩი 1992-95 წლებში სარაევოს ალყას ხელმძღვანელობდა. მისი ძალები 3 წლის განმავლობაში ბომბავდნენ ქალაქს, რამაც 10 ათასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეინირა. გარდა ამისა, 1995 წლის ივლისში მისმა ფორმირებამ – „მორიელებმა“ 8400-მდე ბოსნიელი ჯარისკაცი შეიპყრო სრებრენიცასთან და უმოწყალოდ ამოხოცა. ეს ფაქტი ევროპის კონტინენტზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე სისხლიან შემთხვევად შეფასდა და გენოციდის სტატუსი მიენიჭა.

ჰააგის სასამართლოს პროკურორის სერჟ ბრამერცის განცხადებით, ბრალდებული უკვე მოთავსებულია შევენიგენის ციხეში, სადაც მას ერთი თვე



რატკო მლადიჩის დაპატიმრება პრესის მთავარ თემად იქცა, ბელგრადი, 26 მაისი 2011

ფოტო ივან მლუშინოვიჩი / REUTERS

ექნება იმისთვის, რომ გაცენოს მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს და აირჩიოს ადვოკატი. წინასწარი ინფორმაციით, მლადიჩს ბრალს 11 მუხლით წაუყენებენ, რომელთა შორისაც გენოციდი, სამხედრო და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები სახელდება. ანალოგიური მუხლე-

ბით გაასამართლებენ ორიოდე წლის წინ დაკავებულ ბოსნიელი სერბების ლიდერს – რადოვან კარაჯიჩს. გავრცელდა ხმები, რომ ამ ორი პროცესის გაერთიანება მოხდებოდა, თუმცა მოგვიანებით, ჰააგაში ეს ინფორმაცია უარყვეს და განაცხადეს, რომ უკვე დაკომპლექტდა მოსამართლეთა ახალი

ჯგუფი, რომელიც პროცესს წარუძღვე-
ბა. ეს საპასუხისმგებლო მისია სამხრეთ
აფრიკელ ბაკონე მოლოტოს, გერმანელ
კრისტოფ ფლიუგესა და ჰოლანდიელ
ალფონს ორიეს მიანდეს.

მლადიჩის დაკავების დღიდანვე მისი
ადვოკატი მილოშ სალჯიჩი აცხადებ-
და, რომ 69 წლის ყოფილი გენერლის
ფიზიკური და მენტალური მდგომარე-
ობა არადამაკმაყოფილებელია და მისი
საზღვარგარეთ გაგზავნა არაა მიზან-
შეწონილი, თუმცა სერბეთის სამხედრო
სასამართლომ უარყო შუამდგომლობა
და საქმე ჰააგის ტრიბუნალს გადას-
ცა. მლადიჩის მხარდამჭერები შიშო-
ბენ, რომ უცხოეთის ციხეში ავადმყოფ
გენერალს სათანადო ყურადღებას არ
მიაქცევენ და ისიც სლობოდან მილოშე-
ვიჩის ბედს გაიზიარებს, რომელიც 2006
წლის 11 მარტს იმავე ციხის საკანში
გულის ინფარქტით გარდაიცვალა.

როგორც მლადიჩის ადვოკატი აცხა-
დებს, ყოფილ გენერალს სიმსივნე აქვს
და მას განსაკუთრებული მოპყრობა
სჭირდება. ექსტრადიციის შემდეგ მლა-
დიჩის ჯანმრთელობის მდგომარეობა
მართლაც გაუარესდა და იგი ციხის
საავადმყოფოში გადაიყვანეს. ჰააგის
ტრიბუნალის წარმომადგენელმა განა-
ცხადა, რომ „სასამართლო დაიცავს მის
ყველა უფლებას და გაითვალისწინებს
ავადმყოფობასაც“.

სასამართლო მანამდეც წავიდა გა-
რკვეულ დათმობებზე, როდესაც ექს-
ტრადიციამდე მლადიჩს ქალიშვილის
საფლავის მონახულების უფლება მის-
ცა. ანა მლადიჩმა 1994 წელს მამის პის-
ტოლეტით მოიკლა თავი. გავრცელებუ-
ლი ინფორმაციით, მან კარგად იცოდა
მშობლის მიერ ჩადენილი სასტიკი ხო-
ცვა-ჟლეტის ამბავი და თვითმკვლელო-
ბის მიზეზიც ეს გახდა. მლადიჩის მიერ
ქალიშვილის საფლავზე სტუმრობამ
ბოსნიელი ხალხის დიდი აღშფოთება
გამოიწვია. მათი აზრით, შეურაცხმყო-
ფელია ყოფილი გენერლისთვის ასეთი
უფლების მიცემა, მაშინ როცა, მის
მსხვერპლთა დიდი ნაწილის საფლავე-
ბიც კი უცნობია დღემდე და ჭირისუ-
ფლებს მათი დატყვევების საშუალება არ
აქვთ.

მლადიჩის დაკავებას ექსცესების გა-
რეშე არ ჩაუვლია და სერბი ნაციონა-
ლისტების ქუჩაში გამოსვლა გამოიწვია.
პარლამენტის წინ შეკრებილი ათასო-
ბით მომიტინგე ყოფილი გენერლის
გათავისუფლებას მოითხოვდა. დე-
მონსტრანტებს შეუერთდა სერბეთის
რადიკალური პარტიაც, რომელმაც
სერბეთის პრეზიდენტი ბორის ტადიჩი
მოლაღატედ და ევროპის მონად გამო-
აცხადა. რადიკალები მლადიჩის ექს-
ტრადიციის შემთხვევაში, მასობრივი
არეულობის მოწყობით დაიმუქრნენ.
მართალია, სერბეთის მთავრობამ დე-

**■ ექსტრადიციამდე მლადიჩს
ქალიშვილის საფლავის
მონახულების უფლება მიეცა.
ანა მლადიჩმა 1994 წელს
მამის პისტოლეტით მოიკლა
თავი. გავრცელებული
ინფორმაციით, მან
კარგად იცოდა მშობლის
მიერ ჩადენილი სასტიკი
ხოცვა-ჟლეტის ამბავი და
თვითმკვლელობის მიზეზიც
ეს გახდა.**

მონსტრანტები ძალის გამოყენებით
დაშალა, მაგრამ მომავალი გართუ-
ლებების თავიდან აცილების მიზნით,
ევროპული ქვეყნების საელჩოების და-
ცვა გააძლიერა.

უბრალო მოქალაქეების სიმპათიაც
აშკარად მლადიჩის მხარესაა. ჩატარე-
ბული გამოკითხვის შედეგად დადგინ-
და, რომ სერბთა 40 პროცენტი ყოფილ
გენერალს გმირად მიიჩნევს და მხო-
ლოდ 34 პროცენტი აცხადებს, რომ იგი
დამნაშავეა. მლადიჩის მხარდამჭერი აქ-
ციები გაიმართა სერბეთის საზღვრებს
მიღმაც. მაგალითად, მანჭუტენის ცენ-
ტრში ცნობილმა ისლამოფობმა პამელა

გელერმა მრავალი ადამიანის შეკრება
მოახერხა. მისი აზრით, „მლადიჩი არ
უნდა დაისაჯოს იმის გამო, რომ გამ-
ბედაობა ეყო, წინ აღდგომოდა მუსლიმ
ბოსნიელთა შემოტევას და საკადრისი
პასუხი გაეცა მათთვის.“

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მლა-
დიჩი დააპატიმრეს სწორედ იმ დღეს,
როდესაც ქვეყანაში ოფიციალური ვი-
ზიტით იმყოფებოდა ევროკავშირის სა-
გარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის
უმალღესი წარმომადგენელი კეტრინ
ემტონი. რამდენიმე დღით ადრე კი
ბელგრადს ევროკავშირის კომისიის
თავმჯდომარე ჟოზე მანუელ ბაროზო
სტუმრობდა. ამ ორი მნიშვნელოვანი
ფიგურის ბელგრადში ვიზიტის მიზე-
ზი ის არის, რომ სერბეთი სულ უფრო
უახლოვდება ევროკავშირს და ევრო-
ლიდერები სერბეთის ევროკავშირის
წევრობის კანდიდატად ოფიციალურად
დასახელებამდე უკანასკნელი მითითე-
ბების მისაცემად ესტუმრნენ ბალკა-
ნეთს.

ბოლო წლებში განვითარებული მო-
ვლენებიდან გამომდინარე, აშკარაა,
რომ ბელგრადი მალევე მყოფ სამხე-
დრო დამნაშავეებს ევროპასთან მო-
ლაპარაკებების გადამწყვეტ მომენტში
კარგად იყენებს. 2008 წელს რადოვან
კარაჯიჩის დაპატიმრებაც საეჭვოდ
დამთხვა იმ პერიოდს, როდესაც ბელ-
გრადი ევროკავშირის ქვეყნებისგან
კოსოვოს არალიარებას ითხოვდა. სხვა-
გვარად შეუძლებელია 16 წლის განმ-
ავლობაში სერბულ სპეცსამსახურებს
რატკო მლადიჩის ადგილსამყოფელი არ
სცოდნოდათ, მით უმეტეს, რომ ყოფი-
ლი გენერალი არასდროს გასცილებია
ქვეყნის საზღვრებს. ამავდროულად,
მასზე დაწესებული იყო საკმაოდ მა-
ღალი ჯილდო – 5 მილიონი ამერიკუ-
ლი დოლარი. რამდენიმე წლის წინ კი
ბელგრადმა ეს თანხა 10 მილიონამდე
გაზარდა.

უცნობია, მიიყვანს თუ არა პრეზი-
დენტ ტადიჩის ამგვარი პოლიტიკა სერ-
ბეთს ბრიუსელამდე. ის კი აშკარაა,
რომ ნაციონალური მუხტი ქვეყანაში
დღითიდღე იზრდება და სულ უფრო
სახიფათო სახეს იძენს. ■

თვალსაზრისი

ბალაფშის ეპოქის დასასრული

თითქმის დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის მომავალი პრეზიდენტი ალექსანდრ ანქეაბაი.

ანტონ კრივენიუკი, სოხუმი



სერგეი ბალაფშის დაკრძალვის ცერემონია, სოფელი ჯგერდა, 2 ივნისი 2011

ფოტო: სტრანკა / REUTERS

გასულ კვირას აფხაზეთმა უკანასკნელ გზაზე გააცილა თავისი პრეზიდენტი. სერგეი ბალაფში 29 მაისს, მოსკოვში, ფილტვზე გაკეთებული რთული ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა. 2 ივნისს სამგლოვიარო ცერემონიალს ათათასობით ადამიანი დაესწრო. მათ შორის იყო რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინიც. აფხაზეთის მეორე პრეზიდენტი ოჩამჩირის რაიონში, მშობლიურ სოფელ ჯგერდაში დაკრძალეს.

სერგეი ბალაფშის გარდაცვალება მოულოდნელი იყო აფხაზეთისთვის. ბალაფში წავიდა ისე, რომ აფხაზ ხალხს ნაციონალური იდეა არ დაუტოვა.

იგი თავისი პრეზიდენტობის მეორე ვადის შუაში წავიდა, მაშინ, როცა აფხაზეთმა პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის, შიდა სამოქალაქო დაპირისპირების და, რაც მთავარია, საქართველოსთან ომისთვის მუდმივი მზადებით გამონეწეული მძიმე წლები წარსულს ჩააბარა.

ბალაფშის აფხაზეთს პოლიტიკურ სტაბილურობასა და ეკონომიკურ აღმავლობას

უზინასწარმეტყველებდნენ.

შემდეგი საარჩევნო ციკლი აფხაზეთში 2012 წელს უნდა დანყებულიყო – საპარლამენტო არჩევნები. საპრეზიდენტო არჩევნები კი მხოლოდ 2015 წელს უნევდა. ამ პერიოდს აფხაზეთის პოლიტიკური ძალები მოსამზადებლად და მოსამწიფებლად იყენებდნენ.

ამასთან, ახალ ათონში 15 მაისს ჩატარებულ საეკლესიო კრებაზე ახალი ეროვნული პროექტის იდეა გაჩნდა – ახალგაზრდა აფხაზმა სასულიერო პირებმა გადანიჭეს, რომ აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიის მოსაპოვებლად იბრძოლონ და არა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ფრთის ქვეშ იყვნენ. სავსებით შეიძლება, რომ ეს იდეა რამდენიმე წლის განმავლობაში ნაციონალურ იდეად ჩამოყალიბებულიყო და ქვეყნისათვის ახალი პოლიტიკური ლიდერები მოეკვლინა.

ერთი სიტყვით, ყველას ბალაფშის ეპოქის იმედი ჰქონდა – დიდი ხნის ნანატრი სტაბილურობისა და სიმშვიდის მომტანი ეპოქის.

თუმცა, ყველასთვის მოულოდნელად, ბალაფშის ეპოქა დასრულდა.

პრეზიდენტის გარდაცვალების დღეს აფხაზეთის ფიჭური კავშირიც კი გადაიტვირთა და გაითიშა. ხალხი ერთმანეთს უზიარებდა ამ დაუჯერებელ ინფორმაციას.

„კეთილშობილი“, „კეთილი“, „ადამიანური“, „რბილი“ – ბალაფშს დღეს ამ ეპითეტებით ამკობენ მისი კრიტიკოსებიც. ეს სიყალბე და თვალთმაქცობა არ არის. და არც აფხაზური წესი, რომ გარდაცვლილზე მხოლოდ კარგი უნდა ილაპარაკო.

მაღალ, წარმოსადგე, ურთიერთობაში საკმაოდ მორცხე ბალაფშს ქარიზმა, რომელიც აუცილებელია მისი რანგის პოლიტიკოსებისთვის, თითქმის არ ჰქონდა. და დღეს ხალხი მას უმეტესად ახასიათებს, როგორც პიროვნებას და არა პოლიტიკოსს.

სერგეი ბალაფშმა აფხაზეთის ისტორიაში სამუდამო ადგილი დაიკავა. მისი მმართველობის მთავარი მონაპოვარი რუსეთის მიერ აღიარება იყო. 2005 წელს ბალაფშის ეპოქის დასაწყისს სოხუმი ნახევრად დანგრეული და

ლარიბი შეხვდა. 2011 წელს ბალაფში უკანასკნელ გზაზე ახლადგაშენებულმა, მომავადობელი სილამაზის ქალაქმა გააცილა. ეს მისი დამსახურების ცოცხალი მაგალითია.

რა იქნება შემდეგ? უახლოესი სამი თვის განმავლობაში ქვეყანას ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ანქეაბი უხელმძღვანელებს. ძალიან საინტერესო იქნება იმ ქვეყანაში ცხოვრება, რომელსაც ეს პოლიტიკოსი მართავს.

ვლადისლავ არძინბას შემდეგ, ამჟამინდელი ვიცე-პრეზიდენტი ქვეყნის პოლიტიკური ჰორიზონტის ყველაზე კაშკაშა ფიგურაა. ანქეაბი არძინბას და ბალაფშის თაობის პოლიტიკოსია, მაგრამ იგი სრულიად განსხვავებული ტიპის ფიგურაა.

თავის დროზე, სსრკ-ის შსს-ს სისტემის ყველაზე ახალგაზრდა პოლკოვნიკი ანქეაბი ყოველთვის უხეში, პედანტური და უკომპრომისო ადამიანი იყო. ვლადისლავ არძინ-

განსხვავებით, სამოქალაქო საზოგადოებას ქვეყნისათვის ახალი ლიდერები ჯერ არ მოუვლენია, რომლებიც ძველი გუნდისთვის ღირსეული წინააღმდეგობის განცვას შეძლებდნენ. სერგეი ბალაფშს მეორე ხუთწლიანი ვადის დასრულება რომ დასცლოდა, ახალი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბების და განვითარების შანსი უდავოდ იყო. ახლა კი საზოგადოებას არჩევანის გაკეთება ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრე ანქეაბს, პრემიერ-მინისტრ სერგეი შამბასა და ოპოზიციის ლიდერ რაულ ხაჯიმბას შორის მოუწევს. ანქეაბისათვის რეალური კონკურენციის განცევა მხოლოდ ხაჯიმბას შეუძლია.

სავარაუდოდ, სამი თვის შემდეგ ქვეყნის სათავეში მოსული ახალი ხელისუფლების საგარეო კურსი არ შეიცვლება. რუსეთისათვის დათმობები ხელისუფლებისათვის ერთგვარ ტრადიციულ ხაზად იქცა. პრაქტიკაში ამ დათმობების განხორციელებას

არ იძლევა. იქნებ სწორედ ეს არის ეშმაკური აფხაზური თამაში?

პრინციპული ცვლილებები, სავარაუდოდ, არც შიდა პოლიტიკაშია მოსალოდნელი. თუმცა ჯერ კიდევ ცოცხალია თეორია, რომ რეფორმატორად დაბადებულ ანქეაბს ცვლილებების განხორციელებაში ხელს კონიუნქტურული და კომპრომისების დიდოსტატი ბალაფში უშლიდა. შესაძლებელია. თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება: 2005 წლიდან არანაირი სამოედინოპაციო პროექტი, თუნდაც ქალაღზე, არ შექმნილა.

სავარაუდოდ, ანქეაბი, რომელიც გაცილებით უფრო ძლიერი ლიდერი იქნება, ვიდრე ბალაფში იყო, „წესრიგის დამყარებას“ დაიწყებს. ანქეაბი თავისი მმართველობის დროს პოლიციურ სახელმწიფოს ვერა, მაგრამ პოლიციურ რეჟიმს კი ნამდვილად აშენებს.

„წესრიგის“ და ძლიერი მმართველის ნაკლებობა დღევანდელ აფხაზეთში აშკარაა. მაგრამ თუ ანქეაბი პრეზიდენტის სავარძელში გამაგრდება, მაშინ ახალი პოლიტიკური ელიტის ჩამოყალიბება მრავალი წლით შეფერხდება. ეჭვგარეშეა, რომ ანქეაბი მეორე საპრეზიდენტო ვადასაც უზრუნველყოფს და მაშინ 90-იანი წლების პოლიტიკოსების თაობა ხელისუფლებაზე თავის, ლამის უკვე სამუდამო, მონოპოლიას შეინარჩუნებს.

უპირველეს ყოვლისა, აფხაზეთის შემდგომმა ლიდერმა ის სტაბილურობის განცდა უნდა შეინარჩუნოს, რომელსაც დღეს ბალაფშის გარდაცვალებასთან ერთად აფხაზი ხალხი ხმამაღლა დასტირის.

პირველი პრეზიდენტის არძინბას მიერ მოპოვებულის შენარჩუნება და თამასის კიდევ უფრო მაღლა აწევა ბალაფშმა შეძლო. შეძლებს კი ამ ესტაფეტის ასევე ღირსეულად გადაბარებას აფხაზეთის შემდეგი ლიდერი? ვინც უნდა იყოს იგი, ამ გზაზე დღეს მას მთელი აფხაზი ერი გულშემატკივრობს. ■

■ ძალიან საინტერესო იქნება იმ ქვეყანაში ცხოვრება, რომელსაც ანქეაბი მართავს. აშკარაა, იგი ქვეყნის პოლიტიკური ჰორიზონტის ყველაზე კაშკაშა ფიგურაა.

ბას და მისი გზები ომის დასრულებისთანავე გაიყარა და მას შემდეგ აფხაზეთის პირველი ლიდერი ანქეაბს ყველაზე სამიმ მონინაღმდეგედ აღიქვამდა.

აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტი საკმაოდ დიდხანს მოსკოვში ცხოვრობდა, როგორც პოლიტიკური დევნილი. აფხაზეთში იგი 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ დაბრუნდა და ეგრევე ბალაფშის წინასაარჩევნო კამპანიაში ჩაერთო. ეჭვგარეშეა, რომ ბალაფშს ხელისუფლებაში მოსვლაში ანქეაბის ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა დაეხმარა. მას შემდეგ ორ ლიდერს შორის საოცრად მტკიცე ურთიერთობები შენარჩუნდა. ხუთი წელი ანქეაბი პრემიერის პოსტს იკავებდა, ხოლო შარშანდელ არჩევნებზე ბალაფშის გამარჯვების შემდეგ, იგი ვიცე-პრეზიდენტი გახდა.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრე ანქეაბი შემდეგი პრეზიდენტია. ადმინისტრაციული რესურსი და, სავარაუდოდ, იგივე საზოგადოებრივი მხარდაჭერა მის მხარესაა. აფხაზეთის ეკლესიისგან

უხეში საზოგადოებრივი პოზიცია უშლის ხელს. უნდა ითქვას, რომ „რბილი“ ბალაფშის პრეზიდენტობის დროს, რეალურად, რუსეთმა აფხაზეთის მხრიდან ვერც ერთი „დათმობა“ ბოლომდე ვერ მიიღო. მაგალითად, სახელმწიფომ ბიჭვინთის აგარაკების რუსეთისთვის გადაცემის შესახებ მოლაპარაკებები საზოგადოების ზენოლის გამო შეჩერდა; აფხაზეთის ტერიტორიის 160 კვ. მეტრის რუსეთისთვის გადაცემის საკითხი მთლიანად აფხაზეთის სასარგებლოდ გადაწყდა, რაც შეეხება რელიგიას – ისევ და ისევ საზოგადოების მკაცრი პროტესტის გამო, ახალი ათონის მონასტერში მოსკოვის საპატრიარქოს მიერ მივლენილი წინამძღვარი გააძევეს.

რუსეთთან ურთიერთობა ბოლო დროს ერთ კარში თამაშს ჰგავს: ხელისუფლება დათმობებზე თანახმაა – როგორც აღიარებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ერთგვარი ხარკი თუ მადლიერება, მაგრამ საზოგადოებრივი პროტესტი ამ დათმობებს განხორციელების საშუალებას



სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.



ფოტო: ანდრეას ვიგენსონი / REUTERS

ადამიანის უფლებები

დახახბუები

26 მაისის აქციის დაშლიდან მერვე დღეს დაკარგულთა სიები ისევ არსებობს, თუმცა, იმის გამო, რომ ეს სიები ნაჩქარევად და გადამონმების გარეშე შედგა, კვლავ ძნელია იმის მტკიცება, ადამიანები მართლაც დაკარგულები არიან თუ არა.

ცირა გვასალია

31 მაისს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია)“ დაკარგული ადამიანების სია გამოაქვეყნა. სიას, რომელშიც 48 ადამიანი ირიცხებოდა, თან ახლდა განმარტება, რომ შეიძლება „უზუსტობებისა“ შეიცავდეს. მართლაც, სიაში „ლიბერალის“ კორესპონდენტმა იმავე დღეს აღმოაჩინა აქციის მონაწილე, სილნაღელი გია ნაცვლიშვილი, რომელიც 3 დღით ადრე იპოვა მეუღლემ. მეორე დღეს კი საია-ს სია კიდევ ოთხი ადამიანით შემცირდა.

„ზოგი იზოლატორში აღმოვაჩინეთ, ზოგის ოჯახის წევრი დაგვიკავშირდა და განაცხადეს, რომ დაკარგული ნაპოვნია. ამის შემდეგ ისინი სიიდან ამოვიღეთ“, – განმარტავს საია-ს თავმჯდომარე თამარ ჩუგოშვილი და სწორედ ამ უზუსტობების მიზეზით ხსნის იმას, რომ სია ვებგვერდიდან 2 ივნისს საერთოდ მოხსნეს.

დაკარგულები სპეკულაციის საგნად აქციის დაშლის დღიდანვე იქცნენ. 26 მაისს დილიდან გაუჩინარებული ადამიანების შესახებ რამდენიმე სხვადასხვა სია გავრცელდა.

თუმცა ამ სიების სრულფასოვანი გადამონმება თითქმის შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან, ხშირ შემთხვევაში, იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ავრცელებდნენ დაკარგული ადამიანების გვარსახელებს, მათ ოჯახის წევრებთან საკონტაქტო ინფორმაცია შენახული არ ჰქონდათ. ამიტომ, ინფორმაციის პირველწყაროსთან გადამონმება „ლიბერალისთვის“ ხშირად შეუძლებელი იყო.

საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსში“, რომელმაც თავიდანვე ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი სია გამოაქვეყნა, აცხადებენ, რომ მათ 26 მაისს ანონიმურმა წყარომ ელექტრონული ფოსტით ერთბაშად იმ 35 ადამიანის სა-

დემონსტრანტების დარბევა, თბილისი, 26 მაისი 2011

მთავარი თემა

ხელი და გვარი გაუგზავნა, რომელთაც ოჯახის წევრები ეძებდნენ. საკუთარი, 49-კაციანი სია ჰქონდა შედგენილი მედიკავშირ „ობიექტივსაც“. მათი მონაცემებიც სხვადასხვა წყაროსგან მოპოვებული იყო და არ ახლდა ნათესავეებთან საკონტაქტო ინფორმაცია.

ამ ფონზე, 31 მაისს, აქციის დაშლიდან მუხუთე დღეს გამოქვეყნებული საია-ს სია იმით გამოირჩეოდა, რომ წინა დღეების მთელ ინფორმაციას აჯამებდა. ამ სიას თან ისევე არ ერთვოდა დაკარგულთა ოჯახის წევრების მონაცემები, მაგრამ სამაგიეროდ მასში უკვე აღარ ირიცხებოდნენ ის ადამიანები, რომლებიც შსს-სა და სახალხო დამცველის ცნობით, იზოლატორებში იხდიდნენ სასჯელს.

ჩუგოშვილი აცხადებს, რომ სიის შედგენისას მათი ძირითადი წყარო ირინა ფუტკარაძე იყო, არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივი დამცველის“ ხელმძღვანელი. ეს ორგანიზაცია ადამიანის უფლებებზე მუშაობს და 21–25 მაისს მომიტინგეების დაცვის მიზნით საკუთარი საკონტაქტო მონაცემები აქციაზე დაარიგა. ირინა ფუტკარაძის ორგანიზაცია დაკარგულების შესახებ ინფორმაციას მექანიკურად აგროვებდა, ინიშნავდა ყველა ზარს და სიაში შეჰქონდა: „ჯამში, დაახლოებით 110 ზარი შემოვიდა“, – ამბობს ფუტკარაძე.

ამჟამად ამ ორგანიზაციის დაკარგულთა სიაში 30-ზე მეტი სახელი რჩება, თუმცა, ნუსხაში, რომელიც ფუტკარაძემ „ლიბერალს“ გადასცა, მხოლოდ ორი დაკარგული მოქალაქის ნათესავის ტელეფონია მითითებული, მათთან დაკავშირების შემდეგ კი, „ლიბერალმა“ გაარკვია, რომ ორივე მოქალაქე უკვე ნაპოვნია. „ზოგს თვითონ არ სურს ჟურნალისტებთან საუბარი, ამიტომ ვერ მოგცემთ ტელეფონს, ზოგი კი ჩვენთანაც ერიდება საკონტაქტო ინფორმაციის გაცემას“, – განმარტავს ფუტკარაძე.

კითხვაზე, სად შეიძლება იყვნენ დაკარგული ადამიანები, ან მათი ოჯახის წევრები რატომ გაურბიან საკონტაქტო ინფორმაციის გაცემას, თამარ ჩუგოშვილი ვარაუდობს: „ზოგი, შესაძლოა, ოჯახის რომელიმე წევრის სახლში იმალებოდეს, ზუსტად არაფრის თქმა შემიძლია“.

თუმცა დაკარგულთა სიები დღემდე რომ არსებობს, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ ბევრი დაკავებული მომიტინგე საკუთარ ოჯახს ვერ უკავშირდება, შსს დაკავებულთა სიაში კი მისი გვარი მითითებული საერთოდ არ არის. ამიტომ ის ნათესავეები, რომელთაც „ლიბერალი“ სიების გადამოწმებისას ესაუბრა, ამბობენ, რომ ახლობლების კვალს უფლებადამცველი ორგანიზაციების დახმარებით მიაგნეს. ზოგი მათგანი კი დასძენს, რომ იზოლატორში მყოფ ნათესავეებთან საუბარი დღემდე ვერ მოუხერხებია.

დავით ქინქლაძე, რომელიც 31 მაისის ჩათვლით რჩებოდა დაკარგულთა თითქ-

მის ყველა სიაში, ამბობს, რომ დაკავების შემდეგ, პოლიციის მანქანაშივე წართვეს მობილური ტელეფონი. „სპეცრაზმელებმა კეტები თავში 3-4-ჯერ ჩამართყეს. სისხლი მდიოდა და გაზის გამო გათიშული ვიყავი. დიღმის პოლიციაში გადამიყვანეს, მაგრამ არც იქ მომცეს უფლება, ოჯახის წევრებს დაკავშირებოდი. როცა ნახეს, რომ თავი დაზიანებული მქონდა, ლუდუშაურის კლინიკაში წამიყვანეს, 14 ნაკერი დამადეს, შემდეგ კი გამწერეს,“ – იხსენებს დავითი და ამბობს, რომ სახლში თითქმის 20-საათიანი გაუჩინარების შემდეგ თავისი ფეხით მივიდა. მთელი ამ დროის განმავლობაში კი ახლობლებმა არ იცოდნენ, ცოცხალი



ფოტო: დავით ბარცაიშვილი / REUTERS

იყო თუ არა.

1 ივნისის ჩათვლით დაკარგულთა სიაში რჩებოდა მამუკა ნემსინვერიძეც. 7-დღიანი ძებნის შემდეგ კი ერთ-ერთი უფლებადამცველი ორგანიზაციისგან მისმა მეუღლემ შეიტყო, რომ ნემსინვერიძე გლდანის მერვე იზოლაცორში იმყოფება, თუმცა, ჯერ არც ადვოკატი ჰყავს და არც ოჯახთან დაკავშირების შესაძლებლობა ჰქონია.

მეორე მიზეზი, რითაც იურისტები დაკარგულების სიების არსებობას ხსნიან, დაკავებული მომიტინგეების ადგილ-სამყოფელის ხშირი ცვლაა. თამარ ჩუგოშვილის თქმით, საია-ს იურისტებს პატიმრები მითითებულ იზოლაცორებში

ხშირად არ ხვდებიან, რაც 60-ზე მეტი დაკავებული მოქალაქის ძებნას და მათ დაცვას ართულებს.

„ჩემი აზრით, განგებ ფანტავენ დაკავებულებს, რომ ჩვენ ვერ ვიპოვოთ. ამით დაცვის უფლება გვეზღუდება. ზოგს ვერ ვნახულობთ, ამ დროს კი შეიძლება ვილაცხას ანამებენ კიდევ“, – აცხადებს ჩუგოშვილი.

„შესაძლოა, დაკავებულების ნაწილი უკვე მართლა აღარ არის იმ იზოლაცორებში, სახალხო დამცველის თავდაპირველ სიაში რომ იყო მითითებული,“ – ამბობს შოთა უტიაშვილიც, შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღ-

ვიგვე წერია სახალხო დამცველის სპეციალურ დასკვნაშიც, რომელიც ომბუდსმენის აპარატმა საქართველოს 8 რეგიონში განთავსებული დროებითი მოთავსების იზოლაცორების მონიტორინგის შემდეგ გამოაქვეყნა: „დაკავებულთა უმრავლესობას მეტ-ნაკლებად სერიოზული ხასიათის დაზიანებები აღენიშნება. რამდენიმეს აღენიშნება მძიმე კატეგორიის დაზიანებები, რაც ასევე დასტურდება დროებითი მოთავსების იზოლაცორში შეყვანისას შევსებული გარეგნული დათვალიერების ოქმებით. დაკავებულები ზეპირ საუბარში აცხადებენ, რომ დაზიანებები მიღებული აქვთ როგორც აქციის დაშლისას, ისე დაკავების შემდგომ“.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ბრალდებულს უფლება აქვს, დაკავებისთანავე თავისი ოჯახის წევრს, ან ახლო ნათესავს შეატყობინოს დაკავების ფაქტი და ადგილსამყოფელი. ბრალდებულს ასევე უფლება აქვს, დაკავებისთანავე მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება.

„არც ერთი ეს უფლება არ ყოფილა დაცული ამ ადამიანების დაკავების დროს“, – განაცხადა საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა ნათია იმნაძემ „რადიო თავისუფლებასთან“ ინტერვიუში.

შინაგან საქმეთა სამინისტრო დაკავებულებისთვის ოჯახთან დაკავშირების უფლების შეზღუდვასა და მიტინგის დაშლის დროს მოქალაქეების დაკარგვის ფაქტებს არ აღიარებს. ოფიციალურ განცხადებაში წერია, რომ „არცერთი მოქალაქე დაკარგულად არ განიხილება“, რადგან მათ შესახებ განცხადება პოლიციის არცერთ განყოფილებაში არ შესულა და შესაბამისად, არც არავის ეძებენ.

2 ივნისს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში თამარ ჩუგოშვილმა განაცხადა, რომ შს სამინისტროში ოთხი მოქალაქე აპირებდა განცხადების დაწერას დაკარგული ნათესავის შესახებ. თუმცა მომდევნო დღეს, ჩუგოშვილის თქმით, ერთმა განცხადების დაწერა გადაიფიქრა, ორი დაკარგული ოჯახში დაბრუნდა, ერთი კი კვლავ ყოყმანობს. **□**

■ დაკარგულთა სიები დღემდე რომ არსებობს, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შეიძლება იხილ იყოს, რომ ბევრი დაკავებული მომიტინგე საკუთარ ოჯახს ვერ უკავშირდება, შსს დაკავებულთა სიაში კი მისი გვარი მითითებული საერთოდ არ არის.

ვანელი, – „ერთი იზოლაცორიდან მეორეში გადაყვანა ჩვეულებრივი ამბავია და გამოწვეულია იმით, რომ ზოგი იზოლაცორი გადასვლილია“, – განმარტავს ის.

თამარ ჩუგოშვილის თქმით, იზოლაცორებში მყოფი ადამიანების მდგომარეობა „საკმაოდ მძიმეა“. მაგალითად, თელავის იზოლაცორში საია-ს იურისტებმა 28 მაისს აღმოაჩინეს, რომ დაკავებულები ორი დღე-ღამის განმავლობაში იყვნენ წყლის, საკვებისა და სამედიცინო დახმარების გარეშე. „სანამ ჩვენ არ მივედით, ზოგს ექიმი თვალთ არ ენახა,“ – ამბობს ჩუგოშვილი, – „სამი ადამიანი ვიპოვეთ, ვინც იზოლაცორებშიც სცემეს, თუმცა, დაკავებულები საჯაროდ თქმისგან თავს იკავებენ.“



პოლიცია აკავებს დემონსტრანტებს, 26 მაისი 2011



ფოტო: მარია ქორიაშვილი

ნიკა კვინტრადის ცხედარი პროექტურაში, ასათიანის ქუჩაზე, თბილისი 27 მაისი 2011

ჩამ იმსხვეჩნა ნიხა ხვინსხაძე?

მომიტინგე ნიკა კვინტრადის გვამი სამართალდამცავებმა, სავარაუდოდ, 26 მაისს იპოვეს და არა ერთი დღის შემდეგ, როგორც ეს შსს-ს განცხადებაშია ნათქვამი. ეს დეტალი კიდევ უფრო ამძაფრებს ეჭვებს კვინტრადის გარდაცვალების ოფიციალური ვერსიის მიმართ.

მარია ქორიაშვილი, რუსუდან ფანოზიშვილი

რეზინის თეთრი ხელთათმანები. თუნუქით გადახურული სახურავი. დენის დაზიანებული სადენი. ბორდიურზე გაურკვეველი ლაქა. კრიმი-

ნალისტების ჩემოდნები და საინფორმაციო გადაცემის ნამყვანის ტექსტი: „გუშინ მეტრო „თავისუფლების“ სადგურთან, მალაზიის სახურავზე,

ორი გარდაცვლილი მამაკაცის გვამი იპოვეს“.

ასე დაინყო 28 მაისს, შაბათს, 12-საათიანი საინფორმაციო გამომ-



ვება „რუსთავი 2“-მა. იმავე დღეს შს სამინისტროს გადამღებმა ჯგუფმა დააფიქსირა კადრები, რომელზეც აღბეჭდილია, თუ როგორ მუშაობენ კრიმინალისტები შემთხვევის ადგილას. სიუჟეტი სხვა ნაციონალური არხების ეთერიდანაც გადაიცა.

პირველად ინფორმაცია – 26 მაისის აქციის დაშლის შემდეგ კიდევ ორი გარდაცვლილის შესახებ – საინფორმაციო სააგენტოებმა 27 მაისს, საღამოს გაავრცელეს. პარალელურად, შს სამინისტროს ვებგვერზე გაჩნდა ასეთი ინფორმაცია:

„27 მაისს დილით, თავისუფლების მეტროსთან მდებარე ერთ-ერთი მაღალბინის სახურავზე აღმოჩენილი იქნა 2 მამაკაცის გვამი. წინასწარი მონა-

ცემებით, გარდაცვალების მიზეზი ელექტროსადენებთან მათი შეხება იყო. გამოძიება სწავლობს ამ პირების შესაძლო კავშირს რუსთაველის პროსპექტზე გამართულ საპროტესტო აქციასთან“.

26 მაისს პრეზიდენტმა რუსთაველის გამზირზე საქართველოს დამოუკიდებლობის ოცი წლისადმი მიძღვნილი საზეიმო აღლუმში ჩაიბარა.

საზეიმო ღონისძიების დაწყებამდე ორი საათით ადრე რუსთაველის გამზირი უკვე მთლიანად განმედილი იყო მიტინგის დაშლის შემდეგ დარჩენილი ლაქებისა და ნაგვისგან. რადგან ღონისძიებას, საქართველოს პრეზიდენტთან და მთავრობის მაღალჩინოსნებთან ერთად, უცხოელი სტუმრები ესწრებოდნენ, უსაფრთხოების ზომები გამკაცრებული იყო. პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიას – ოპერიდან თავისუფლების მოედნამდე – მთლიანად სამართალდამცველები აკონტროლებდნენ. პარლამენტის შენობის სახურავიდან პერიმეტრს სნაიპერებიც აკვირდებოდნენ.

შს სამინისტროს ოფიციალურ ვერსიას რომ გავყვეთ, ზუსტად ამ დროს, პარლამენტის შენობიდან რამდენიმე ათეულ მეტრში, სახურავზე, ჯერ კიდევ ეგდო ორი მიცვალებულის გვამი.

ამავე ვერსიის მიხედვით, ისინი ასათიანის ქუჩაზე მდებარე ქალაქის მთავარ პროზექტურაში მხოლოდ მომდევნო დღეს, 27 მაისს შუადღისას გადაასვენეს.

მაღაზია „ცაცი“, რომლის სახურავზეც გარდაცვლილები აღმოაჩინეს, მეტროსადგურ „თავისუფლების“ მოედნიდან დაახლოებით 20 მეტრითაა დაშორებული. „ლიბერალი“ მეტროს ორ თანამშრომელს ესაუბრა. მათი ნაამბობიდან გამომდინარე, 26 მაისს, როცა პრეზიდენტი აღლუმს იბარებდა, პოლიციას ცხედრები უკვე ნაპოვნი უნდა ჰქონოდა:

„დილით თქვეს, რომ თურმე აქვე გარდაცვლილი უპოვიათ. ჩემი თვალთ არაფერი მინახავს, გარედან შემოსული თანამშრომლები ჰყვებოდ-

ნენ. მეტი არაფერი ვიცი“, – ამბობს მეტროს თანამშრომელი, რომელიც 25 მაისის ღამეს იყო მორიგე.

თუმცა, ამავე დროს, მეტროს ერთ-ერთი სხვა თანამშრომელი ამბობს, რომ 26 მაისს ინფორმაცია მხოლოდ ერთი ნაპოვნი გარდაცვლილის შესახებ ვრცელდებოდა:

„ჩემი მორიგეობა 26-ში საღამოს 8 საათზე დაიწყო. მასხოვს, სამსახურში რომ მოვედი, თანამშრომლებმა მითხრეს, რომ აქვე ერთი ადამიანის გვამი უპოვიათ“.

27 მაისს საღამოს ასათიანის ქუჩაზე პროზექტურასთან ჟურნალისტებიც შეიკრიბნენ. მედიის წარმომადგენლებთან სასაუბროდ პროზექტურის არცერთი თანამშრომელი არ გამოვიდა. მწირი ინფორმაციის მიღება „ლიბერალმა“ მხოლოდ იმ სანიტრისგან შეძლო, რომელიც ჟურნალისტების კითხვებს სანახევროდ გამოღებული ფანჯრიდან მოკლედ პასუხობდა. გაირკვა, რომ „თავისუფლების“ მეტროსთან ნაპოვნი ერთი გარდაცვლილი ოჯახის წევრებს უკვე სახლში გადაესვენებინათ. სანიტრის თქმით, მას სხეული მთლიანად დამწვარი ჰქონდა (ამ გარდაცვლილის ვინაობა მხოლოდ მეორე დილით, ტელეეთერით გახდა ცნობილი. იგი ვანის რაიონის მცხოვრები, 62 წლის სულიკო ასათიანი აღმოჩნდა).

რაც შეეხება მეორე გარდაცვლილს, 27 მაისის საღამოს, ის კვლავაც პროზექტურაში ესვენა – მისი სახლში გადასვენების პროცედურა შედარებით ფერხდებოდა. ეზოში შეკრებილი ახლობლები და მეგობრები, რომელთაც გარდაცვლილში 49 წლის ნიკა კვინტრაძე ამოიცნეს, გამოძიების მოსვლას ელოდნენ. მიცვალებულის გადასვენების უფლება ახლობლებისთვის სწორედ მას უნდა მიეცა.

ნიკა კვინტრაძის მეგობრის, რეზო რეხვიაშვილის თქმით, ის მიტინგებს წინა დღეებშიც ესწრებოდა. „მე თვითონ ტელევიზიასთან ვცხოვრობ. საღამოს ჩემთან მოდიოდა ხოლმე, მეც ჩავდიოდი და ცოტა ხანი მიტინგზე ვიდექით. არცერთი ოპოზი-

ციური პარტიის მხარდამჭერები არ ვყოფილვართ, უბრალოდ, პროტესტი გვექონდა“, – ამბობს რეხვიაშვილი.

პროფესიით არქიტექტორის, ნიკა კვინტრადის პროტესტის მთავარი მიზეზი მისი 21 წლის შვილი იყო, რომელიც უკვე 2 წელია, ქურდობისთვის იხდის სასჯელს და ოჯახის ახლობლების მტკიცებით – უსამართლოდ. კვინტრადის ზოგიერთი ახლობლის თქმით, მან ბოლო წლებში სამსახურიც დაკარგა და უმუშევარი იყო.

25 მაისს, დღის 3-4 საათისთვის კვინტრადე და რეხვიაშვილი ერთმანეთს რუსთაველის მეტროსთან შეხვდნენ და პარლამენტისკენ ფეხით წავიდნენ. პირველ სკოლასა და პარლამენტს შორის გაჩერდნენ და მიტინგზე ბოლომდე დარჩნენ.

„ვერ წარმოიდგენდა, რომ ხალხს ასე სასტიკად გაუსწორდებოდნენ. როცა ველაპარაკე, მითხრა, მიტინგიდან რომ წამოვალ, გამოგივლიო. დარბევებიდან რამდენიმე წუთში, დავურეკე, მაგრამ მასთან დაკავშირება უკვე ვეღარ შევძელი“, – ჰყვება კვინტრადის მეგობარი, გია გვენცაძე, რომელიც ნიკას ბოლოს აქციის დაშლამდე რამდენიმე წუთით ადრე ტელეფონით ესაუბრა.

როცა სპეცრაზმელებმა მომიტინგეების მასა გაარღვიეს, რეხვიაშვილი და კვინტრადე თავისუფლების მეტროს მიმართულებით ჩქარი ნაბიჯით დაიძრნენ. „მეტროსთან კიბე რომ ადის, მაგ კიბით გვინდოდა გავსულიყავით იმიტომ, რომ იმდენი გაზი გაუშვეს, ფიზიკურად ვეღარ გავუძლებდით. მე ცოტა წინ მივრბოდი, ნიკა ჩემს უკან იყო. არმისული კიბემდე, 15-20 მეტრში, პოლიციის კორდონი დავინახეთ. ბოლოს რაც მახსოვს, ის იყო, რომ ნიკამ თქვა, ველავ ვსუნთქავო. ამის შემდეგ მომვარდნენ, მინაზე დამაგდეს და ხელბორკილები დამადეს. დაახლოებით ხუთი წუთი ვინექი ასე. იმ წუთებში ნიკას რა მოუვიდა, ზუსტად არ ვიცი, არ დამინახავს. უსათვალოდ ვიყავი და ცრემლსადენი გაზის გამო, მხედველობა ფაქტობრივად, არ

მქონდა. თუმცა იქ ისეთი სიტუაცია იყო, ალბათობა, რომ ნიკა პოლიციას გაქცეოდა, ძალიან მცირეა“, – იხსენებს რეხვიაშვილი. ამის შემდეგ რეხვიაშვილს თავისი მეგობარი აღარ უნახავს.

სასამართლო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, რომელიც კონფიდენციალური დოკუმენტია და „ლიბერალმა“ მისი გაცნობა ვერ შეძლო, კვინტრადისა და ასათიანის გარდაცვალება დენის დარტყმამ გამოიწვია: „გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ მათ სხეულზე აღენიშნებოდათ ელექტრო-ტრავმის შედეგად განვითარებული ელექტრონიშები, ანუ გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, მათი სიკვდილი დადგა დენის დარტყმის

■ კვინტრადის ოჯახს დამოუკიდებელი ექსპერტიზა არ ჩაუტარებია. თუმცა შს სამინისტროს მიერ გავრცელებული ოფიციალური ვერსიის ახლობლებსა და მეგობრებს არ სჯერათ.

შედეგად“, – განაცხადა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექიმმა, მალხაზ მიტიჩაშვილმა 28 მაისს, „რუსთავი 2“-ის ეთერში.

კვინტრადის ოჯახს დამოუკიდებელი ექსპერტიზა არ ჩაუტარებია. თუმცა შს სამინისტროს მიერ გავრცელებული გარდაცვალების ოფიციალური ვერსიის ახლობლებსა და მეგობრებს არ სჯერათ.

კვინტრადის გარდაცვალების მიზეზების დადგენა, ჟურნალისტთა რამ-

დენიმე ჯგუფმა უკვე დაიწყო. ერთ-ერთი „მაესტროს“ ყოველკვირეული გადაცემის GNS-ის ჯგუფი იყო. სწორედ GNS-ის ჟურნალისტებმა წაიყვანეს რეხვიაშვილი 27 მაისს, ღამით პროზექტურიდან დარბევის ვიდეოკადრებში მეგობრის ამოსაცნობად.

საბოლოოდ, რეხვიაშვილმა ნიკა კვინტრადე „ასოშიეტიდ პრესის“ ფოტოგრაფის, შახ აივაზოვის მიერ აქციის დაშლისას გადაღებულ ფოტოზე სვიტერით ამოიცნო.

ფოტოზე, რომელზეც რეხვიაშვილის მტკიცებით, ნიკა კვინტრადეა აღბეჭდილი, მამაკაცი მუცელზე წევს, ხელები შეკრული აქვს, ნაცრისფერი ჯემპრი და ნაცრისფერი სპორტული ფეხსაცმელი აცვია, მაგრამ სახე არ უჩანს. ახლო მეგობრები ამბობენ, რომ თავის ფორმითა და აღნაგობით მამაკაცი ნამდვილად ნიკას ჰგავს.

მოგვიანებით, „რუსთავი 2“-ის ეთერით გავრცელდა ვიდეოკადრები, რომელშიც სავარაუდოდ ზუსტად ის მამაკაცი ჩანს, ვინც აივაზოვის ფოტოზე დაფიქსირებული და რეხვიაშვილის თქმით, ნიკა კვინტრადეა. თუმცა, ვიდეოკადრში მამაკაცს წამიერად სახეც უჩანს. „რუსთავი-2“-ის მტკიცებით კი, ეს მამაკაცი ნიკა კვინტრადე არ არის. კვინტრადის დაკრძალვის დღეს, ტელეკომპანიის გადამღებმა ჯგუფმა ფოტო დაკრძალვაზე მისულ ოჯახის რამდენიმე ახლობელს აჩვენა. ისინი ჟურნალისტს ეუბნებიან, რომ მამაკაცი ნიკას არ ჰგავს.

კვინტრადის საქმის გამოძიებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მტკიცებულება, ტანსაცმელი შეიძლება იყოს. თუმცა 27 მაისს პროზექტურაში რეზო რეხვიაშვილს მეგობრის ტანსაცმელი არ მისცეს. სანიტარმა მას უპასუხა, რომ ტანსაცმელს გამოძიება იტოვებს და არ აქვს უფლება, ვინმეს გაატანოს. ოჯახის ახლობლების თქმით, კვინტრადეებისთვის გარდაცვლილის კუთვნილი სამოსი დღემდე არ დაუბრუნებიათ. კვინტრადის ოჯახი ჟურნალისტებთან შეხვედრას ერიდება და ამ ეტაპზე არანაირ კომენტარს არ აკეთებს. ■

ბადრი ბინაძის საჩხე

პროკურატურა ბინაძეს ქვეყანაში შეიარაღებული არეულობის მონყობაში სდებს ბრალს, თუმცა მის დაპატიმრებას არ ითხოვს.

მარი ნასყიდაშვილი



ბადრი ბინაძე დემონსტრანტებთან ერთად ტელევიზიის წინ გადაკეტილ კოსტავას გამზირზე, 22 მაისი 2011

ფოტო: იმედი/სტრეშკო

1 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ბადრი ბინაძე „წინასწარ შექმნილი ჯგუფის მიერ პოლიციელებზე განხორციელებული თავდასხმების ორგანიზებაში“ დამნაშავედ სცნო და გირაოს სახით 100 ათასი ლარის გადახდა დააკისრა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ეს დანაშაული 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ბინაძე მთავარი ფიგურაა მაისის აქციების უშუალო ორგანიზატორთა შორის, რომლის წინააღმდეგ ხელისუფლებამ სამართლებრივი დევნა დაიწყო.

პროკურატურა განმარტავს, რომ ბინაძის საქმე 6 მონმის ჩვენების, ასევე ვიდეო და აუდიოჩანაწერების საფუძველზე აღიძრა.

ამათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მონმე „შეფიცულთა“ რაზმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, გადამდგარი გენერალი და ბინაძის პირადი მეგობარი გია უჩა-

ვაა, რომელიც სამართალდამცავებმა 22 მაისს ტელევიზიის წინ „სახალხო კრების“ მხარდამჭერთა აქციაზე დააკავეს.

დაკავებიდან ზუსტად 24 საათში გია უჩავა სამართალდამცავებს აღიარებით ჩვენებას აძლევს და „შეფიცულების“ გეგმების შესახებ უყვება.

უჩავას დაკავებიდან 4 დღეში – 26 მაისს, სამართალდამცავებმა შიდა ქართლში სპეცოპერაციის შედეგად კიდევ 24 ადამიანი დააკავეს, რომლე-

ბიკ ყინწვისის მონასტერს აფარებდნენ თავს. შსს-ს ინფორმაციით, ეს ჯგუფი ძალადობის და საზოგადოებრივი უწყესრიგობის გზით საქართველოში ხელისუფლების შეცვლას გეგმავდა. მალევე გავრცელდა ყინწვისში დაკავებულების აღიარებითი ჩვენებაც და ჯგუფის წევრებსა და მათ ხელმძღვანელს – შსს-ს ყოფილ მინისტრს, „მხედრონის“ ერთ-ერთ ლიდერს – თემურ ხაჩიშვილს – შორის გამართული სატელეფონო საუბრების ფარული აუდიოჩანაწერებიც.


„ყინწვისელთა“ მონათხრობში ისევე როგორც ხაჩიშვილის სატელეფონო საუბრებსა და უჩავას აღიარებით ჩვენებაში – მთავარი მოქმედი პირი საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილი შეფი, გენერალი ბადრი ბინაძეა.

იმ ჩვენებებსა და აუდიოჩანაწერებზე დაყრდნობით, რომლებიც ამ დროისთვის სამართალდამცავებმა გაავრცელეს, „შეფიცულებს“ მოვლენების განვითარების შემდეგი სცენარი ჰქონდათ:

მთავარი ამოცანა, რომელიც „შეფიცულებს“ წინაშე იდგა, თბილისში ვითარების დაძაბვა და ქუჩაში არეულობების მოწყობა იყო.

ამ ამოცანის შესასრულებლად, უჩავას განცხადებით, აქციების მიმდინარეობისას, ახალგაზრდების ერთ ჯგუფს მალაზიების ძარცვა და მანქანების „მოლოტოვის კოქტილებით“ დაწვა დაევალა. შემდეგ „შეფიცულები“ თბილისის საკრებულოსა და/ან „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შენობაში უნდა შეჭრილიყვნენ. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „შეფიცულთა“ რაზმი რაიმე განსაკუთრებულ შეიარაღებას ფლობდა, არ არსებობს. პოლიციელთა წინააღმდეგობის მოგერიებას ისინი დროშის ტარებით, ხელნაკეთი ფარებით, „მოლოტოვის კოქტილებითა“ და „რაგატკებით“ აპირებდნენ. „რაგატკებით“ რკინის ბურთულები უნდა ესროლათ, რომლებსაც ადამიანებისთვის სერიოზული ფიზიკური ზიანის მიყენება და სიკვდილის გამოწვევაც შეეძლო. შეიქმნა ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი ჯგუფიც, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში,

თემაჯი ხაჩიშვილი



„მხედრონის“ ერთ-ერთი ყოფილი ლიდერი. 1992-93 წლებში იგი ჯერ შინაგან საქმეთა, შემდეგი ორი წელი კი თავდაცვის მინისტრი იყო. 1995 წლის სექტემბერში

ის ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ მოწყობილი ტერაქტის ორგანიზებისთვის დააკავეს, რისთვისაც 11 წლიანი პატიმრობა მიესაჯა. თუმცა 2002 წელს ის თავად პრეზიდენტმა შევარდნაძემ შეიწყალა. პატიმრობიდან გამოსულმა თემურ ხაჩიშვილმა დააფუძნა პარტია „დათვი“, რომლის მთავარი მიზანი აფხაზეთისა და ოსეთის კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტა და რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება იყო. 2004 წლის აპრილში, უკვე „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ხაჩიშვილი ქვემო ქართლის პოლიციამ დააკავა იარაღის უკანონო შენახვისა და ტარებისთვის. ხაჩიშვილის მტკიცებით, დაკავება პოლიტიკური მოტივით მოხდა იმის გამო, რომ იგი პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან იყო დაპირისპირებული. ხაჩიშვილი 8 მაისს სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.

2008 წლის სექტემბერში, უკვე რუსეთში მყოფმა ხაჩიშვილმა ხელისუფლება ომის დაწყებაში დაადანაშაულა „საქართველოს მთავრობას და მის ამერიკელ მრჩეველებს ომი სურდათ, ქართველ ხალხს კი რუსეთთან მეგობრობა სურს. ხალხის ამ სურვილს წინ ვერავინ აღუდგება და მე ჩემს თანამოაზრებთან ერთად შევეცდები, სააკაშვილის ხელისუფლება ქვეყნის მართვას დემოკრატიული გზით ჩამოვაშორო“, – განაცხადა მან გერმანულ გამოცემა „შპიგელთან“ ინტერვიუში. შსს-ს მტკიცებით, ყინწვისში დაკავებულ შეფიცულთა ჯგუფს, რომლის მიზანიც იყო „საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებული პროვოკაციების მოწყობა“, სწორედ რუსეთიდან მართავდა თემურ ხაჩიშვილი.

სამართალდამცავებისათვის ცეცხლი უნდა გაეხსნა. როგორც ყინწვისში დაკავებული დავით შუკაკიძე თავის ჩვენებაში ამბობს, უკვე „ამის შემდეგ ბადრი ბინაძისა და თემურ ხაჩიშვილის მოლაპარაკების თანახმად, „შეფიცულებს“ სოფელ იგოეთთან ხაჩიშვილის შეიარაღებული რაზმი შეუერთდებოდა და შემდეგ თბილისისკენ დაიძვრებოდნენ“. მანამდე – 26 მაისს შსს-მ კიდევ ერთი ფარული აუდიოჩანაწერი გამოაქვეყნა, სადაც „სახალხო კრების“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე და მისი შვილი ანზორ ბინაძე ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლის შესაძლო სცენარებს განიხილავენ. 4-ნუთიან ჩანაწერში, ანზორ ბინაძე დედას სამოქალაქო ომის დაწყებას სთავაზობს. პარლამენტის ექს-თავმჯდომარის შვილი ასევე ქუჩის არეულობებსა და მსხვერპლზე საუბრობს, ვითარების განსამუხტავად კი გრუს-ს დახმარების იმედი აქვს.

გია უჩავა თავის აღიარებით ჩვენებაში ამბობს, რომ აქციების დაწყების დღიდან – ანუ 21 მაისიდან „შეფიცულთა“ გეგმის განხორციელებას პირადად გენერალი ბინაძე ხელმძღვანელობდა.

ბადრი ბინაძის ადგილსამყოფელი, ამ ეტაპზე, სამართალდამცავებისთვის უცნობია. უკანასკნელად ბინაძე ტელეკამერებმა „სახალხო კრების“ აქციაზე 23 მაისს დააფიქსირეს, როცა ნასვამი ყოფილი პროკურორი ერთ-ერთ ჟურნალისტთან კამათობდა. როგორც ჟურნალისტები ამბობენ, 25 მაისს – როდესაც „სახალხო კრება“ გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებოდა, ბინაძე მიტინგზე არ ყოფილა. რუსთაველზე იგი არ შეუმჩნევიათ არც 26 მაისს ღამით, როდესაც სპეცრაზმმა „სახალხო კრების“ აქცია დაშალა.

51 წლის ბადრი ბინაძე აქტიურ პოლიტიკაში მას შემდეგ ჩაერთო, რაც 2008 წლის გაზაფხულზე მისმა მეუღლემ – ნინო ბურჯანაძემ პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი დატოვა და ოპოზიციაში გადაინაცვლა.

შევარდნაძის პერიოდში ბინაძე 1992-97 წლებში ჯერ კრწანისის და შემდეგ ნაძალადევის რაიონის პროკურორი იყო. 1997-2001 წლებში კი მთავარი სა-

მხედრო პროკურორი გახდა. სწორედ მისი ამ თანამდებობაზე მოღვაწეობის დროს – 2001 წელს ნინო ბურჯანაძე პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს. მაშინ „მოქალაქეთა კავშირმა“ ბურჯანაძის სასარგებლოდ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას შევარდნაძის მიმართ ბინაძის ლოიალობაც გაითვალისწინა.

ბურჯანაძის სპიკერად დანიშნვიდან რამდენიმე თვეში, ბინაძე დააწინაურეს – იგი გენპროკურორის – ნუგზარ გაბრიჩიძის მოადგილედ დაინიშნა. მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძის-დროინდელ პარლამენტში ბურჯანაძე რეფორმატორთა გუნდის ნაწილად განიხილებოდა, ბინაძემ თანამდებობა შევარდნაძის პრეზიდენტობის უკანასკნელ დღეებამდე შეინარჩუნა. იგი 2003 წლის 20 ნოემბერს „ვარდების რევოლუციამდე“ 3 დღით ადრე იმ მოტივით გადადგა, რომ ხელისუფლება მასზე, როგორც ოპოზიციონერის ოჯახის წევრზე, ზენოლას ახდენდა.

5 წლის შემდეგ, ზუსტად იმავე მიზეზით, მას კიდევ ერთხელ მოუწევს თანამდებობის დატოვება.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ტრიუმფირატის ერთ-ერთი წევრის მეუღლე 2004 წლის 20 თებერვალს შინაგად საქმეთა მინისტრის მოადგილის და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის პოსტებზე დაინიშნა.

ახალ თანამდებობაზე დანიშნვიდან

■ **იმ ჩვენებებიდან და აუდიოჩანაწერებიდან გამომდინარე, რომლებიც სამართალდამცავებმა გაავრცელეს, „მეფიცულების“ მთავარი ამოცანა, თბილისში ვითარების დაძაბვა და ქუჩაში არეულობების მოწყობა იყო.**

რამდენიმე კვირაში ის აქტიურად ჩართო ასლან აბაშიძისგან „აჭარის გათავისუფლების“ ოპერაციაში. მაშინ სასაზღვრო პოლიციამ ბათუმის პორტში გემების შესვლა დაბლოკა, რაც აჭარისთვის ეკონომიკურ სანქციას ნიშნავდა.

მთელი ამ წლების განმავლობაში ბინაძის გვარი პრესაში მხოლოდ სასაზღვრო უწყებასთან დაკავშირებული ოფიციალური ვიზიტებისა და ლონისძიებების დროს თუ გამოჩნდებოდა.

2006 წლის თებერვალში ბინაძე ღიად დაუპირისპირდა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, რომელმაც ქრთამის აღებისთვის 4 მესაზღვრე დააკავა. მაშინ ბინაძემ საგანგებო პრესკონფერენციაც კი მოაწყო და გენინსპექციის მალაჩჩინოსანი „საქმის შეითხვნაში“ და მესაზღვრეების უკანონო დაკავებაში დაადანაშაულა.

2008 წლის ოქტომბერში, ნინო ბურჯანაძის მიერ პარლამენტის თავმჯდომარის პოსტის დატოვებიდან რამდენიმე თვეში, ბინაძემ ოფიციალური განცხა-



დემონსტრანტები კოსტავას გამზირზე, მაისი 2011

ფოტო: ზურა თვარაძე

316 ახიან "შეფიცულები"?



ფოტო: თომო ბარბაქაძე

„შეფიცულთა რაზმის“ დაფუძნების გადაწყვეტილება „სახალხო კრებამ“ 2011 წლის თებერვალში მიიღო. 10 მარტს ორგანიზაცია ქადრაკის სასახლეში დაფუძნდა. მის ხელმძღვანელად მსახიობი გია ბურჯანაძე დანიშნა. ბურჯანაძის განმარტებით, შეფიცულების მიზანი „მართალი სიმართლის“ პრინციპით მოქმედება იქნებოდა. „შეფიცულები“ გამოექომაგებოდნენ ხელისუფლების მხრიდან ძალადობისა და უკანონობის მსხვერპლებს, ასევე იბრძოდნენ სიტყვისა და გამოსატყვის თავისუფლებისთვის. ორგანიზატორების თქმით, „შეფიცულებს“ არ ექნებოდათ იარაღი. „შეფიცულთა რაზმის“ წესდება ზაქარია ქუცნაშვილს ეკუთვნის. წესდების მიხედვით, „შეფიცული“ „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს სტრუქტურული ერთეულის წევრია, რომელიც „სახალხო კრების“ წესდებით დასახული მიზნებისათვის, საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების საფუძველზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისგან უზრუნველყოფს“. ორგანიზაციაში თავიდანვე თბილისის მასშტაბით 1500 ადამიანი გაწევრიანდა. თბილისის გარდა „შეფიცულთა ორგანიზაცია“ დაფუძნდა ბათუმსა და ქუთაისში. შეფიცულებს საქართველოს მასშტაბით 3582 წევრი ჰყავდა.

დება დანერა გადადგომის შესახებ. ამ პერიოდს კორუფციის ბრალდებით მესაზღვრეთა მორიგი დაპატიმრება და სასაზღვრო უწყებისთვის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი შემცირება დაემთხვა, რაც ბინაძემ ასე ახსნა: „არ მინდა, ყოველივე ეს დაუუკავშირო პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის პოლიტიკურ გააქტიურებას, მაგრამ, სამწუხაროდ, სიტუაციის ანალიზი სწორედ ამაზე მიუთითებს“, – განაცხადა მან გადადგომის დღეს პრესკონფერენციაზე.

ამის შემდეგ ბინაძე უკვე აქტიურად ერთვება პოლიტიკაში და როგორც მასთან დაახლოებული ადამიანები ამბობენ, ნინო ბურჯანაძის პოლიტიკურ აქტივობასა და მის რადიკალიზმსაც უშუალოდ ბინაძე განსაზღვრავდა.

გადადგომიდან ერთ თვეში ბინაძემ ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიოში განაცხადა, რომ აქვს კონკრეტული მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს საქართველოს ხელისუფლების ბრალეულობას აგვისტოს ომის დანაშაულებში.

ბინაძეს უკავშირდება რამდენიმე ხმაურიანი ინციდენტი 2009 წლის გაზაფხულზე ოპოზიციური მოძრაობის გააქტიურების დროსაც. 2009 წლის მარტში „რუსთავი 2“-ზე გავიდა სიუჟეტი, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ ბადრი ბინაძე შეიარაღებული ჯგუფების ჩამოყალიბებას გეგმავდა. ამ სიუჟეტის გასვლიდან ორ კვირაში სამართალდამცავებმა ფარული ვიდეორჩანწერები გაავრცელეს და ბურჯანაძის პარტიის რამდენიმე წევრი დააკავეს, რომლებსაც უკანონო იარაღი აღმოუჩინეს. მაშინ ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ეს იყო ხელისუფლების „ბინძური კამპანია“ მისი პარტიის წინააღმდეგ.

პარლამენტის ექს-სპიკერს შსს-ს მიერ გავრცელებული ჩანაწერების ავთენტურობაში დღესაც ეჭვი შეაქვს, ხოლო აღიარებით ჩვენებებს „ზენოლის შედეგად მოპოვებულს“ ან „პროვოკატორების მიერ გავრცელებულს“ უწოდებს.

გირაო, რომელიც ბინაძეს გამოძიების პერიოდში თავისუფლების სანაცვლოდ შეეფარდა, ჯერჯერობით გადახდილი არ არის. როგორც ბურჯანაძე ამბობს, ამ თანხის გადახდას ბინაძის

ოჯახი არც აპირებს.

„ბადრი ბინაძე საიმედო ადგილასა და როცა საჭირო იქნება, გამოჩნდება“, – განუცხადა ბურჯანაძემ ჟურნალისტებს. მისი თქმით, არ არის გამორიცხული ხელისუფლებას ბინაძის ფიზიკური ლიკვიდაციაც ჰქონდეს დაგეგმილი.

26 მაისს მიტინგის დაშლის შემდეგ ბურჯანაძე თითქმის ყოველდღე მართავს პრესკონფერენციებს და სამართალდამცავებს საკუთარ დაკავებას სთავაზობს:

„რატომ არ მაკავებენ? მაგრამ, სააკაშვილს ნაკლებად აწყობს ჩემი დაჭერა იმიტომ, რომ ძალიან კარგად იცის, მისი ყოფილი, თუ ახლანდელი მინისტრებისგან განსხვავებით, ვერანაირ აღიარებით ჩვენებას, მით უფრო არარსებულ დანაშაულში ნამდვილად ვერ მიმაცემინებს. რა თქმა უნდა, მან იცის დაპატიმრებული და ციხიდან გამოსული ბურჯანაძეც მისთვის არის საფრთხე.“

პარლამენტის ყოფილი სპიკერი ამბობს, რომ სამართალდამცავები მისი ოჯახის წევრების დაპატიმრებასაც იმ მიზეზით ერიდებიან, რომ ამ შემთხვევაში „მთელი მსოფლიო აყვირდება“.

ერთადერთ ოფიციალურ კომენტარში, რომელიც საქართველოს პროკურატურამ ბინაძის საქმეზე გაავრცელა, ნათქვამია, რომ გირაოს ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული იყო ის ფაქტი, რომ ბინაძე არ არის ნასამართლევო. ასევე ის გარემოება, რომ მას „აქვს ქონება გირაოს უზრუნველსაყოფად“ და „ბრალდებულის პიროვნება, მისი ასაკი და საქმიანობა“.

როგორც იურისტი ლია მუხამაზერია განმარტავს, ბინაძისთვის გირაოს შეფარდებით, კანონი არ დარღვეულა: „საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, გირაოს შეფარდება ინდივიდუალურია. კანონი არ არეგულირებს, რა დანაშაულზე არ შეიძლება გირაოს დანიშვნა. შესაძლოა, ამ საქმეში მყოფ სხვა პირებს გირაო იმიტომ არ შეეფარდათ, რომ მისი გადახდისთვის სათანადო ქონებას არ ფლობდნენ“.

კანონის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ ბინაძის ოჯახი გირაოს არ გადაიხდის, მასზე ძებნა უნდა გამოცხადდეს. **■**

თვალსაზრისი

საქართველო ხეამის ობიექტი



სააკაშვილის რეჟიმის ნებისმიერი მეთოდით დისკრედიტირება კრემლის დღევანდელი პოლიტიკის მთავარი მიზანია.

ოლგა ალიონოვა, მოსკოვი

თბილისში საპროტესტო აქციის დარბევამდე რამდენიმე დღით ადრე შემთხვევით მომიხდა ჩართულ ტელევიზორთან რამდენიმე საათის გატარება. ტელევიზორს საერთოდ არ ვუყურებ, მით უმეტეს ტელეარხ Russia Today-ს. ამ ინგლისურენოვან არხს რუსეთში მაყურებელთა ძალიან მცირე აუდიტორია ჰყავს.

მაშ ასე, რას გადასცემდა Russia Today, რომელსაც რუსეთის იმიჯის გაკეთილშობილება ევალება, დღის მთავარ ახალ ამბად 23 მაისს? – არეულობას საქართველოში. ქუჩებში კვამლია, ირგვლივ არაფერი ჩანს, ადამიანები გარბიან, მათ ხელკეტებიანი სპეცრაზმელები ურტყამენ, ვიღაც აგდია ქუჩაში და ტირის; ვიღაც მანქანაში სვამს მცირეწლოვან ბავშვს, რომელიც დაჭრილია თუ შეშინებული, კარგად არ ჩანს. ამ კადრს ერთი წუთის განმავლობაში ზუსტად ოთხჯერ იმეორებენ. სხვა კადრებიც მუდმივად მეორდება. ნამყვანი კი საქართველოში ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციის ზენოლაზე და ადამიანის უფლებების დარღვევაზე ჰყვება.

ამის ნახვის შემდეგ თბილისელ მეგობრებს მოკლე ტექსტურ შეტყობინებას ვუგზავნი: „რა ხდება თქვენთან? ხალხს არბევენ?“ მპასუხობენ, რომ არა, რომ ასეთი არაფერი გაუგიათ. მოგვიანებით ვარკვევ, რომ Russia Today-მ საკუთარ სიუჟეტში თურმე 2007 წლის 7 ნოემბრის კადრები გამოიყენა. თუმცა, სიუჟეტს შესაბამისი ტიტრი მხოლოდ დასაწყისში, ზუსტად 2 წამი დაადო და შემდეგ მოაშორა. შესაბამისად, არავის,



დემონსტრანტი რუსთაველის გამზირზე, 25 მაისი 2011

ფოტო: ილიკა კაკაბინიძე

ვინც იმ დღეს Russia Today-ს უყურებდა, ეჭვი არ შეეპარებოდა, რომ ეს კადრები ახალი ამბავი არ არის.

მსგავსი ტელევიზიულების ხილვისა და სააკაშვილის სისხლიან რეჟიმზე დანერვილი მრისხანე სტატიების წაკითხვის შემდეგ ის საპროტესტო აქციები მასხენდება, რომლის ჩატარებასაც კრემლის ოპონენტები მოსკოვში ცდილობენ.

ნებისმიერი ასეთი 300-კაციანი, ან ღმერთმა ნუ ქნას, 500-კაციანი აქციის დღეს მოსკოვის ცენტრში პოლიციელების და ჯავშანტექნიკის იმ რაოდენობის მობილიზება ხდება, რომელიც თავისუფლად შეძლებდა ერთი პატარა სახელმწიფოს დაპყრობას.

კრემლის ყველა ოპონენტი ხომ მსოფლიოს მასონებისა და ამერიკის მიერაა გამოგზავნილი და ისინი მხოლოდ რუსეთის დაშლაზე ოცნებობენ.

ამაში რუსეთის და საქართველოს რეჟიმები ჰგვანან ერთმანეთს. რუსეთში მტრად აშშ-ს თვლიან, საქართველოში – რუსეთს. ძალიან ხელსაყრელია, როცა ყოველთვის არსებობს მტერი, რომელსაც შეუძლია ერთ მუშტად შეკრას კორუფციისა თუ უმუშევრობის გამო შეწუხებული ერი.

ოპონენტებთან ბრძოლის გასამართლებლად ორივე ხელისუფლებას აქვს თავისი არგუმენტები. საქართველოში ამბობენ, რომ ქვეყანაში დასავლური აზროვნება და მენტალობა ვითარდება და საბჭოური გამოსტომების ამოძრკვას ცდილობენ. თუმცა, საქართველოში მოსახლეობის დიდი ნაწილის მენტალიტეტი ჯერ კიდევ საბჭოურია და ბევრისთვის ამ მენტალობასთან ბრძოლა ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა.

კრემლში კი იმით ტრაბახობენ, რომ რუსეთში ოპოზიციის დარბევა ადამიანური მსხვერპლის გარეშე ხდება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ კრემლის ოპოზიციას, მაგალითად, 9 მაისის ალღუმის წინა ღამეს წითელი მოედანი არ დაუკავებია. ან წითელ მოედანზე იმპროვიზირებულ საკენებში არც ალკოჰოლური სასმელები დაუღვია და იქაურობა, უკაცრავად, არც საზოგადოებრივ ტყუალეტად უქცევია. ასე რომ, ორივე მხა-

რის არგუმენტები სუსტია.

ამ სიუჟეტიდან ორ-სამ დღეში რუსთაველზე ოპოზიციის ნამდვილი დარბევა მოხდა – მსხვერპლითა და დაპატიმრებულებით. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ არაორაზროვანი განცხადება გააკეთა, რომ საქართველოში ადამიანის უფლებები ირღვევა და რომ დასავლეთმა, ბოლოს და ბოლოს, ამაზე რეაგირება უნდა მოახდინოს.

რუსეთის საგარეო სამინისტროს განცხადება ადეკვატური იქნებოდა, იგი რუსეთის საგარეო სამინისტროს განცხადება რომ არ იყოს. რუსეთმა ჯერ საკუთარ თვალში დირეს მიხედოს, სანამ მეზობლის თვალში ნამცეცს შეამჩნევს.

■ Russia Today,

რომელსაც

რუსეთის იმიჯის

გაკეთილშობილება

ევალება, დღის მთავარ

ახალ ამბად 23 მაისს

2007 წლის 7 ნოემბრის

კადრებს გადასცემდა.

ამ ყველაფრის შეჯერების შედეგად აბსოლუტურად ნათელი ხდება, რა არის კრემლის მიზანი. კრემლმა მშვენივრად იცის, რომ სააკაშვილის დამხობას სუსტი ქართული ოპოზიცია ძალის გამოყენებით ვერ შეძლებს, მაგრამ მოსკოვს სწორედ ეს „კადრები“ სჭირდება, რათა შემდეგ Russia Today-ზე ატრიალოს და დასავლეთის თვალში საქართველოს დისკრედიტირება მოახდინოს.

საკაშვილის რეჟიმის ნებისმიერი მეთოდით დისკრედიტირება კრემლის დღევანდელი პოლიტიკის მთავარი მიზანია. როგორც ჩანს, ეს რთული ამოცანა სულაც არ არის – სააკაშვილის რეფორმატორული გუნდის პოლიტიკამ

საქართველოში ბევრი ადამიანი გაანაწყენა. უმუშევრობა აქ პიკს აღწევს, ბევრი ადამიანი სიღარიბის ზღვარს მიღმაა.

საქართველოს დისკრედიტირება მსგავსი კადრებით ნამდვილად შესაძლებელია. ოპოზიციის დარბევამ, სპეცრაზმის მხრიდან სასტიკმა ძალადობამ აღშფოთება და ზიზლი გამოიწვია იმ ადამიანთა რიგებშიც კი, ვინც მიიჩნევს, რომ ქართული რეფორმები პოსტ-საბჭოთა სივრცეში ყველაზე წარმატებული პროექტია.

მაგრამ, რის მიღწევა სურს რუსეთის ხელისუფლებას საქართველოსა და სააკაშვილის დისკრედიტირებით? საუკეთესო შემთხვევაში, სააკაშვილი წავა. მაგრამ, ნუთუ კრემლში სჯერათ, რომ მის ადგილას ისეთი ადამიანი მოვა, რომელიც აშშ-სთან პარტნიორობას, რუსეთთან საქმის დაჭერას ამჯობინებს? ეს რომ არ მოხდება, დღესავით ნათელია.

იქნებ დისკრედიტაცია ეს ბოლო მცდელობაა და მართალია რუსი ექსპერტი დიმიტრი შუშარინი, რომელიც ამბობს, რომ ქართული ოპოზიციის მარცხი რუსეთის მორიგი ოპერაციისთვის საკმარისი მიზეზია? შუშარინი არ გამოიციხავს ჩქინური სცენარის განმეორებას – როცა დუდაევს ოპოზიცია ვერ გაუმკლავდა, რუსეთმა ტანკები შეიყვანა. „რუსეთის შემადგენლობაში მყოფ რესპუბლიკებსა და სუვერენულ სახელმწიფოს შორის განსხვავებას კრემლი ვერ ხედავს“, – მიიჩნევს ექსპერტი.

როგორც უნდა იყოს, რუსეთის ტელეარხებზე კვლავ გრძელდება საქართველოს დისკრედიტირება. ახლახანს ლიბერალურ არხად მიჩნეულ „რენ ტვ“-ზე, Russia Today-ის ხელმძღვანელი, პუტინთან დაახლოებული ჟურნალისტი მარგარიტა სიმონიანი და ამავე არხის ერთ-ერთი ამერიკელი მიმომხილველი ჰყავდათ მინეული. სიმონიანმა ჰკითხა თავის ამერიკელ კოლეგას: „ნუ, როდის გადაიყვარებთ, თქვენ, ამერიკელები, სააკაშვილს? კიდევ რალა უნდა ჩაიდინოს და ვინ უნდა დაარბიოს, რომ თქვენ იგი გადაგიყვარდეთ?“

შოუ გრძელდება. ■



უმოქმედო პოლიტიკოსი

დედაქალაქი N2

რა გადაწონის – ქუთაისის მეორე დედაქალაქად ფორმირებისთვის დახარჯული თანხა თუ პროექტის განხორციელებიდან მიღებული ეკონომიკური სარგებელი?

მანანა ვარდიაშვილი

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ქვეყნის მთავარი საკანონმდებლო ორგანო ქუთაისში გადავა. თბილისის შემდეგ მეორე პოლიტიკური ცენტრის ჩამოყალიბებით ხელისუფლება ქვეყნის დეცენტრალიზაციას, რეგიონის ეკონომიკური განვითარების სტიმულირებას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას გეგმავს.

ქუთაისის ტრანსფორმაციისთვის გაწეულ ხარჯებს ხელისუფლება საგულდაგულოდ ასაიდუმლოებს. რამდენიმე

სახელმწიფო უწყების ქუთაისში გადატანამ, ჯერჯერობით, ვერც ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მხრივ შეცვალა სურათი – ქუთაისში გადასულ სამთავრობო დაწესებულებებში, ძირითადად, ისევ თბილისიდან წაყვანილი კადრები მუშაობენ.

პარლამენტის თბილისიდან ქუთაისში გადატანა საპრეზიდენტო პროგრამის – „ქუთაისი – საქართველოს მეორე დედაქალაქის“ მთავარი პროექტია. საკანონმდებლო ორგანოს გარდა, ქუთაისში მთა-

ვრობის სასახლეც უნდა აშენდეს.

„თქვენ გეგონათ, მარტო პარლამენტი გადმოდიოდა, მაგრამ ნელ-ნელა ვიპარებით, ნაბიჯ-ნაბიჯ“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა 2010 წლის 16 ნოემბერს, – „ჯერ შემოგაპარეთ პარლამენტი, ახლა – მთავრობა და ასე ვახორციელებთ ქუთაისის მეორე დედაქალაქად ქვეყის პროექტს.“

საპრეზიდენტო პროგრამის განხორციელების აუცილებლობა პრეზიდენტმა ასე დაასაბუთა:

„საქართველოს ცენტრთან ყველაზე ახლო მყოფი დიდი ქალაქი არის ქუთაისი და იმის გათვალისწინებით, რომ განვითარება ხდება ზღვისკენ, იმის გათვალისწინებით, რომ ამ გველემზე რუსეთს კლანჭი აქვს ჩაგლეხული ჩვენს ყველაზე მნიშვნელოვან ტერიტორიაზე და პირდაპირ თავზე დაგვეყურებს თავისი სამხედროებით ქართლის ნანილში, ამ ყველაფრის და იმის გათვალისწინებით, რომ თბილისს სჭირდება განვითარება და ამ რეგიონს სჭირდება განვითარება, ეს არის ძალიან სტრატეგიული და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება“.

ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობა ირაკლი აბაშიძის გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე შენდება, იქ, სადაც 2 წლის წინ „დიდების მემორიალი“ იდგა და რომლის დემონტაჟსაც დედა-შვილის, 42 წლის ეკა ცუცუვაშვილის და 11 წლის ნინო ჯინჭარაძის სიცოცხლე შეენირა.

პარლამენტის შენობის პროექტის ავტორი ესპანელი არქიტექტორი ალბერტო დომინგო კაბოა. მინისა და მეტალის კონსტრუქციისგან დაპროექტებული ნაგებობა 40 ათას კვ.მ.-ს დაიკავებს. ახალ პარლამენტს 271 კაბინეტი და 11 საკონფერენციო დარბაზი ექნება. პროექტის თანახმად, პარლამენტში კაბინეტი პრეზიდენტისთვისაც მოეწყობა.

ოფიციალურად, საკანონმდებლო ორგანოს ქუთაისში გადატანის ინიციატივა დეპუტატ აკაკი ბობოხიძეს ეკუთვნის. ბობოხიძის ინიციატივა პლენარულ სხდომაზე 2009 წლის დეკემბერში განიხილეს. თუმცა, პარლამენტის თბილისიდან გადატანის შესახებ „საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს“ შესაბამისი ფინანსური ახსნა-განმარტება არ მოჰყოლია. ნომერ პირველი დედაქალაქიდან საქართველოს მეორე დედაქალაქში პარლამენტის გადატანის გადაწყვეტილება დეპუტატებმა ფინანსური დოკუმენტაციის გარეშე მიიღეს.

ხელისუფლება აცხადებს, რომ საპრეზიდენტო პროგრამა „ქუთაისი – საქართველოს მეორე დედაქალაქი“ მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროექტია, რომელიც ქალაქში, პირველ რიგში, ინფრასტრუქტურის მოწყობას, გზების

მშენებლობას, წყალგაყვანილობის მონესრიგებას და გაზიფიკაციის დასრულებას გულისხმობს.

დეტალური ხარჯთაღრიცხვა – რაოდენობის თანხა უნდა დაიხარჯოს 2012 წლამდე ახალი პარლამენტის მშენებლობასა და ქუთაისის მეორე დედაქალაქად გარდაქმნაზე – არ არსებობს. მთავრობის ვებგვერდზე არ დევს არცერთი ის განკარგულება, რომელიც პარლამენტის ახალი შენობის დაფინანსებას ეხება.

მთავრობის 2010 წლის №418-ე განკარგულებით, მშენებლობაზე პასუხისმგებელი უწყება ქუთაისის მერიაა.

ქუთაისის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ინფორმაციით, პარლამენტისა და სხვადასხვა სამთავრობო უწყებების შენობების მშენებლობისთვის ბიუჯეტიდან უკვე 72 მლნ 552 ათას 385 ლარია ათვისებული. ეს თანხა ქუთაისის მერიამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ტრანსფერის სახით მიიღო.

სამშენებლო კომპანიებიც ქუთაისის მთავრობამ შეარჩია. მშენებლობას ერთ პირთან მოლაპარაკების გზით შერჩეული კომპანია „მაგი სტილი“ ახორციელებს, რომლის ქვეკონტრაქტორი ფირმა „ნიუ ინტერნეიშენალია“.

სამენარმეო რეესტრის ამონაწერიდან ირკვევა, რომ ამ ორივე კომპანიას ერთი და იგივე მფლობელი ჰყავს. „რუსთავი 2“-ის ყოფილი დირექტორი და ამჟამად კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანი და „რუსთავი 2“-ის ამჟამინდელი გენერალური დირექტორი გიორგი გეგეშიძე.

პარლამენტის მშენებლობის ადგილს დაცვის პოლიცია 24 საათის განმავლობაში ყარაულობს. სპეციალური ნებართვის გარეშე ტერიტორიაზე შესვლის უფლება არავის აქვს. „ლიბერალმა“ ამ ტერიტორიაზე ფოტოს გადაღების უფლებაც ვერ მიიღო.

პარლამენტის ახალი შენობის მშენებლობა 2010 წლის აპრილში დაიწყო. ამ ეტაპზე მინისქვეშა სამუშაოები დასრულებულია. მშენებლობა 2012 წლის შემოდგომისთვის უნდა დასრულდეს.

პარლამენტის გვერდით 6-სართულიანი მთავრობის სასახლეც შენდება. მშენებლობას „კავკასუს როუდ პროჯექტი“ ახორციელებს. მთავრობის სასახლეში პრემიერ-მინისტრს საკუთარი კაბინეტი ექნება. იქნება დარბაზები სამთავრობო შეხვედრებისთვის და ოთახები თანამშრომლებისთვის. ამ შენობის პროექტის ავტორიც ალბერტო დომინგო კაბოა.

ახალი შენობების მშენებლობაზე დასაქმებული მუშების უმეტესობა თბილისელია, რადგან ქუთაისში ცოტაა მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი.

■ ნომერ პირველი

დედაქალაქიდან

საქართველოს მეორე

დედაქალაქში პარლამენტის

გადატანის გადაწყვეტილება

დეპუტატებმა ყოველგვარი

ფინანსური დოკუმენტაციის

გარეშე მიიღეს.

პარლამენტის ქუთაისში გადატანის შემდეგ პარლამენტართა ნაწილი წყალტუბოში იცხოვრებს.

„ქუთაისი და წყალტუბო ქვეყნის ტურისტული ცენტრი გახდება. მას შემდეგ, რაც ქუთაისი საპარლამენტო ქალაქი გახდება, ქართველი დეპუტატები წყალტუბოში იცხოვრებენ“, – განაცხადა სააკაშვილმა 2010 წლის 25 მაისს წყალტუბოში ბალნეოლოგიურ ცენტრ „წყალტუბო სპა რეზორტის“ გახსნის საზეიმო ღონისძიებაზე.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა სალარეიშვილი დეპუტატების მომავალ საცხოვრებელ ადგილად წყალტუბოს შერჩევის მიზანს ასე განმარტავს: „მშვიდი ქალაქია, თან კურორტია და ამავე დროს, ქუთაისთან ახლოსაა“.

ხელისუფლების დაპირების თანახმად, ქუთაისში სამთავრობო უწყებების გადასვლის შედეგად ქალაქი ადმინისტრაციულ ცენტრად უნდა გადაქცეულიყო, უნდა შექმნილიყო ადგილობრივი მოსახ-

ლეობისთვის სამუშაო ადგილები. ამ დაპირებიდან უკვე 2 წელზე მეტი გავიდა, თუმცა ქუთაისელთა უმეტესობა დღეს კვლავ დაუსაქმებელია.

„დაგვიპირდნენ, სამუშაო ადგილები გექნებათო. ჩვენთვის არაფერი შეცვლილა, თავისი ხალხი ჰყავთ ყველგან დასაქმებული“, – ამბობს ქუთაისში მცხოვრები ნინო ცერცვაძე.

ქუთაისში გადასული სამთავრობო უწყებებიდან ჯერჯერობით სრულყო-

მა“ განახორციელა და სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებაზე ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერის სახით მიღებული 18 მილიონი ლარი დახარჯა. აქედან 140 ათასი ლარი თეთრი ხიდის რეაბილიტაციას მოხმარდა. დაჩქარებული ტემპით დაგებული ფილაქანი მწყობრიდან მალევე გამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ ხიდი მხოლოდ ფეხით მოსიარულეთათვის იყო განკუთვნილი, საზეიმო გახსნიდან ერთ თვეში მას ისევ

-განაშენიანების მიზნით აზომვითი სამუშაოები ჩაატარეს და ინფრასტრუქტურის მოსაწყობად პირველადი, მინისქვეშა სამუშაოებიც დაასრულეს. ადგილობრივმა მოსახლეობამ კეთილმონყობის პროექტის შესახებ არაფერი იცის. ამბობენ, რომ მშენებარე პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაადგილება შეიზღუდება. კერძოდ, გადაიკეტება ე.წ. ბეტონის ხიდი და ავტომანქანები შემოვლითი გზებით ივლიან.

„ჩვენ არავინ არაფერი გვითხრა, ამიტომ ხალხში განსხვავებული ინფორმაციები ვრცელდება. ზოგი იმასაც ამბობს, რომ შეიძლება გაგვასახლონ აქედანო. სხვები ამბობენ, რომ ჩვენ საცხოვრებელ სახლებს შეღებავენ, ან მინებში ჩასვამენო. გაკეთდება სკვერი, ფანტანი, მოწესრიგდება ტროტუარი და მოძრაობა ჩაიკეტებაო,“ – ჰყვება მშენებარე პარლამენტთან მცხოვრები ლუბა მილიაქინა.

„ზუსტად რა იქნება, არ ვიცი, მაგრამ ამბობენ, რომ პარლამენტის მშენებლობის დასრულების შემდგომ, მის მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლები არ უნდა იყოს და მოსახლეობას სხვა ადგილზე მისცემენ საცხოვრებელ ფართებსო. გარდა ამისა, ბეტონის ხიდი დაინგრევა, ეს გზა გადაიკეტება და სამტრედიის ხიდიდან შემოვლითი გზით ვივლით“, – ამბობს მშენებარე პარლამენტთან მცხოვრები მზია ჯანელიძე.

პარლამენტის ტერიტორიის მოწყობა-განაშენიანების ახალი პროექტის არსებობის შესახებ არაფერი იციან არც ქუთაისის მერიის კეთილმონყობის სამსახურში. ინფორმაცია არ აქვთ არც ქუთაისის მერიის არქიტექტურის სამსახურში. პარლამენტის ახალი შენობის მშენებლობის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის ერთადერთი წყარო ქუთაისში ქვეყნის პირველი პირის ჩასვლის დროს ცენტრალურ ტელეარხებზე გავრცელებული კადრები და განცხადებებია.

ქუთაისში გადასვლის შემდეგ პარლამენტის ამჟამინდელი შენობა გაიყიდება. მისი ღირებულება 90 811 609 ლარადაა შეფასებული. **■**



ფილად მხოლოდ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ფუნქციონირებს. ის ქუთაისში 2008 წელს გადავიდა. დანარჩენ ორ უწყებაში – კონტროლის პალატასა და საგზაო დეპარტამენტში თავს იმით იმართლებენ, რომ ისინი ჯერ კიდევ „ახალმოსახლეები“ არიან. საგზაო დეპარტამენტი საკუთარ ფუნქციას სრულყოფილად რომ ვერ განახორციელებს, ამას დეპარტამენტში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობაც ცხადყოფს: დეპარტამენტში მისულ „ლიბერალის“ კორესპონდენტს ადგილზე მხოლოდ 4 სპეციალისტი და დაცვის ორი თანამშრომელი დახვდა.

ჯერჯერობით, არც ქალაქის ისტორიული ნაწილია მოწყობილი. 2008 წლის 21 დეკემბერს საზეიმო ვითარებაში გახსნილ და რეაბილიტირებულ უბანში შენობების უმეტესობა ისევ შეკეთებას საჭიროებს. ისტორიული უბნის სარეკონსტრუქციო სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია „თბილის-

შეკეთება დასჭირდა. „ხიდის საფარისთვის იმდენად უხარისხო მასალა შეირჩა, რომ მას ქალის ფეხსაცმლის ქუსლიც კი აზიანებდა,“ – ამბობს საკრებულოს წევრი და „ალიანსი საქართველოსთვის“ ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი მამუკა მღვდელაძე.

თეთრ ხიდს 2008 წლის შემდეგ რეაბილიტაცია უკვე ორჯერ ჩაუტარდა. ამჯერად, ხიდი ძლიერი ქარის შედეგად იმდენადაა დაზიანებული, რომ მასზე ფეხით გადაადგილება საშიფათოა. უსაფრთხოების მიზნით, ხიდი გადაკეტეს და სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყეს. ამჯერად თეთრი ხიდის რეაბილიტაციისთვის 200 ათასი ლარია გამოყოფილი – მის თავდაპირველ რეკონსტრუქციაზე დახარჯულ თანხაზე 60 ათასი ლარით მეტი. რეაბილიტაციისთვის საჭირო თანხები კომპანია „თბილისმა“ აანაზღაურა.

პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე კი ადგილის კეთილმონყობა-



საბჭოთა მიმკვიდრობა

შეზღუდვი დუსტხასია

„თავისუფლების ქარტია“ დამტკიცებულია, თუმცა ის ინფორმაცია, რაც საბჭოთა წარსულის შესაფასებლად საჭირო, ახლად დამტკიცებული კანონის ამოქმედების შემდეგაც დახურული დარჩება.

მაია წიკლაური

31 მაისს 81 ხმით არცერთის წინააღმდეგ პარლამენტმა „თავისუფლების ქარტია“ მიიღო, რომელმაც საქართველოში პირველად დააკანონა ლუსტრაცია. ამით საქართველო საბჭოთა კავშირის დაშლიდან მხოლოდ ოცი წლის თავზე შეუერთდა იმ ქვეყნებს, რომელთაც ნიუ-იორკის საერთაშორისო კონვენტიონმა დააფასება დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე სცადა.

ახლა საბჭოთა უშიშროების აგენტებისა და გადაწყვეტილების მიმღები მაღალჩინოსნების ლუსტრაცია, საბჭოთა და ფაშისტური სიმბოლიკის აღკვეთა ჩვენთანაც კანონით დარეგულირდება. ქარტია გამოქვეყნებიდან 2 კვირის ვადაში უნდა ამოქმედდეს.

ეს ნიშნავს იმას, რომ კანონის ძალაში შესვლისთანავე შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელმაც შესაძლოა, მაგალითად, „კინოს სახლზე“ ვარსკვლავის მოხსნის გადაწყვეტილება მიიღოს, სოფელ ლენინოვკას კი სახელი შეუცვალოს ისევე, როგორც სამეგრელოს სოფლებში დღემდე შემორჩენილ ბერის სახელობის ქუჩებს.

ეს ნიშნავს იმასაც, რომ ადამიანი, რომელიც საბჭოთა უშიშროების ორგანოებთან თანამშრომლობდა, ვალდებული იქნება, კანონის ამოქმედებიდან ექვსი თვის ვადაში საჯარო რეესტრში გამოცხადდეს და წერილობით, თავისი ნებით აღიაროს, როდის თანამშრომლობდა საბჭოთა ორგანოებთან, სად და რა პერიოდში; თუ ის მუშაობს სახელმწიფო უწყებაში, აღიარების შემდეგ თანამდებობაც უნდა დატოვოს. სახელმწიფო სამსახურიდან წასვლა – ეს მისთვის იქნება კომპრომისი საბჭოთა წარსულის გამო, მაგრამ იმის გარანტიაც, რომ თანამდებობას ჩამოშორების შემდეგ ინფორმაცია მის შესახებ საზოგადოებისთვის სამუდამოდ დაიხურება. ამის შემდეგ ყოფილ აგენტს შეეძლება, საქმიანობა მხოლოდ კერძო სექტორში განაგრძოს.

კანონპროექტის ავტორი, დეპუტატი გია თორთლაძე ამბობს, რომ „თავისუფლების ქარტია“ – ესაა დოკუმენტი, რომელსაც საზოგადოება ოცი წელი ელოდა. თორთლაძის თქმით, ის ხელს შეუწყობს „დეკომუნიზაციას და ამ იდეოლოგიასთან საბოლოოდ დამშვიდობებას“.

თუმცა მკვლევრებს, რომლებიც საბჭოთა წარსულზე მუშაობენ, ეჭვი ეპარებათ,

რომ თავისუფლების ქარტია საზოგადოებაში 70-წლიანი კომუნისტური ეპოქის შესახებ სერიოზულ დისკუსიას გამოიწვევს. ის ადამიანებიც კი, რომლებიც ლუსტრაციის კანონის მიღებას საჭიროდ მიიჩნევდნენ, ამბობენ, რომ ეს კანონი რეალურად არც ლუსტრაციას უზრუნველყოფს.

ამის ერთი-ერთი მთავარი მიზეზი, მათი აზრით, კანონის ბუნდოვანი დებულებებია. ყველაზე დიდი ხარვეზი კი მკვლევრებისთვის, ისევე, როგორც იურისტებისთვის გადაწყვეტილების მიმღები კომისიაა.

კომისია შინაგან საქმეთა სამინისტროში

3 ივნისს „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ საქართველოს პრეზიდენტს მიმართა თხოვნით, რომ „თავისუფლების ქარტიას“ ვეტო დაადოს. საია-ს მტკიცებით, კანონი იძლევა მისი არასწორი ინტერპრეტაციისა და გამოყენების საშუალებას, რის გამოც სერიოზულად დადგება ადამიანის უფლებათა დარღვევისა და კანონის პირადი ინტერესებისათვის გამოყენების საფრთხე. საია პრეზიდენტს მოუწოდებს, დოკუმენტი პარლამენტს მოტივირებული შენიშვნებით განსახილველად დაუბრუნოს.

ენიჭება, რომ ესაა უწყება, სადაც კომუნისტური პარტიისა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივებია დაცული და კომისია მის გარეშე მუშაობას უბრალოდ ვერ შეძლებს.

„ამ კომისიას ინსტიტუციური პრობლემები აქვს,“ – საპასუხო არგუმენტს წარმოადგენს იურისტი, თამარ ჩუგოშვილი, – „კანონი კომისიის დამოუკიდებლობას არ უზრუნველყოფს. ევროსაბჭოს რეზოლუციაში კი წერია, რომ ასეთი კომისიის ეფექტურად მუშაობისთვის სწორედ დამოუკიდებლობის მაქსიმალური ხარისხია ყველაზე მნიშვნელოვანი“.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ დასკვნის მიხედვით, კანონი იმის შესაძლებლობასაც იძლევა, რომ კომისიამ მხოლოდ ფიქტიურად იტვირთოს გადაწყვეტილების მიმღების როლი და რეალურად კი „რეესტრის“ ფუნქცია შესრულოს. კანონის მიხედვით, შსს არ არის ვალდებული კომისიას ყველანაირი ინფორმაცია მიანდოს. შესაბამისად, ამ უწყებას რჩება შანსი მხოლოდ წინასწარ გადაამუშავებული, შერჩეული ან შეზღუდული ინფორმაცია გაცეს.

ისტორიკოსი ლაშა ბაქრაძეც დარწმუნებულია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი კომისიის შსს-ს ბაზაზე შექმნა ცოდნის მონოპოლიზებას გამოიწვევს და არა საბჭოთა წარსულის რეალურად შესწავლას. „ინფორმაციის მონოპოლიზება კი ყოველთვის იწვევს ინფორმაციის ბოროტად გამოყენების საშუალებას. თუ საზოგადოება არ იქნება ჩართული, ეს იქნება ინფორმაციის დამალვისა და ვილაცაზე ზენოლის საშუალებაც, რაც, ალბათ, აქამდეც ხდებოდა,“ – ამბობს ბაქრაძე და დამოუკიდებელი კომისიის კლასიკურ მაგალითად გერმანიის შტაზის დოკუმენტების სამმართველოს ასახელებს.

1990-იან წლებში, გერმანიის გაერთიანების შემდეგ, როდესაც გდრ-ის უშიშროების სამინისტროს საიდუმლო დოკუმენტების გახსნა დაიწყო, გერმანიის კანცლერმა ჰელმუტ კოლმა მოითხოვა, რომ საქმეები, რომლებიც მის შესახებ პირად ინფორმაციას შეიცავდა, საჯარო არ გამხდარიყო. თუმცა, კომისია ამის წინააღმდეგ წავიდა. იმისთვის, რომ დოკუმენტების რაღაც ნაწილი მაინც დაეხურა, კოლს საქმეში სასამართლოს ჩარევა დასჭირდა.

ფოტო: მარია შრობაშვილი



ორთაჭალაშ ლობის ფრამენტი, 1 ივნისი 2011

ფოტო: გიორგი კორიძე

გერმანიის პრაქტიკის შესწავლა, შესაძლოა, საქართველოსთვის საბჭოთა სიმბოლიკის ბედის გადარჩევითი საკითხშიც სამაგალითო გამოდგეს. ორი გერმანიის გაერთიანების შემდეგ გდრ-ის ბევრ ქალაქში საბჭოთა მემკვიდრეობა და კულტურული ძეგლები დაიცვეს და ტურისტულ ღირსშესანიშნაობად აქციეს. თორთაქამია, რომ მისი ამოქმედებისთანავე საბჭოთა და ფაშისტური სიმბოლიკა საქართველოში უნდა აღიკვეთოს.

– როდესაც ვამბობთ საბჭოთა-ს, ვგულისხმობთ საბჭოთა კავშირს. საბჭოთა იდეოლოგიაში კი ვგულისხმობთ, ვთქვათ, ვლადიმერ მაიაკოვსკისაც, რომელიც თავს ბოლშევიკად მიიჩნევდა? თუ ასეა, გამოდის, რომ ახლა სახელმწიფო მხარს არ დაუჭერს მაიაკოვსკის ლექსების წაკითხვას „საზოგადოებრივი მუწყების“ თერში, რადგან ეს აღიქმება, როგორც ბოლშევიზმის პროპაგანდა? ანდა, გადასაყრელი გახდება 1930-იანი წლების მთელი კინოარქივი, როგორც პროპაგანდისტული კინო? – ჰკითხა კინომცოდნე გოგი გვახარამ თორთაქამს კანონპროექტის განხილვისას „კავკასიურ სახელში“.

– ცხადია, არა, მაიაკოვსკის და მიხეილ ჭიაურელს არავინ აკრძალავს, – იუარა კანონის ავტორმა.

რეალურად, კანონის ეს ნაწილი იმდენად ზოგადია, რომ წინასწარ არც მის ავტორს – გია თორთაქამს შეუძლია, დანამდვილებით ამტკიცოს, რა გადარჩევითი იქნება მიიღებს კომისია მსგავსი საკითხების გადაჭრისას.

მაგალითად, დოკუმენტში ისიც კი არაა კონკრეტულად განსაზღვრული, თუ რას ნიშნავს საბჭოთა სიმბოლიკის აღკვეთა – ძეგლების ჩამოსხმას, გადაყრას, თუ მუზეუმში გადატანას. თორთაქამს კი, კანონში ჩადებული გარანტიების გარეშე, მხოლოდ ზეპირად უნევს პირობის დადება, რომ სიმბოლიკასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას, შსს-ში შექმნილ კომისიასთან ერთად, მონვეული სპეციალისტებიც მიიღებენ.

სერგო რატინს, რომელიც საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ისტორიას იკვლევს, დისკომფორტს სწორედ ეს ბუნდოვანება უქმნის: „აღკვეთა ბევრ რამეს შეიძლება ნიშნავდეს: საზოგადოების ინფორმირებას

ვის ეხება ლესხასიის ანონი?

„თავისუფლების ქარტიის“ მიხედვით, თანამდებობრივი შეზღუდვები სიცოცხლის ბოლომდე შეეხება პირებს, რომლებიც 1921 წლის 25 თებერვლიდან 1991 წლის 9 აპრილამდე იყვნენ:

★ ყოფილი სსრკ-ის სპეციალური სამსახურების საიდუმლო თანამშრომლები და სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ოფიცრები, რომლებმაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან:

- ▶ უარი განაცხადეს დამოუკიდებელი საქართველოს სპეციალურ სამსახურებთან საიდუმლო თანამშრომლობაზე;
- ▶ გაირიცხნენ საიდუმლო

თანამშრომელთა აპარატიდან;

▶ დაუდგენელი მიზეზების გამო განვიტეს კავშირი საქართველოს სპეცსამსახურებთან.

★ ასევე: საქართველოს სსრკ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, რაიონული და საქალაქო კომიტეტის მდივნები და ახალგაზრდული ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები;

- ★ პირები, რომელთა მიმართაც არსებობს მონაცემები უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან მათი ფარული კავშირის შესახებ;
- ★ საქართველოს ტელე-

რადიოაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე. ეს ადამანები ვერ დაინიშნებიან სახელმწიფო ორგანოებში მაღალ, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. თანამდებობრივი შეზღუდვა არ ეხებათ პირებს, რომლებიც არჩევით თანამდებობაზე დასანიშნად არჩევნებში იღებენ მონაწილეობას. თუ პირი, რომელიც სპეციალურ სამსახურებთან თანამშრომლობდა, არჩევნებში მონაწილეობას გადაწყვეტს, ცენტრალური საარჩევნო კომისია ვალდებულია, მის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებისთვის საჯარო გახადოს.

იმაზე, რომ საბჭოთა სიმბოლიკა ცუდია, ან პირდაპირ სიმბოლიკის განადგურებასაც. სასურველია, დეტალურად იყოს განერილი, კონკრეტულად რა ბედი ელის სიმბოლიკას. კანონმა სრულყოფილად უნდა განმარტოს, თუ როგორ მოვექცევით ძეგლს“.

საია-ს იურისტები მიუთითებენ კიდევ ერთ პრობლემაზე, რომელსაც კანონი ქმნის. ესაა თავდაცვის მექანიზმის არარსებობა იმ პირებისთვის, ვისაც კომისია აგენტად გამოაცხადებს, ის კი საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებას სასამართლოს გზით გადაწყვეტს. კანონი მათ არ მიანიჭებს უფლებას, გაეცნონ არქივის იმ საიდუმლო მასალებს, რითაც კომისიამ გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა. ეს კი მათ სასამართლოზე თავდაცვის საშუალებას ნაართმევს.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, დღეს არცერთ მოქალაქეს არ მიუწვდება ხელი არქივის საიდუმლო მასალებზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ დოკუმენტები მათ პირად საიდუმლოებებს შეიცავს. ამ ინფორმაციის დამუშავება ეკრძალებათ საბჭოთა ეპოქის მკვლევრებსაც.

„თავისუფლების ქარტია“ ამ რეალობას არ შეცვლის. გამოდის, რომ ის ინფორმაცია, რაც საბჭოთა წარსულის შესაფასებლად რეალურადაა საჭირო, ახლად დამტკიცებული კანონის ამოქმედების შემდეგაც დახურული დარჩება.

თუმცა კანონის ავტორს ლუსტრაციის პროცესი ქართულ კონტექსტში სწორედ ასე წარმოუდგენია. გია თორთლაძის მტკიცებით, საბჭოთა ნომენკლატურის ლუსტრაცია იმ ფორმით, რა ფორმითაც ეს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში რამდენიმე წლის წინ მოხდა, ჩვენთან, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ოცი წლის შემდეგაც, ძალიან მტკივნეული პროცესი იქნება. ამიტომ დარწმუნებულია, რომ ლუსტრაცია საქართველოში მხოლოდ თანამდებობრივი შეზღუდვით უნდა შემოიფარგლოს და ინფორმაციის ძირითადი ნაწილი საზოგადოებისთვის კვლავაც დახურული უნდა დარჩეს.

„არანაირი სიების გამოქვეყნება! ეს თუ მოხდა, დავიღუპებით! შემიძლია, დანამდვილებით გითხრა, რომ დაინყება ანგარიშსწორება – აი, შენ ვინ იყავი, აი, ბაბუაშენი ვინ იყო, ბაბუაშენმა ბაბუაჩემი დახვრიტა

– აღარ დამთავრდება ეს ყველაფერი და დაგვიტოვებს ძალიან მძიმე შედეგებს. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ლუსტრაციისთვის საუკეთესო გზა ახლა მხოლოდ თანამდებობრივი შეზღუდვა იქნებოდა“, – ამბობს თორთლაძე.

ეს რომ ნამდვილი ლუსტრაცია არაა, ამაზე მკვლევრები თანხმდებიან. „ეს იქნება მხოლოდ კომისიის კუთვნილი ცოდნა და არა საზოგადოების“, – ამბობს ლაშა ბაქრაძე და დასძენს, ლუსტრაციის პროცესში მნიშვნელოვანი სწორედ ის იქნებოდა, საბჭოთა აგენტებს თავის მართლების საშუალება არა კომისიის, არამედ საზოგადოების წინაშე მისცემოდათ: „ეს ხელს შეუწყობდა მთელი ამ პრობლემის დანახვას, თუ რატომ უხდებოდათ ამ ადამიანებს ორგანოებთან თანამშრომლობა და საერთოდ, როგორი იყო ეს სისტემა. სწორედ სისტემის გაგებას აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ მსგავსი რამ აღარასდროს განმეორდეს“.

ექსპერტების ნაწილი ფიქრობს, ლუსტრაციის კანონს, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლიდან 20 წლის შემდეგ ამოქმედდება, მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა ექნება. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, გიგი თევზაძე ჟურნალ „ცხელ შოკოლადთან“ ინტერვიუში, 2008 წელს ამბობს: „ლუსტრაციის კანონი ყოველთვის არის მიმართული წარსულზე და არასდროს – აწმყოზე. საქართველოში ლუსტრაციის კანონს სერიოზული მნიშვნელობა ექნებოდა, თუ ამ კანონს 1990-იან წლებში მივიღებდით, რადგან 1990-იან წლებში საბჭოთა ნომენკლატურა ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო და ქვეყნის მართვაში აქტიურად მონაწილეობდა. დღეს ამ კანონის მიღება უფრო მეტად სიმბოლური აქტია, რადგან ამ კანონის სუბიექტები უკვე აღარ არსებობენ“.

თუმცა თავისუფლების ქარტიაში არის ერთი პუნქტი, რომელიც ლუსტრაციის პროცესს არა მხოლოდ წარსულზე, არამედ აწმყოზეც ავრცობს. ერთ-ერთი დებულების თანახმად, თანამდებობრივი შეზღუდვა დაუწესდება იმ პირებსაც, რომლებიც დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან ფარულ კავშირში არიან მხილებულნი. შესაბამისად, ნებაყოფლობითი აღიარების მუხლი მათაც ეხებათ.

გია თორთლაძე განმარტავს, რომ ეს დე-

თანამდებობრივი შეზღუდვის ჰოსტელის



კანონის ამოქმედების შემდეგ, სახელმწიფო ორგანოები ვალდებული იქნებიან, ადამიანის მაღალ თანამდებობაზე მიღებისას მისი

პირადი მონაცემები შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებულ კომისიაში გადაამოწონ. თუ კომისია დაადგენს, რომ თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი საბჭოთა ორგანოებთან თანამშრომლობდა, შესაბამის სახელმწიფო უწყებას მისი დანიშვნა ეკრძალება. პირი, რომელიც საიდუმლოდ თანამშრომლობდა სპეცსამსახურებთან, კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში ვალდებულია, ამის შესახებ კომისიას აცნობოს. ასეთი ნებაყოფლობითი აღიარების შემთხვევაში მისი პირადი მონაცემები საზოგადოებისთვის დაიხურება. საჯარო გახდება მხოლოდ იმ ადამიანის ვინაობა და პირადი მონაცემები, რომელიც კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში კომისიაში ნებაყოფლობით არ გამოცხადდება და არ დატოვებს კანონით შეზღუდულ მაღალ თანამდებობას.

ბულება კანონში საპარლამენტო უმრავლესობის მოთხოვნით მოხვდა. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში კი დარწმუნებულები არიან, რომ ამ დებულების შეტანა თავისუფლების ქარტიაში ზედმეტია, რადგან დამოუკიდებელ საქართველოში უცხო ქვეყნის აგენტების ანტიკონსტიტუციურ ქმედებებს სისხლის სამართლის კოდექსი ისედაც არეგულირებს და არსებობს სპეციალური სახელმწიფო უწყებებიც, რომელთა პირდაპირი მოვალეობა სწორედ მოქმედი აგენტების გამოვლენაა.

იურისტები ყურადღებას ამახვილებენ ამ დებულების ერთ ტერმინზეც – უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან „ფარული კავშირი“. ამ ტერმინს არცერთი ქართული კანონი არ განმარტავს, მათ შორის არც სისხლის სამართლის კოდექსი. „ამიტომ ქარტიაში მოცემული ეს ტერმინი შეიძლება შეიცავდეს როგორც სისხლის სამართლის კოდექსით დაწესებულ აკრძალვებს, ასევე

სულ სხვა რამესაც, რის განმარტებასაც, უბრალოდ, არ ვფლობთ“, – ამბობს იურისტი თათული თოდუა და დასძენს, რომ „ბუნდოვანი ტერმინი შესაბამის უწყებებს საშუალებას მისცემს, მისი თავისუფლად ინტერპრეტირება მოახდინონ და „ფარულ კავშირში“ ჩადონ მრავალგვარი შინაარსი. ამ შემთხვევაში, მოქალაქეებს იმის შესაძლებლობაც არ ექნებათ, რომ წინასწარ განსაზღვრონ, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მათ კონკრეტულ ქმედებებს“.

ახლად მიღებულ კანონში მოქმედი აგენტების მოხსენიება კიდევ ერთ კითხვის წინაშე აჩენს – შეიძლება თუ არა, რომ ეს დებულება ხელისუფლებამ იმ პირების დამატებითი დისკრედიტაციისთვის გამოიყენოს, რომელთა აგენტობის დასადასტურებლად ოპერატიული ვიდეომასალა 2007 წლიდან მოყოლებული თითქმის რეგულარულად ვრცელდება?

გოგი გვახარია ამბობს: „ჩვენთან მუდმივად ხდება აგენტების მითოლოგიზაცია.

უკვე 4-5 წელია, მუდმივად გვესმის ტელევიზიით, რომ ესა და ეს ადამიანი არის უცხო ქვეყნის ჯაშუში, რუსეთის სპეცსამსახურების აგენტი. მაგალითად, 7 ნოემბრის შემდეგ ჩვენ მოვისმინეთ ძალიან პატივცემული ადამიანების ფარული საუბრები ვილაც რუს დიპლომატებთან. ახლახან კი ნავიკითხე ინტერვიუ შოთა უტიამვილთან, რომელმაც თქვა, რომ მოხდა ეროვნული შერიგება და ამ ხალხს, მათ შორის, სავარაუდოდ, ლევან ბერძენიშვილსაც ყველაფერი აპატიეს. თუმცა, რეალურად რა მოხდა? ეს კაცი ხალხის თვალში მაინც აგენტად დარჩა“.

„ახალი ქართული სახელმწიფო არანაირად არაა ვალდებული საბჭოთა კავშირის დროინდელი საქმეები საიდუმლოდ შეინახოს. არსებობს დიდი, ისტორიული საქმეები, რომელთა გამომზეურება უნდა მოხდეს“, – ეს სიტყვები მიხეილ სააკაშვილმა 2004 წლის თებერვალში, უშიშროების ახალი მინისტრის ზურაბ ადვიშვილის

წარდგენისას წარმოთქვა და უშიშროების სამინისტროს არქივის გამოქვეყნების ინიციატივით გამოვიდა. იმავე სიტყვაში მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებლად მისაღებია ლუსტრაციის კანონი, რადგან საზოგადოებისთვის ცნობილი უნდა გახდეს რომელი პიროვნება ვინ იყო და რას წარმოადგენდა.

უშიშროების სამინისტროს არქივი დღეს ნაწილობრივ უკვე ღიაა. პრეზიდენტის ინიციატივიდან 7 წლის შემდეგ კი პირველად იწყება ლუსტრაციის პროცესიც, თუმცა – შეზღუდული ხარისხით.

ქარტია, რომლის მიმართაც იურისტებსა და მკვლევრებს რამდენიმე მნიშვნელოვანი პრეტენზია აქვთ, ცვლილების გარეშე, გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდება. შესაბამისად, საფრთხე, რომ ლუსტრაცია შესაძლოა, მხოლოდ მექანიკურ, გაუაზრებელ პროცესად დარჩეს, ხოლო საბჭოთა წარსულის რეალური შეფასება კი ისევ ხანგრძლივი დროით გადაიდოს, კვლავ რჩება. **□**

ლუსტრაცია - თახილები

2004 წელი 17-18 თებერვალი: ლუსტრაციის კანონის შექმნის ინიციატივით ჯერ პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, შემდეგ კი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გამოვიდნენ. შესაბამისი კანონმდებლობის შექმნა უშიშროების მინისტრს ზურაბ ადვიშვილს დაევალა.

2005 წლის ნოემბერი: ოპოზიციურმა ფრაქციამ – „დემოკრატიულმა ფრონტმა“ პარლამენტში ლუსტრაციის შესახებ კანონპროექტი წარადგინა. კანონპროექტი საბჭოთა სპეცსამსახურის წევრებსა და პარტიულ თანამშრომლებზე თანამდებობრივი შეზღუდვის „ამ კანონის უპირველესი მოვალეობაა, განმინდოს ხელისუფლება უცხო ქვეყნის აგენტებისაგან... დღეს საქართველოს დსთ-ში ყოფნა-არ ყოფნის და ნატოში განწევრიანების საკითხი წყდება. ანუ დღეს დადგა დრო, როცა აგენტები, რომლებიც საქარ-

თველოში ბევრი არიან, ქვეყნის წინააღმდეგ უნდა გააქტიურდნენ“, – განაცხადა „რესპუბლიკელების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ბერძენიშვილმა, რომელიც ამ კანონპროექტს მხარს უჭერდა. ამ დისკუსიას უმრავლესობის ლიდერი გიგა ბოკერია გამოუმუშავა და „სივილ ჯორჯიასთან“ ინტერვიუში განაცხადა: „დღეს ლუსტრაციის კანონის მიღება დღის წესრიგში არ დგას“.

2006 წელი 24 თებერვალი: მთავრობამ ოპოზიციის მიერ ინიცირებული „ლუსტრაციის შესახებ კანონპროექტი“ გააკრიტიკა. მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გიორგი ზუროშილმა განაცხადა, რომ კანონპროექტი არ იქნება ეფექტიანი, რადგანაც საქართველოს არ გააჩნია მექანიზმები იმ აგენტების გამოსავლენად, რომლებიც სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში მსახურობდნენ. „აგენტების მონაცემთა ბაზა

ამჟამად მოსკოვშია და ქართული მხარისთვის მიუწვდომელია“, – განაცხადა მან.

2007 წლის 16 თებერვალი: პარლამენტმა 45 ხმით 37-ის წინააღმდეგ ლუსტრაციის შესახებ კანონი ჩააგდო.

2007 წელი 21 თებერვალი: „თავისუფლების ინსტიტუტმა“ ლუსტრაციის საკითხთან დაკავშირებით საკუთარი ხედავა გამოაქვეყნა. პროექტის თანახმად, საბჭოთა პერიოდის ლიდერებისა და იდეოლოგების გარდა, ლუსტრაცია უნდა შეხებოდა მოქმედ სახელმწიფო მაღალჩინოსნებს, დეპუტატებს, კანდიდატებს და პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელებსაც, რომლებსაც პირადი სატელეფონო, საფოსტო კომუნიკაცია ჰქონდათ იმ სახელმწიფოს მოქალაქეებთან, რომელთა „შეიარაღებული ძალები საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფოს წების სანაღმდეგოდ იმყოფებინა და

რომელთა მიზანია კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა“.

„თუ რომელიმე პარტიის ლიდერი საქართველოს ნეიტრალიტეტის შესახებ დაელაპარაკება მოდესტ კოლეროვს, რომელიც არის რუსეთის პრეზიდენტის, პუტინის პოლიტექნოლოგი, ის ვალდებულია, ამის შესახებ განაცხადოს საჯაროდ, თუ როდის ელაპარაკა და რა თემაზე ჰქონდა ეს კომუნიკაცია“, – განაცხადა „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენელმა აკაკი მინაშვილმა.

2009 წელი 17 აგვისტო: დეპუტატმა გია თორთლაძემ პარლამენტს „თავისუფლების ქარტია“ წარუდგინა, რომელიც ლუსტრაციის შესახებ ცალკე დებულებას შეიცავს.

2011 წლის 31 მაისი: საქართველოს პარლამენტმა „თავისუფლების ქარტია“ 81 ხმით არცერთის წინააღმდეგ მიიღო.

კავკასიის ანალიტიკური დაიჯესტი

resourcesecurityinstitute.org

www.laender-analysen.de

www.res.ethz.ch

www.boell.ge

ბიზნესკლიმატი და კორუფციის საინანაღმებო ზომები საქართველოში

მოლი კორსო, თბილისი

ამონარიდი

როცა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, საქართველოს ეკონომიკა დანგრეული იყო. ედუარდ შევარდნაძის მმართველობისდროინდელი ქაოსისა და კორუფციის პირობებში ქვეყანაში მზარდმა ჩრდილოვანმა ეკონომიკამ მოიკიდა ფეხი. მთავრობა დაწესებული გადასახადების მხოლოდ მცირე ნაწილს თუ იღებდა. უცხოური ინვესტიციები თითქმის არ შემოდიოდა და, ძირითადად, მხოლოდ ნავთობსადენებით შემოიფარგლებოდა. სააკაშვილის მიერ კორუფციის წინააღმდეგ და ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით გატარებულმა რეფორმებმა დიდად შეუწყო ხელი ინვესტიციების მოზიდვასა და ბიზნესის გაძლიერებას, თუმცა შეშფოთება იმის თაობაზე, თუ როგორ იყენებს მთავრობა საგადასახადო აუდიტსა და სასამართლო სისტემას, არ გამქრალა.

ბიზნესის ხელშეწყობა

ძნელია, სათანადოდ არ შეაფასო საქართველოს მთავრობის ძალისხმევა ინვესტორებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნაში. თუმცა, ოფიციალურად, ეს პრემიერ-მინისტრის მოვალეობაა, ბიზნესის დარგში პოლიტიკის სახე თვითონ სააკაშვილი გახდა. ის ხშირად ტელევიზიის პირდაპირ ეთერში ადებს ხელს მინისტრებს, რომლებიც კორუფციის აყვავებას უწყობენ ხელს, და სამსახურიდან ითხოვს ბიუროკრატიული აპარატის წარმომადგენლებს, რომელთა გამოც ინვესტორები ქვეყნიდან გარბიან.

ის მთელ ქვეყანაში ახალ მცირე და საშუალო ფაბრიკებს პირადად ხსნის და მაღალი რანგის მოხელეებს დასაქმების დონის, პირობებისა და ხელფასების შესახებ შეკითხვებს უსვამს.

ბიზნესის ხელშეწყობის რეფორმების გატარებისათვის ქვეყანამ მსოფლიო ბანკისა და Freedom House-ისგან უამრავი ჯილდო და შექება დაიმსახურა. ეს რეფორმები, ძირითადად, სახელმწიფო რეგულაციების გამარტივებისა და მთავრობის ჩარევის შემცირებისაკენ იყო მიმართული. ინვესტიციების მოზიდვაზე ლაპარაკის დროს მთავრობა დაულაღვად იმეორებს, რომ ქვეყანაში ბიზნესის გაფორმება ერთ დღეში შეიძლება, არ არის დაწესებული მინიმალური ხელფასი და ქრთამებს არავინ იღებს.

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ამ შეტყობინებას შედეგებიც მოჰყვა. მარტში დონალდ ტრამპმა Silk Road Group-თან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას საქართველოში ახალი ფეშენებლური ნაგებობების აშენების თაობაზე. ტრამპმა თავისი სიტყვა საქართველოს უამრავი დადებითი მხარის ჩამოთვლით დაიწყო და იხუმრა კიდევ, რომ ბიზნესის ხელისშემშლელი დაბრკოლებების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოსავით მოწინავე პოზიციები არც ამერიკას აწყენდა.

ტრამპთან ხელშეკრულება აუმჯობესებს საქართველოს იმიჯს, როგორც ქვეყნისა, სადაც ბიზნესის კეთება ადვილია. თუმცა მიუხედავად ამისა, გარკვეული შეკითხვები მაინც იბადება. მაგალითად, რატომ ირჩევენ ისეთი დიდი სახელის მქონე ბიზნესმენები, როგორც ტრამპია, ბრენდინგსა და ლიცენზირებას და არა პირდაპირ ინვესტიციებს?

ქვეყნის ბიუჯეტის სასიცოცხლო წყარო – პირდაპირი უცხოური ინვესტიციები – 2004 წელს 500 მილიონ დოლარზე ნაკლები იყო, 2007 წელს კი 2 მილიარდს მიაღწია. თუმცა შემდეგ, 2008 წლის აგვისტოს ომისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგად, ამ მაჩვენებელმა ორმაგი დარტყმა მიიღო. 2008 წელს ის 1.5 მილიარდამდე შემცირდა და ვარდნას შემდგომ წლებშიც განაგრძობდა. 2010 წელს ეს მაჩვენებელი 2009 წელთან შედარებით 16 პროცენტით შემცირდა და სულ 533 მილიონი დოლარი შეადგინა.

ინვესტიციების ნაკლებობის მიზეზი ბევრი და რთულია. დღეს მთელ მსოფლიოში ნაკლები ინვესტიციები იდება, ვიდრე 2008 წლის კრიზისამდე. ამდენად, საქართველოს ახლა უფრო მცირე ოდენობის ინვესტიციებისათვის ბევრად მეტ ქვეყანასთან უწევს შეჯიბრება. საქართველოში ბაზარი პატარაა და, მეზობლებისაგან განსხვავებით, მთლიანად ეკონომიკაც დიდი მსყიდველობითი უნარით არ გამოირჩევა. კიდევ ერთი პრობლემაა საქართველოსთან კომუნიკაციები. საჰაერო კავშირებისა და დამატებითი ავიაკომპანიების მიერ საქართველოში რეისების განხორციელების თაობაზე ვეროკავშირთან დადებული ახალი ხელშეკრულების მიუხედავად, თბილისამდე და ბათუმამდე ფრენა ჯერაც ძნელი და ძვირია.

თავისი უარყოფითი მხარეები მთავრობის ჩაურევლობის პოლიტიკასაც აქვს. ვინაიდან არ არსებობს საკვების უსაფრთხოების პარამეტრები და ანტიმონოპოლიური კანონები, გაჩნდა შიში, რომ ბაზარი მეტისმეტად დაურეგულირებელია ბიზნესისათვის, რომელიც უფრო სტრუქტურირებულ გარემოსაა შეჩვეული. მაგალითად, პურის მცხოვრებლები ჩივიან, რომ მათი უპატიოსნო კონკურენტები პროდუქციის საწარმოებლად უფრო დაბალი ხარისხის მასალას იყენებენ და ნაწარმსაც დაბალ ფასად ყიდიან, რაც მაღალი ხარისხის პურის წარმოებას ხელს უშლის. მარტში საქართველოს ტელევიზიამ გადასცა სიუჟეტი, რომელშიც საცხოვრებლად იმაში ადანაშაულებდა, რომ შავი ან რუხი პურის გამოსაცხოვრებლად ცომში საღებავებს ურევდნენ და ნაწარმს უფრო მაღალ ფასად ყიდდნენ, როგორც ხორბლის თუ ჭვავის პურს. რეგულაციების არარსებობის გამო, ჯანდაცვისა და სანიტარული სტანდარტების დამრღვევ კომპანიებს საშუალება აქვთ, ნაწარმი იმ კომპანიებზე ბევრად უფრო დაბალ ფასად გაყიდონ, რომლებიც მკაცრ საერთაშორისო ნორმებს იცავენ, ეს კი სამართლიანი კონკურენტის პრინციპის პირდაპირი დარღვევაა.

რალაც როლს სხვა პრობლემებიც თამაშობს, მათ შორის ქვეყნის უსაფრთხოების პრობლემები და წლების განმავლობაში დაუსრულებელი საჩივრები, რომ ხელისუფლება საგადასახადო აუდიტსა და სასამართლო სისტემას პოლიტიკური მიზნით იყენებს.

საგადასახადო აუდიტი, ფინანსური პოლიცია და სხვა პრობლემები

2004 წელს სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ქვეყანაში მთავრობის ჩარევისაგან თავისუფალი ეკონომიკური რეფორმების გასატარებლად ცნობილი ოლიგარქი, კახა ბენდუქიძე მოიწვიეს რუსეთიდან. ამ დროისათვის კორუფციის მოსპობა ბიზნესკლიმატის გაუმჯობესების სინონიმი იყო. კორუფცია თავისი სხვადასხვა გამოვლინებით – უსარგებლო ლიცენზიები, მოუქნელი კანონმდებლობა, უკანონო ჩრდილოვანი გარიგებები და ეპიდემიის მასშტაბების საგადასახადო დარღვევები – სახელმწიფოს ახრჩობდა და ბიზნესმენების შემოსავლებს ამცირებდა.

ტელევიზიით გადმოცემული სიუჟეტები, რომლებშიც ჩანდა, თუ როგორ აპატიმრებდნენ შეიარაღებული ნიღბიანები კორუმპირებულ ბიზნესმენებს – როგორც წესი, სახელგატეხილი პოლიტიკოსების მეგობრებსა და ნათესავებს – კორუფციის წინააღმდეგ სააკაშვილის

დაულაღავი ბრძოლის სიმბოლო გახდა. თავის დროზე შევარდნაძემ სისუსტე გამოიჩინა და კორუფციას, ამ მომავდინებელ სიმსივნეს ვერ შეეპოვებოდა.

მაგრამ მოგვიანებით გადასახადების დამალვის წინააღმდეგ ბრძოლა გამძაფრდა, უფრო ნაკლებად ცნობილ ბიზნესმენებსაც შეეხო და საზოგადოებრივი აზრის შეცვლაც დაიწყო. მცირე და საშუალო ბიზნესმენებს იმედები სწრაფად გაუცრუვდათ. ამაში განსაკუთრებული როლი ითამაშა მთავრობის მოთხოვნამ – სალარო აპარატების დადგმისა და გაყიდვების დამადასტურებელი ჩეკების გაცემის თაობაზე. ამ ზომების მიზანი გაყიდვების ლიაობა იყო, მაგრამ მაღალმა ჯარიმებმა და ბუნდოვანმა კანონებმა მოვაჭრეებში დაბნეულობა გამოიწვია. ამასთან, ისინი უკვე ისედაც ეჭვობდნენ, რომ საგადასახადო სამსახური მათ წინააღმდეგ მოქმედებდა. დიდ კომპანიებს, რომლებსაც ბუღალტრებიც ჰყავდათ და მთავრობასთან მჭიდრო კონტაქტებიც ჰქონდათ დამყარებული, დიდი ხმაური არ აუტეხავთ, თუმცა ჩუმად ჩიოდნენ, რომ საგადასახადო სამსახურის წარმომადგენლებმა ან ცუდად იცოდნენ თავიანთი საქმე ან უბრალოდ ბიზნესმენების სასარგებლო გადაწყვეტილების მიღების ეშინოდათ.

მთავრობამ ხალხის სანუხარი ყურად იღო. გაგრძელდა მუშაობა საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დახვეწაზე და ჩატარდა ფინანსური პოლიციის „დეკრიმინალიზაცია“. 2006 წელს ის შემოსავლების სამსახურის ერთი რიგითი დეპარტამენტი გახდა.

რა თქმა უნდა, ყველა ძალისხმევა პოპულარული არ ყოფილა. 2007 წელს მთელი რიგი რესტორნები და ჯიხურები დაიხურა, შემდეგ კი მთავრობამ სადავო გადაწყვეტილება მიიღო და დაანგრია საცხოვრებელი სახლი, რომელიც, მთავრობის წარმომადგენლების თქმით, უკანონოდ იყო აშენებული. ამ და სხვა მიზეზების გამო 2007 წლის ნოემბერში სააკაშვილის მთავრობის წინააღმდეგ მასობრივი გამოსვლები დაიწყო.

მიუხედავად იმისა, რომ 2008 და 2010 წელს მთავრობამ არჩევნებში გაიმარჯვა, ხალხში მაინც დარჩა შთაბეჭდილება, რომ მთავრობა კორუფციაში ბრალდებას კერძო ბიზნესის წინააღმდეგ მიმართული ზომების გასამართლებლად იყენებდა. 2009 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ფინანსური პოლიციის აღდგენის შესახებ, ამჯერად საგამოძიებო სამსახურის სახელით, რამაც გააძლიერა შიშები, რომ მთავრობა ომისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგად დაცარიელებული ხაზინის შესავსებად ბიზნესმენებს დაერეოდა.

შეშფოთება იმდენად დიდი იყო, რომ საგადასახადო სამსახურის წინააღმდეგ გამოთქმულმა საჩივრებმა საერ-

თაშორისო საფინანსო კორპორაციის 2009 წლის ანგარიშში საქართველოს კონკურენტუნარიანობის შესახებ მონაცემებზეც კი იქონია გავლენა. ბიზნესს კვლავაც ექმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მთავრობის ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ სწორედ მათ შემოუბრუნდა, ვის დასაცავადაც იყო მოწოდებული. 2009 წლის აგვისტოში ელექტრონული მონყობილობის დიდი ქსელის წინააღმდეგ გატარებულმა ხმაურიანმა ზომებმა კიდევ უფრო გაამყარა იმის შიში, რომ მთავრობას სურდა ბიზნესი მოკლევადიანი საგადასახადო მოგების მისაღებად გაენირა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის რეპუტაციას შეიძლებოდა გრძელვადიანი ზიანი მისდგომოდა. 2011 წლამდე საგადასახადო საკითხებში უმცირესი შეცდომა, თუ მის შედეგად დანაკლისი 25 ათას ლარს (10300 ევროს) გადააჭარბებდა, პატიმრობით ისჯებოდა.

სასამართლო რეფორმის განხორციელება შეფერხდა, ხოლო ადვოკატები ამბობენ, რომ მოსამართლეები გადაწყვეტილებებს, როგორც წესი, მთავრობის სასარგებლოდ იღებენ. ამის ბოლო მაგალითი ორი ისრაელელი ბიზნესმენის საქმეა. სასამართლომ ისინი მთავრობის წარმომადგენლის მოქრთამვის მცდელობაში ცნო დამნაშავედ. მართალია, არსებობს საფუძვლიანი მონაცემები, რომ ის ორი ბიზნესმენი ქრთამის მისაცემად მზად იყო, მთლად ცხადი არ არის, ქრთამზე საუბარი ვინ წამოიწყო და რა მიზნით.

თუმცა საგადასახადების გადამხდელთა წინააღმდეგ აღძრული საქმეების საფუძვლიანობის დასადგენად ფინანსთა სამინისტრომ საარბიტრაჟო კომისია შექმნა, ადვოკატები და ასოციაციები კვლავაც ჩივიან, რომ საგადასახადო სამსახური სადამსჯელო ზომებისა და აგრესიისკენ არის მიდრეკილი.

ბიზნესის წარმოების სიადვილის საერთაშორისო მაჩვენებლებით საქართველოს ჯერაც მაღალი ადგილი უჭირავს, თუმცა 2010 წელს სულ უფრო იზრდებოდა იმის შეგრძნება, რომ ამ მაჩვენებლებსა და რეალობას შორის განსხვავება არის. თავიანთ ანგარიშებში მსოფლიო ბანკი და სხვა ორგანიზაციები ბიზნესთან დაკავშირებულ კანონმდებლობას ითვალისწინებენ, მაგრამ გაუთვალისწინებელი რჩებათ აღქმა და ნდობა, რაც ასევე მნიშვნელოვანი ინდიკატორებია, რომლებიც ინვესტორების გადაწყვეტილებებზე გავლენას ახდენს.

მთავრობა ამტკიცებს, რომ ეს შიშები უსაფუძვლოა, თუმცა, ამასთანავე, ბიზნესმენების შიშების გაქარწყლებისაკენ მიმართული ღონისძიებებისათვის ჩრდილის მიყენებას კვლავაც ჯიუტად განაგრძობს. ამასწინათ შეერთებული შტატების მთავრობამ ბიზნესის

განვითარების ოთხნობიანი პროგრამის განსახორციელებლად საქართველოს 40 მილიონი დოლარი გამოუყო, რაც ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ უცხოელებს ქვეყანაში ბიზნესის კეთება ისევ უჭირთ. მას შემდეგ, რაც ბიზნესისთვის ბარიერები დაინგრა და კანონები შეიცვალა, საქართველოს, როგორც ინვესტიციებისათვის მიმზიდველი ქვეყნის იმიჯის შექმნა, კალმის ერთი მოსმით იყო შესაძლებელი. დღეს კი ყურადღება იმაზეა გადატანილი, თუ როგორ ხორციელდება კანონები ადგილებზე. საბოლოოდ, შეერთებული შტატების პროგრამის ეფექტიანობა იმით განისაზღვრება, თუ რა ადგილს დაიკავებს საქართველო ბიზნესის წარმოების სიადვილის მიხედვით სხვა ქვეყნებთან შედარებით.

ახალი „პარტნიორობა“

2010 წლის დეკემბერში სააკაშვილმა მთავრობასა და ბიზნესმენებს შორის „პარტნიორობის“ ახალი ეტაპის დაწყება გამოაცხადა. ეს განცხადება მან ადგილობრივ ბიზნესმენებსა და სახელმწიფოს შორის ნდობის აღდგენის მიზნით ბიზნესჯგუფებსა და მთავრობას შორის საგადასახადო და საბაჟო კოდექსში შესატანი ცვლილებების თაობაზე გამართული ინტენსიური მოლაპარაკებების შემდეგ გააკეთა.

ადგილობრივ ბიზნესმენებთან მოლაპარაკებების გარდა, მთავრობამ უცხოელ ბიზნესმენებთან ურთიერთობის დასამყარებლადც გადადგა ნაბიჯები. პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური გავლენიანი ქართული და უცხოური კორპორაციების წარმომადგენლებსაც შეხვდა, რათა იმის თაობაზე მოთათბირებოდა, თუ ვინ უნდა გამხდარიყო ქვეყნის ახალი საგადასახადო ომბუდსმენი, ხოლო პარლამენტის სპიკერი დავით ბაქრაძე სათავეში ჩაუდგა ბიზნესის კომიტეტს, რომელშიც ოპოზიციის, საფინანსო კომიტეტისა და უმთავრესი ბიზნესასოციაციების წარმომადგენლები შედიან. ამას გარდა, ფინანსთა სამინისტრომ შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელი შეცვალა, რითაც საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაციების ძირეულ რესტრუქტურისა და დაუდო სათავე. ბიზნესსა და მთავრობას შორის ურთიერთობის შემდგომი

გაუმჯობესების გეგმის თანახმად შეიქმნა საგადასახადო ომბუდსმენის სამსახური, რომელშიც ასევე შედის საგადასახადო სამსახურების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შემფასებელი კომისია. ამას გარდა, პრემიერ-მინისტრის აპარატი ბაზარზე მონოპოლიების შექმნის თავიდან ასაცილებლად კონკურენციის შესახებ ახალ კანონზე მუშაობს.

დასკვნა

ამკარაა, რომ საქართველოს მთავრობამ ბიზნესი ქვეყანაში პრიორიტეტად აქცია. საქართველო შეზღუდული რესურსების მქონე პატარა ქვეყანაა და სავაჭრო დეფიციტის დაბალანსებისა და სამუშაო ადგილების შექმნის საქმეში როგორც უცხოურ, ისე ადგილობრივ ინვესტიციებზე დიდადა დამოკიდებული. თითქმის რვა წლის წინ, მთავრობის მიერ კორუფციის წინააღმდეგ წამოწყებული ბრძოლა ბიზნესისათვის ხელშემწყობი და მიმზიდველი გარემოს შექმნისაკენ მიმართული პოლიტიკის უმთავრესი კომპონენტია.

საკაშვილის მთავრობამ კორუფციასთან ბრძოლა მის მიერ შექმნილი სახელმწიფოს დედაბოძად აქცია. ეს მნიშვნელოვანი ბრძოლაა, რომელმაც ბიზნესს ზრდისა და განვითარების საშუალება უნდა მისცეს. გადასახადების გადახდის კულტურის ჩამოყალიბება ადვილი ამოცანა არ არის, თუმცა მთავრობას, ამ მხრივ, წარმატებები ნამდვილად აქვს.

მიუხედავად ამისა, ამ წარმატებებს ჩრდილს აყენებს რამდენიმეწლიანი რეფორმების დროს წარმოქმნილი პრობლემები, რომლებსაც ამჟამად იმის შეგრძნება, რომ მთავრობა ჯერ აჯარმებს, კითხვებს კი მხოლოდ ამის შემდეგ სვამს. ბიზნესთან უფრო მჭიდრო კონტაქტების დამყარებისა და ბიზნესმენებისა და მთავრობის „პარტნიორობის“ ახალი პოლიტიკა ამ პრობლემების მოგვარების კარგი დასაწყისია, თუმცა ხელისუფლებასა და მენარმეებს შორის ნდობის გამყარებას გარკვეული დრო დასჭირდება.

ავტორის შესახებ:

მოლი კორსო თბილისში მომუშავე თავისუფალი ჟურნალისტი. ის არის ასევე ამერიკის სავაჭრო პალატის მიერ საქართველოში გამოცემული ბიზნეს-ჟურნალის Investor.ge-ს რედაქტორი.



ილუსტრაცია: ვალერი გარეჯანი

სანიტარიულ-ჰიგიენური სტანდარტები

ჰიჯოსა სუპერმარკეტში

უკვე რამდენიმე თვეა, სპეციალური სააგენტო სანარმოო და სავაჭრო ობიექტებში სანიტარიულ მდგომარეობასა და სურსათის უვნებლობას ამოწმებს. თუმცა ინფორმაცია კონკრეტული სანარმოების სახელებისა და დარღვევების შესახებ მომხმარებლისთვის თითქმის მიუწვდომელი რჩება.

რუსუდან ფანოზიშვილი

ორი კვირის წინ სოციალურ ქსელე-ბში ერთ-ერთ სუპერმარკეტში გადაღებული კადრები გავრცელდა: მოზრდილი ვირთხა დახლის ქვემოდან გამოძვრება, თაროებზე დაწყობილ საქრის შეკვრებზე გადაირბენს და მათ უკანვე მიიმალება. რამდენიმე წა-

მში ვირთხა კადრში ისევ ჩნდება, ისევ საქრის შეკვრებზე გადაირბენს და შემდეგ ისევ იმალება.

სამოყვარულო კამერით გადაღებულ 23-წამიან ვიდეოში არ ირკვევა, რომელ სუპერმარკეტში ბინადრობს საქრის მოყვარული ვირთხა, მაგრამ

ვირთხის ფავორიტ საქრის შეკვრებზე სუპერმარკეტების მასშტაბური ქსელის – „პოპულის“ ლოგო მოჩანს.

იმ ფაქტს, რომ ვიდეო შესაძლოა, მართლაც „პოპულის“ ერთ-ერთ მაღაზიაში იყოს გადაღებული, ქსელის წარმომადგენლები ირიბად ადასტუ-

რებენ. ოფიციალურ განცხადებაში ვიდეოს ისინი ჯერ „ცილისმწამებლურ კამპანიას“, „ფალსიფიკაციას“ და „უნიჭო ხუმრობას“ უწოდებენ, თუმცა, იქვე წერენ: „ვიდეო კადრში ბუნდოვნად ჩანს „პოპულის“ ის ლოგო და სასაქონლო შეფუთვა, რომელსაც კომპანია უკვე წელიწადზე მეტია, აღარ იყენებს, შესაბამისად, ვიდეოკადრი აბსოლუტურად არ შეესაბამება კომპანიის სუპერმარკეტებში დღეისათვის არსებულ რეალობას“.

„არ უნდა იყოს გასაკვირი, თუ სურსათის მაღაზიებში ვირთხები დარბის, რადგან ეს იმ ანტისანიტარიის შედეგია, რაც ბოლო წლებში სურსათის უკონტროლობამ და სარეალიზაციო ობიექტების მიმართ ე.წ. ლიბერალურმა მიდგომამ გამოიწვია“, – ამბობს საქარ-

კანონის კონკრეტულად ის მუხლი, რომლის მიხედვითაც სურსათის უვნებლობის კონტროლი სავალდებულო ხდებოდა, 2011 წლის იანვარში შევიდა ძალაში. სანიტარიული და სურსათის უვნებლობის გაკონტროლების ფუნქცია ახლად შექმნილ სააგენტოს დაეკისრა.

სურსათის ეროვნულ სააგენტოში დღეს ამბობენ, რომ სასურსათო ობიექტების შემოწმება უკვე დაიწყო. ეს პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობს. წლის ბოლომდე სულ 200 ობიექტის შემოწმებას გეგმავენ. 71 ობიექტის შესახებ კი უკვე ფლობენ ინფორმაციას. მათ შორისაა ხორცი-სა და რძის მწარმოებელი, კონსერვირების, პირველადი წარმოებისა (სასაკლაოების) და ბავშვთა კვების

შიძის ქუჩაზე მდებარე „პოპულიდან“ გამოსულმა, პროდუქტებით დატვირთულმა მომხმარებელმა.

„ეგ ვირთხა ვნახე, მაგრამ რა გარანტია მაქვს, რომ აი, იმ პატარა სასურსათო მაღაზიაში ექნებათ იდეალური სისუფთავე? არც „პოპულის“ ვენდობი და არც პატარა მარკეტებს, მაგრამ რა ვქნა, მაინც იქ ვვაჭრობ ხოლმე“, – აღნიშნა „პოპულის“ სხვა კლიენტმა.

23-ნამიანი ვიდეოს გავრცელების შემდეგ სოციალურ ქსელ facebook-ში ერთბაშად ორი „პოპულის ვირთხა“ დარეგისტრირდა. ერთ მათგანს facebook-ზე 428 თაყვანისმცემელი გაუჩნდა, მეორეს – 23 მაისიდან დღემდე – 2078.

პოპულარული ვირთხა სოციალურ ქსელში თავისებურად ონავრობს და

■ კანონის ამოქმედების შემდეგ, „პოპულისაც“ და სხვა, მსხვილ თუ შედარებით პატარა მაღაზიებს სისუფთავესა და სურსათის ვარგისიანობაზე ზრუნვა არა დამოუკიდებლად და თვითნებურად, არამედ სპეციალური ეროვნული სტანდარტების მიხედვით უნევთ.

თველოს მომხმარებელთა ფედერაციის თავმჯდომარე, მადონა კოიძე.

ბოლო წლებია, მის ორგანიზაციაში მომხმარებლები თითქმის ყოველდღიურად რეკავენ და ხშირად სწორედ სასურსათო მაღაზიებში ნანახ ვადაგასულ პროდუქტსა და ანტისანიტარიაზე ჩივიან.

უკვე ექვსი წელია, საქართველოში სურსათის კონტროლი და სასურსათო დანესებულებების შემოწმება ოფიციალურად არცერთ უწყებას არ ევალება. კანონის ამოქმედება სურსათის უვნებლობის შესახებ, რომელიც პარლამენტმა ჯერ კიდევ 2005 წელს მიიღო, წლების განმავლობაში ვერ მოხერხდა. არადა, სწორედ ეს დოკუმენტი ავალდებულებდა ხელი-სუფლებას, ქვეყანაში სურსათის უვნებლობის ევროპული სტანდარტები დაემკვიდრებინა.

ობიექტები, ასევე მარკეტები და ბაზრობები.

თუმცა სურსათის სააგენტოში კონკრეტულად არ გასცემენ არც შემოწმებული და არც შესამოწმებელი ობიექტების სახელებს. სააგენტოში ამბობენ, რომ ეს ინფორმაცია მედიისთვის დახურულია.

ერთადერთი, რაც დანამდვილებით ცნობილია, სააგენტოს წარმომადგენლებს ჯერ არ შეუშინებიათ „პოპულის“ მარკეტების ქსელი, რომლის სანიტარიული პირობებიც ბოლო დროს ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე ცხელ თემად იქცა.

„შეიძლება, შავი პიარიც იყოს, არ ვიცი, მაგრამ მაინც, ყოველი შემთხვევისთვის, აქ მხოლოდ შეფუთულ პროდუქტებს ვყიდულობ ხოლმე იმ ვიდეოს ნახვის შემდეგ“, – უთხრა „ლიბერალის“ კორესპონდენტს აბა-

„პოპულის“ არც ვირტუალურ სივრცეში ასვენებს. სუპერმარკეტების ქსელის ოფიციალურ facebook გვერდზე, მაგალითად, წერს, რომ უყვარს სწორედ ის მაიონეზი, რომელზეც „პოპულის“ მაღაზიებში სულ რამდენიმე დღით ე.წ. „შოკ-ფასია“ გამოცხადებული. თავის გვერდზე კი წერს: „ახალი გაუდა მიიღეს“.

„თანამშრომლებთან ერთად „პოპულიში“ საჭმლის ყიდვას ვაპირებდი. შესვენება გვეკონდა. დავინახე, რომ შემწვარ ქათმებზე ტარაკანი დარბოდა. ძალიან გავბრაზდი და გამყიდველს მივმართე, ჩემმა თანამშრომლებმა კი უკვე დაფასოებული საჭმელები დააბრუნეს. ამის გამო გამყიდველი ძალიან უკმაყოფილო დარჩა“, – იხსენებს ნუცა ციციშვილი და ამბობს, რომ ეს შემთხვევა სამი წლის წინ მოხდა.

თუმცა, იმავე სახის შენიშვნები მომხმარებლებს წელსაც აქვთ: 2011 წლის 6 იანვარს თბილისის ფორუმზე „პოპულის“ განყოფილებაში ვკითხულობთ: „საჭმელების განყოფილებაში ტარაკნები... ერთხელ ისე გავლანძღე მაგის გამო გამყიდველი.“

ტარაკანა დარბოდა და ის გამყიდველი კინალამ შემომაკვდა, რეაქციაც არ ჰქონდა, რისი გეშინიათ? კი არ მეშინია, მეზიზღება-მეთქი“, – წერს მომხმარებელი სახელით ნიტ123.

„პოპულიში“ ამბობენ, რომ თითქმის წელიწადია, კომპანია სპეციალური „იდუმალი ჯგუფების“ მეშვეობით საკუთარ ქსელში სანიტარიულ ნორმებს, ხარისხს, პროდუქტისა და კერძების ვადაგასულობას მუდმივად აკონტროლებს. ადმინისტრაციის მიერ დაქირავებული ადამიანები „პოპულის“ მაღაზიებში მოულოდნელად გამოჩნდებიან ხოლმე და მათ შესახებ თანამშრომლებმა არაფერი იციან.

„გარდა ამისა, ყოველთვიურად ათიათასობით ლარი იხარჯება იმაზე, რომ მწერებმა ვერ მოახერხონ მაღაზიაში შემოღწევა“, – ამბობენ მომხმარებელთა ბრალდებების საპასუხოდ „პოპულის“ ადმინისტრაციაში.

თუმცა კანონის ამოქმედების შემდეგ, „პოპულისაც“ და სხვა, მსხვილ თუ შედარებით პატარა მაღაზიებს სისუფთავესა და სურსათის ვარგისიანობაზე ზრუნვა არა დამოუკიდებლად და თვითნებურად, არამედ სპეციალური ეროვნული სტანდარტების მიხედვით მოუწევთ. ცალკე, სპეციალური სტანდარტი გაიწერა თითოეულ პროდუქტთან მიმართებაში. სანარმოებს და სადისტრიბუტორო დაწესებულებებს კი ჰიგიენის კონკრეტული ნესების დაცვა დაევალებათ, მათ შორის: წყალმომარაგების, შეფუთვის, პროდუქტების განლაგების, სანარმოს დეზინფექციის, ნარჩენების გატანის.

ამ სტანდარტების ამოქმედება ნიშნავს იმას, რომ ობიექტის შესამოწმებლად მისულ ჯგუფს ამა თუ იმ მარკეტში აღარ უნდა დახვდეს ისეთი მდგომარეობა, როგორსაც საქართველოს მომხმარებელთა ფედერაციის

წარმომადგენლები საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული კარაქის შესწავლისას ნააწყენდნენ:

„როდესაც კვლევას ვატარებდით, ერთ-ერთ მაღაზიაში მისულებს ასეთი სურათი დაგვხვდა: საშინლად ბინძური ჩვრით განმინდეს დანა, შემდეგ ამით გაჭრეს კარაქი, ჩვეულებრივ პარკში ჩავვიდეს და ისე გამოგვატანეს“, – იხსენებს ფედერაციის თავმჯდომარე, მადონა კოიძე.

კოიძის ორგანიზაციამ კვლევის შედეგები ერთი კვირის წინ გამოაქვეყნა. კარაქის 24 ადგილობრივი და იმპორტირებული სახეობიდან 9 დასახელების კარაქი ნაკლოვანი აღმოჩნდა – ზოგი გარეკანზე მითითებულზე უფრო ნაკლებ ცხიმინაობას შეიცავდა, ან ნაკლებს იწონიდა. 4 დასახელების კარაქის შემთხვევაში პრობლემა შენახვის პირობების დარღვევა იყო. 5 მათგანში მიკრობების მომატებული რაოდენობა შენიშნეს, ორი მათგანი კი დაბინძურებული იყო.

„მიკრობების მომატებული რაოდენობა და კარაქის ამ ტიპის დაბინძურებამ, რაც ჩვენ აღმოვაჩინეთ, შეიძლება ადამიანის ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე შეუქმნას“, – ამბობს მომხმარებელთა ფედერაციის თავმჯდომარე.

კანონის ამოქმედების შემდეგ რა საწიკები არსებობს ასეთი დარღვევებისთვის?

თუ პრობლემა შენახვის პირობების დარღვევაა, პასუხისმგებლობა სუპერმარკეტს ან მაღაზიას ეკისრება. შენახვის სათანადო პირობები, პირველ რიგში, სათანადო ტემპერატურისა და ადგილის შერჩევას გულისხმობს. მაცივარში პროდუქტისთვის არასწორი ადგილის შერჩევამაც კი შესაძლოა, პროდუქტის დაბინძურება გამოიწვიოს. „მაგალითად, სტანდარტის მიხედვით, არ შეიძლება, რომ რძისა და ხორცის ნაწარმი ერთსა და იმავე სამაცივრო დანადგარში ინახებოდეს. ჩვენ ასეთი არაერთი ადგილი აღმოვაჩინეთ. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა, კარაქს, ნაყინს – ხორცის მიკრობები შეერიოს და დაბინძურდეს“, – ამბო-


ბენ მომხმარებელთა ფედერაციაში.

ცალკე საწიკები არსებობს სანარმოებისთვის. თუ დარღვევები ისე მცირეა, რომ სურსათის უვნებლობაზე უარყოფითად არ აისახება, სანარმოს მხოლოდ სიტყვიერ გაფრთხილებას მისცემენ და მას „გონივრული ვადის“ გასვლის შემდეგ ხელახლა შეამოწმებენ. ხოლო თუ სტანდარტები უფრო მეტად იქნება დარღვეული, მაშინ მას სანარმოების რეალიზაციას აუკრძალავენ მანამ, ვიდრე შეუსაბამოები ბოლომდე არ გამოსწორდება.

დაბინძურებული პროდუქტის შესახებ რა ეტაპზე მიდის ინფორმაცია რიგით მომხმარებელამდე? ამ კითხვას სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ვერიკო გულუა ასე პასუხობს: „პროდუქციას, რომელიც მავნებელი იქნება ადამიანის ჯანმრთელობისთვის სააგენტო ქსელიდან გამოიწვევს და განადგურებს, ხოლო თუკი არსებობს იმის საშიშროება, რომ მომხმარებელმა მავნებელი პროდუქტია ქსელიდან ამოღებამდე შეიძინოს, მაშინ კლიენტებს ამის შესახებ აუცილებლად ვაცნობებთ. თუმცა, მეორე მხრივ, აუცილებლად გავითვალისწინებთ ბიზნეს-ოპერატორის ინტერესებსაც“.

დაბინძურებული კარაქი შესაძლოა, სწორედ ის შემთხვევა იყოს, როცა მომხმარებლის მყისიერი ინფორმირება საჭიროა. მადონა კოიძე ამბობს, რომ კვლევის შედეგები სააგენტოს უკვე გაუგზავნეს, თუმცა მათთვის ჯერ უცნობია გეგმავს თუ არა ზომების მიღებას სააგენტო.

ჯერჯერობით, სურსათის კონტროლის სამსახურმა 71 ობიექტიდან რეალიზაციის უფლება მხოლოდ ერთს შეუჩერა. 70 მათგანს კი 346 სიტყვიერი გაფრთხილება და გამოსასწორებელი ვადა მიეცა.

რაც შეეხება „პოპულის“ და ვირთხას, სააგენტოს წარმომადგენლები ამბობენ, რომ ამ ქსელის შემოწმების დასაჩქარებლად არ კმარა სოციალურ ქსელში გავრცელებული ვიდეო. ის სააგენტოსთვის „ოფიციალურ და უტყუარ წყაროს არ წარმოადგენს“. 

საზოგადოებრივი აზრის მკვლევარები აზი ვის სჭირდება ის დღეს?



საზოგადოებრივი აზრის მკვლევარებს საქართველოში ბევრი დაბრკოლების გადალახვა უნევთ, მათ შორის მთავარია მასობრივი გამოკითხვების მიმართ არსებული უნდობლობა და ნიჰილიზმი, რამაც ბოლო წლებში მკვეთრად იმატა.

იაგო კაკაჭიშვილი



„საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ დაკვეთით მასში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები საზოგადოებრივი აზრის ერთ საინტერესო ტენდენციაზე მიუთითებს:

სოციოლოგიურმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მმართველი პარტიის – „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი ქვეყანაში 33 პროცენტია (ზოგიერთი მედია საშუალების მიხედვით – 42%). ოპოზიციური პარტიებიდან ყველაზე უკეთესი შედეგი „ქრისტიანულ-დემოკრატიულ მოძრაობას“ აქვს – 10 პროცენტი. სხვა ოპოზიციური პარტიები კი ჯამში 10 პროცენტსაც ვერ აგროვებენ.

ანუ, მიუხედავად იმისა, რომ დღეს საზოგადოებაში დომინანტურია ოპოზიციური განწყობა, გამოკითხვების დიდი უმრავლესობა ამ განწყობას რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერას არ უკავშირებს.

სახეზეა პარადოქსული ვითარება: საზოგადოების გამოკვეთილი უმრავლესობა (საშუალოდ 60 პროცენტი) ხელისუფლების კრიტიკას გაიზიარებდა, თუმცა, როგორც კი ეს კრიტიკა რომელიმე ოპოზიციურ აქტორს „ეზმის“ და მისი სახით პერსონიფიცირდება, ის კარგავს რეალურ ძალას. ამასვე უკავშირდება მეორე თავისებურება, რომელიც ამ კვლევაში სჩანს: ოპოზიციის სისუსტე არ აძლიერებს ხელისუფლებას, არამედ მასაც ასუსტებს – 33 ან თუნდაც 42 პროცენტის რეიტინგი მმართველი

გუნდისთვის სწორედ ამის მანიშნებელია. თუმცა, საბოლოო ჯამში, დასუსტებული ხელისუფლება მაინც გამარჯვებულია და სრული კარტ-ბლანში აქვს. ეს სხვა არაფერია, თუ არა სოციოლოგიური გამოკითხვების „ენაზე“ ავტორიტარული რეალობის აღწერა: უმრავლესობას არ მოსწონს ხელისუფლება, მაგრამ ეს ოდნავადაც არ აბრკოლებს ხელისუფლებას, მიიღოს ის გადაწყვეტილებები, რაც მას სურს.

აღნიშნულ კვლევაში ოპოზიციური ფრონტის მიმართ მკვეთრად გამოხატული უნდობლობა მეტყველებს, რომ ოპოზიციურ სპექტრს რესურსები გაფლანგული აქვს („ქრისტიან-დემოკრატების“ შედარებითი წარმატება საერთო სურათს ვერ ცვლის). ამკარაა, რომ ოპოზიციური საზოგადოება ოპოზიციურ პოლიტიკურ სცენაზე უიმედოდ ეძებს სიახლეს. ასეთ სიახლედ ჯერჯერობით ვერ იქცა „ოპოზიციური რვიანის“ საარჩევნო გარემოს შეცვლისკენ მიმართული ძალისხმევა. მეორე მხრივ, რადიკალურ ოპოზიციურ ძალთა ნებისმიერი ახალი კონფიგურაცია შესაკრებთა გადანაცვლებას ემსგავსება, რომელიც ჯამში არაფერს ცვლის.

თუმცა, ამ მსჯელობების პარალელურად, ძალაშია შეკითხვა: ვენდოთ დღევანდელი რეალობის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის საფუძველზე აღწერილ ამ სურათს?

სამწუხაროდ, ბოლო 4-5 წელიწადში

პოლიტიკური შინაარსის მასობრივი გამოკითხვების მიმართ უნდობლობამ და ნიჰილიზმმა მკვეთრად იმატა. თუმცა, ფაქტია, რომ დღემდე არ არსებობს საზოგადოებრივი აზრის და საზოგადოებაში არსებული განწყობების კვლევის უფრო ეფექტური იარაღი, ვიდრე სოციოლოგიური გამოკითხვაა.

სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების ობიექტურობას და სანდოობას ბევრი რამე ვნებს, რომელთა შორის მთავარი სამი ფაქტორია: ა) კვლევაში მონაწილე ადამიანები, შესაძლოა, სხვადასხვა მიზეზის გამო საკუთარ აზრს გულწრფელად არ გამოხატავენ; ბ) კვლევის არაპროფესიონალურად ჩატარება და გ) შემკვეთის ინტერესების გათვალისწინება (პოლიტიკური ან იდეოლოგიური ანგაჟირებულობა).

მასობრივი გამოკითხვა აუცილებლად კომპლექსურ სამუშაოს გულისხმობს – კვლევის პროგრამა, კითხვარი, რესპონდენტების შერჩევა, საველე სამუშაოები, მონაცემების სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი. ამ რგოლიდან თუ ერთი მაინც ჩავარდება, ეს მთელ პროდუქტს აზარალებს. ბევრ ორგანიზაციას სოციოლოგიური კვლევის კომპლექსურობაზე არაადეკვატური წარმოდგენა აქვს და ჰგონია, რომ თუ რესპონდენტების რამდენადმე მოცულობითი რაოდენობა გამოიკითხა, ეს სრულიად საკმარისია შედეგების განზოგადებისთვის.



საზოგადოების გამოკვეთილი უმრავლესობა (საშუალოდ 60 პროცენტი) ხელისუფლების კრიტიკას გაიზიარებდა, თუმცა როგორც კი ეს კრიტიკა რომელიმე ოპოზიციურ აქტორს „ებმის“ და მისი სახით პერსონიფიცირდება, ის კარგავს რეალურ ძალას.

რაც შეეხება შემკვეთის ინტერესების გათვალისწინებას – ეს ასევე ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა, პირველ რიგში, პოლიტიკურ კვლევებში. პოლიტიკური ანგაჟირებულობა ხშირად ხდება საქართველოში გამოკითხვის შედეგებში ხელოვნური ჩარევისა და მონაცემების კორექტირების საფუძველი.

რაც შეეხება რესპონდენტთა გულწრფელობას, საზგასმით უნდა ითქვას, რომ ეს პრობლემა მხოლოდ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ და ისიც, ბოლო 3–4 წელიწადია, რაც გაჩნდა. ასეთი ბარიერები, ძირითადად, პოლიტიკურ კვლევებში ჩნდება. უფრო მეტად კვლევების იმ ნაწილში, სადაც რესპონდენტი ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მიმართ თავის დამოკიდებულებას განსაზღვრავს. დღეს საზოგადოებაში

სერიოზულად შელახულია ანონიმურობის ეფექტი, რაც საზოგადოებრივი აზრის შესწავლისთვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ადამიანებს აქვთ შეგრძნება, რომ მათი პრივატულობა დარღვეულია, რომ მუდმივად დაჰყვებათ ხელისუფლების მაკონტროლებელი „თვალი“ და ა.შ.

გამოკითხვის მონაცემებს და შესაბამისად იმას, თუ რამდენად გულწრფელნი იყვნენ რესპონდენტები გამოკითხვის დროს, არჩევნების შედეგები და ასევე სხვადასხვა კვლევითი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების ერთმანეთთან შედარება ამონიშნებს. თუ კვლევა პროფესიონალურადაა ჩატარებული, მაშინ გამოკითხვის შედეგების მთელ პოპულაციაზე განზოგადებაა შესაძლებელი. შესაბამისად, გამოკითხვამ და არჩევნებმა, ისევე, როგორც მსგავსი მეთოდოლოგიით ჩატარებულმა კვლევებმა, ერთი და იგივე მონაცემები უნდა აჩვენოს (ცხადია, დასაშვები ცდომილების ფარგლებში).

თუმცა, საქართველოში არჩევნების შედეგები კვლევის შედეგებს ხშირად არ ემთხვევა და ეს, ზოგ შემთხვევაში, სულაც არ არის მკვლევართა არაპროფესიონალიზმის ბრალი. მაგალითისათვის მოვიტან 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებს: ყველა გამოკითხვა, რომელიც წინასწარჩვენო პერიოდში ჩატარდა, „ეროვნულ საბჭოს“ თბილისის საკრებულოს არჩევნებში 1–2 პროცენტს უწინასწარმეტყველებდა. არჩევნებში კი ამ პოლიტიკურმა ძალამ 8.2 პროცენტი მიიღო. ცდომილებამ დასაშვებ ზღვარს (3 პროცენტს) გადააჭარბა. თუ გავიხსენებთ „ეროვნული საბჭოს“ გარშემო იმ დროს არსებულ მკვეთრად უარყოფით (ისტერიულსაც კი) კამპანიას (ნოლაიდელის რუსეთში ვიზიტების გამო), რომელსაც ხელისუფლება და თითქმის ყველა ტელეარხი აწარმოებდა, სწორედ ამით უნდა აისხნას „ეროვნული საბჭოს“ მხარდამჭერი რესპონდენტების შენიღბვა სოციოლოგიურ გამოკითხვებში. იმავე 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებულ გამოკითხვებში, „ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობა“ ასევე სტაბილურად იღებდა დაახლოებით 10–11 პროცენტთან შედეგს თბილისში, რაც აისახა კიდევ არჩევნების შედეგებში (12

პროცენტს). ცხადია, გამოკითხვა პროფესიულად ვერ განხორციელდებოდა ერთ პარტიასთან, ხოლო არაპროფესიულად – სხვასთან მიმართებაში.

მაშასადამე, სახეზეა ერთი საინტერესო ტენდენცია – ე.წ. „შერჩევითი გულწრფელობა“. ცალკეულ პოლიტიკურ პარტიებთან მიმართებაში გამოკითხვის შედეგები არ იძლევა დასაშვებზე მეტ ცდომილებას. ხოლო ე.წ. რადიკალური პარტიების მიმართ, რომლებიც ხელისუფლების უპირობო შეცვლაზე ორიენტირდება, ცდომილება ბევრად დიდია. ანუ რესპონდენტები გამოკითხვებში რადიკალების მიმართ მხარდაჭერას გაურბიან.

ასეთი, თუნდაც „შერჩევითი გულწრფელობის“ პირობებში, საესკებით ლეგიტიმურია შეკითხვა: რამდენად მიზანშეწონილია სოციოლოგიური კვლევების ჩატარება საქართველოში, პოლიტიკურ აქტორთა რეიტინგების და ძალთა ბალანსის დადგენის თვალსაზრისით? ჩემი აზრით, ამ შეკითხვაზე ერთმნიშვნელოვანი – დადებითი ან უარყოფითი – პასუხი არ არსებობს. უფრო ზუსტად, ვითარება ამბივალენტურია: იმ პოლიტიკური ძალების რეალური სოციალური „წონა“, რომელთა მიმართაც ხელისუფლება და ტელემედია მეტ-ნაკლებად ლოიალურია, გამოკითხვებში ობიექტურად აისახება, ხოლო იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებსაც ხელისუფლება განსაკუთრებით ერჩის, სოციოლოგიურ გამოკითხვებში ობიექტური შედეგების მიღების დიდი იმედი არ უნდა ჰქონდეთ. მეორე მხრივ, არც ის უნდა დაგვაინტერესებს, რომ სახელისუფლო ლოიალობა ცვალებადია და ის, სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა პარტიას შეიძლება დაუკავშირდეს. ასე რომ, პრინციპში, არ არსებობს ამ „იარლიყის“ პერმანენტულად მატარებელი ესა თუ ის პოლიტიკური ძალა.

აქედან გამომდინარე, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების საფუძველზე აღწერილი პოლიტიკური რეალობა, დღესდღეობით, ჰიპოთეტურ მნიშვნელობას იძენს და, უკეთეს შემთხვევაში, შეუძლია მხოლოდ არსებულ ტენდენციებზე მიანიშნოს. ეს ნამდვილი ანაქრონიზმია დემოკრატიული საზოგადოების სტანდარტებთან მიმართებაში. ■

Ad Hominem* ახბუმენსები



მარკ მალენი

Ad Hominem ლათინურად ნიშნავს „პიროვნების წინააღმდეგ“ და ამ ცნების შინაარსის გაცნობა დღეს ყველას გამოგვადგება. Ad Hominem არგუმენტის გამოთქმა ნიშნავს იდეის, მოსაზრების, კომენტარის ან შემოთავაზების კრიტიკას პიროვნებაზე შეტევით. მაგალითად, ამ მოსაზრებაზე – „უკეთ უნდა გავიგოთ, თუ როგორ აღიქვამენ აფხაზები ქართველებს“ – Ad Hominem პასუხი იქნება: „ხო, რა თქმა უნდა, შენ ასე ფიქრობ, რადგან დედაშენი რუსია“. კიდევ ერთი მაგალითი: როდესაც პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ მაჟორიტარი კანდიდატებისთვის მინიმალური საარჩევნო ბარიერი 50-დან 30 %-მდე დაეწიოს, მე საჯაროდ გავაკრიტიკე ეს გადაწყვეტილება და პასუხად მითხრეს, რომ თურმე მე ოპოზიციის მხარეს ვიყავი და ამიტომ გამოვთქვამდი კრიტიკას; მითხრეს, რომ თითქოს მე მსურდა, არჩევნებში ოპოზიციას გაემარჯვა, თორემ სხვა რა მიზეზით უნდა გამომეთქვა ასეთი აზრი...

საქართველოში Ad Hominem არგუმენტები ისევე ხშირად ისმის, როგორც სხვა ქვეყნებში. ამერიკის შიდა პოლიტიკაში ასეთი ტიპის დამოკიდებულება მას შემდეგ გამძაფრდა, რაც ბოლო 10 წლის მანძილზე პრეზიდენტების ნდობა ძალიან შემცირდა და პოლიტიკაში დაყოფები იმდენად გამოიკვეთა, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებების ობიექტურად შეფასების პრობლემა შეიქმნა.

ზოგიერთები ამბობენ, რომ ვინაიდან უფრო და უფრო მეტი ადამიანი იგებს ახალ ამბებს ინტერნეტიდან



და ჩართულია სოციალურ ქსელებში, იმის ნაკლები შესაძლებლობა გვეძლევა, რომ განსხვავებულ მოსაზრებებს გავეცნოთ. მეგობრები მხოლოდ ერთმანეთთან ურთიერთობენ. ეს იწვევს ემპათიის ნაკლებობას, რასაც, საბოლოო ჯამში, Ad Hominem შეტევებამდე მივყავართ. დარწმუნებული არ ვარ, რომ ეს მოსაზრება სწორია. ონლაინ სამყარო ჰგავს რეალურ სამყაროს იმით, რომ იქ ვიღებთ იმას, რაც გვსურს.

მე პრეზიდენტ ბარაკ ობამას მხარდამჭერი ვარ და მიმაჩნია, რომ „რესპუბლიკელებს“ ძალიან ცოტა შემოთავაზება აქვთ ისეთი, რომელიც ამერიკისთვის სასარგებლო იქნება. დიდი ხნის მანძილზე ვეძებდი „რესპუბლიკელების“ ისეთ იდეებსა და შემოთავაზებებს, რომლებიც არ

იქნებოდა სავსე ობამასა და „დემოკრატებზე“ Ad Hominem შეტევებით. მსგავსი ვერაფერი ვიპოვე. მე ვფიქრობ, რომ ამჟამად „რესპუბლიკელები“ უფრო ხშირად იყენებენ Ad Hominem არგუმენტებს, ვიდრე „დემოკრატები“. ეს შეტევები და ზოგადად, Ad Hominem შეტევები ქმნიან „რესპუბლიკური პარტიის“ პოლიტიკური კამპანიის ბაზისს. მათთვის ეს უკვე ჩვეულ პრაქტიკად იქცა... თუმცა შესაძლოა, მე იმდენად ტენდენციური ვარ, რომ სიტუაციას ობიექტურად ვერ ვაფასებ.

ამგვარად, მეორე მნიშვნელოვან საკითხამდე მივდივართ: ტენდენციურობამდე. მე ვერასდროს ვიგებდი, თუ რას ნიშნავს იგი. შესაძლოა ისეთ საკითხებში, რომლებიც ნათესავებს ეხება, ტენდენციურები ვიყოთ. ამა-

ვე დროს, მე მიმაჩნია, რომ არსებობს ბევრი ისეთი სამსახური, სადაც ნათესავებს არ მივიღებდი. როდესაც ადამიანი აკეთებს განცხადებას და ჩვენ ვამბობთ, რომ ის ტენდენციურია, რას ვგულისხმობთ? ვგულისხმობთ თუ არა იმას, რომ მათ ობიექტურობისათვის ჭკუა არ ჰყოფნით? ან იქნებ იციან, რომ ცდებიან, მაგრამ მორალურად გახრწნილები არიან და ამიტომ ცდილობენ, მოგვატყუონ? იმ შემთხვევაში, თუ მართლა ასეა, მაშინ რატომ პირდაპირ არ გუმენტს არ ვაბათილებთ? ტენდენციურობის ბუნება და ის, თუ რას ვგულისხმობთ, როდესაც ვინმეს ტენდენციურობაში ვადანაშაულებთ, მნიშვნელოვანი თემაა.

Ad Hominem შეტევა გულისხმობს იმას, რომ არსებობდა არგუმენტი, რომელიც წამოაყენეს და რომელიც Ad Hominem შეტევით გადაიფარა. ზოგჯერ ასეთი არგუმენტები საერთოდ არ არსებობს და ადამიანები მხოლოდ Ad Hominem შეტევებით შემოიფარგლებიან.

ანტიდემოკრატიულ ძალებს, რომლებიც დღეს ხელისუფლებას ებრძვიან, ჩემი აზრით, ძალიან ცოტა შემოთავაზება აქვთ, იმის გარდა, რომ ხელისუფლების გადადგომას ითხოვენ. მე რასაც ვუყურებ, ისინი მხოლოდ იმას ამბობენ, რომ უნდათ, თავად იყვნენ ხელისუფლებაში და არა ნაციონალები.

Ad Hominem შეტევების პრობლემა ის არის, რომ ისინი იწვევენ პოლარიზაციას. ისინი აიძულებენ ადამიანებს, რომ გაერთიანდნენ ურთიერთმოქიშპე ჯგუფებში. ისინი აჩენენ დაყოფებს. არსებობენ ადამიანები, რომლებიც ინსტინქტურად იყოფიან, ეს უმთავრესად მამაკაცებს სჩვევიათ. მათთვის ეს ხშირად ერთადერთი

თი ცნობილი გზაა რალაციის განსახილველად. რაიმე იდეა წამოიჭრება თუ არა, ისინი მაშინვე ამ იდეას ესხმიან თავს; თუ იდეას ვერაფერს უშვრებიან, უტევენ იმას, ვინც ის წამოაყენა. თუ ესეც არ მუშაობს, მაშინ ცვლიან თემას. ასეთი ადამიანები დისკუსიას უყურებენ, როგორც დებატებს, მაგრამ იდეალურ შემთხვევაში, დებატებიც უნდა გულისხმობდეს იდეის ობიექტურად განხილვას და არა მხოლოდ იმის გარკვევას, თუ ვინ გაიმარჯვებს და ვინ დამარცხდება. ზოგი დისკუსიას უყურებს, როგორც ბრძოლას: „თუ ვერ მოიგებ, დამარცხდები“. ესენი სწორედ ის ადამიანები არიან, რომელთაც Ad Hominem არგუმენტების გამოყენება უყვართ.

ერთიანობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე დაქსაქსულობა. ჩვენ უნდა ვიყოთ ერთიანები. რამე საკითხის ან იდეის გარშემო ჯგუფების შექმნა და ერთმანეთზე შეტევა სასარგებლო აქტივობა არ არის და არც განსაკუთრებით სახალისოა. ის ხელს უშლის შემოქმედებით აზროვნებას. ადამიანები ახალ იდეას მხოლოდ მაშინ წამოჭრიან, როდესაც ეს იდეები სოციალური კონსენსუსით იქნება დაცული. წარმოიდგინეთ, რამდენად საზიანო იქნება საზოგადოებისთვის, თუ ის ადამიანები, ვინც ახალ იდეებს წამოჭრიან, ჩათვლიან, რომ მათ აგრესიულად შეუტევენ და ამიტომ ინიციატივისგან თავს შეიკავებენ. მოდი, მივაქციოთ ყურადღება Ad Hominem შეტევებს და როდესაც მათ მოვისმენთ, უგულბებლვყოთ ისინი და ჩავთვალოთ, რომ მათ იყენებენ რაიმე მნიშვნელოვანი იდეის გადასაფარავად ან დასამცრობად. ვფიქრობ, რომ კარგი იქნება, თუ ამაზე სერიოზულად დაფიქრდებით. **■**

* ლათინური გამოთქმა. სიტყვასიტყვით: „საბუთი ადამიანისადმი“. არგუმენტი, რომელიც ემყარება არა ობიექტურ მონაცემებს, არამედ ითვალისწინებს იმ პირის აზრს, გრძნობას, ინტერესს, რომელსაც არწმუნებენ. საპირისპირო გამოთქმაა Argumenrum ad rem – არგუმენტი, რომელიც ემყარება საქმის ნამდვილ ვითარებას.



საეციალური შეთავაზება



გამოიწერეთ
 ჟურნალი „ლიბერალი“
 თითოჯინს ნახევარ ფასად!

წლიური ხელმოწერა
 მხოლოდ 55 ლარი!

ისარგებლეთ სპეციალური შეთავაზებით,
 გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“
 და მიიღეთ თქვენი ჟურნალი
 ყოველ ორშაბათს
 თქვენთვის სასურველ ადგილას!

ჟურნალის გამოსაწერად
 დაგვიკავშირდით ტელეფონზე:
 (899) 48 62 41

ან მოგვანოდეთ თქვენი
 საკონტაქტო ინფორმაცია
 ელ-ფოსტით: subscribe@liberali.ge

ყვიჩილი და სიჩუბა

ფოტობიზნესის ბიზნისი ღამე ქვედ თბილისში



დავით ბუხრიკიძე

მაისის ბოლოს თბილისში გამართულმა „თბილისის ფოტოფესტივალმა“ (TBILISI PHOTO FESTIVAL) აშკარად დაადასტურა ამ მოვლენის არამხოლოდ ესთეტიკური, არამედ სოციალური მნიშვნელობა. 29 მაისს ძველი თბილისის მასშტაბით გამართული Night of Photography („ფოტოგრაფიის ღამე“) უმთავრეს არტ-აქციად შეიძლება შევაფასოთ, რომელმაც პოლიტიკითა და ძალადობით ტრავმირებულ დედაქალაქს ერთგვარი თერაპიული სიმშვიდე მოჰგვარა.

ფოტოფესტივალის ევროპული კვირის ფარგლებში უკვე მეორედ გაიმართა. ორგანიზატორობა ამჯერადაც „თბილისის ევროპის სახლმა“ და „ფოტოგრაფიის სახლმა“ ითავეს. რადგან პროექტმა გასულ წელს მაყურებლის გულიც მოიგო და სტუმართა მონონებაც დაიმსახურა, გადაწყდა, რომ ყოველი წლის მაისის ბოლოს გაიმართოს. ამიერკავკასიის ფარგლებში ეს ყველაზე მასშტაბური ფოტოპროექტია, რომელმაც სტუმართა დიდი ყურადღება მიიპყრო. თბილისის უამრავი ფოტოხელოვანი ეწვია თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, რუსეთიდან... და ცხადია, ევროპიდან.

2011 წელს მოვლენების ეპიცენტრი გაცილებით დიდ სივრცეზე გადანაწილდა. ფოტოფესტივალის თითქმის ერთი კვირის განმავლობაში (25-30 მაისი) მიმდინარეობდა, თავად მოვლენა კი – გაცილებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. თბილისის ფოტოფესტივალის ძირითადი პარტნიორი სახელგანთქმული არლის (საფრანგეთი) ფოტოფესტივალის, რომელთანაც თანამშრომლობით წელს მრავალი საინტერესო გამოფენა თუ შეხვედრა გაიმართა. მაგალითად, ფოტოსააგენტო „მაგნუმის“ წევრის, ტომას დვორუკის გამოფენა სახელწოდებ-



პურის მოედანი, თბილისი, 29 მაისი 2011

ფოტო ლეონი 90333

ბით „კავკასია“ ლიტერატურის ისტორიის მუზეუმში.

ეს გამოფენა სააგენტო „როიტერის“ ყოფილი რეპორტიორისა და ცნობილი ფოტოგრაფის კავკასიის რეგიონში თორმეტწლიანი მუშაობის გამოცდილებას ასახავს. პირველ რიგში, გარდასულ ომსა და მოუღწეველ მშვიდობას. აგრეთვე კავკასიის ხალხების ყვირილსა და სიჩუმეს; შავ-თეთრ ლირიკას და მინაგლებულ მრისხანებას. ტოლსტოის მოთხრობის, „ჰაჯი-მურატის“ ტექსტის ფრაგმენტები ფოტოების გვერდით, ერთგვარი „ტექსტის გასაღები“, რომელიც მათ ფორმას შინაარსისგან კონტრასტულად მიჯნავს...

აბანოთუბანი, მეიდანის, შარდენის ქუჩა, ბამბის რიგი, ერეკლე მეორის, ლესელიძის, თუმანიანის, გია აბესაძის თუ ბეთლემის ქუჩები და ბოლოს, გუდიაშვილის ბაღი – ეს ის ლოკალური ნერტილებია, სადაც 29 მაისს მთელი ღამის განმავლობაში, ღია ცის ქვეშ განლაგებულ ეკრანებზე ცნობილი თუ უცნობი ფოტოგრაფების ნამუშევრებს უჩვენებდნენ.

თბილისის ფესტივალის ძირითადი პარტნიორი არლის ფოტოფესტივალია, რომელთანაც თანამშრომლობით უამრავი სიახლე შევიტყვეთ, მაგალითად, ახალგაზრდა ევროპელი ფოტოგრაფების შესახებ, რომელთა ნამუშევრებიც უხვად იყო წარმოდგენილი. ან თუნდაც, ჩვენთვის უცნობი სააგენტოების: Stiletto-ს, Signature-ს, Contrasto-ს და Noor-ის შესახებ. აღარაფერს ვამბობთ ცნობილ და ტკივილამდე ნაცნობ Reuter-სა და World press photo-ს

შესახებ.

ფხიზლად მოდარაჯე თვალს, ცხადია, არ გამოეპარებოდა „თბილისის ფოტოგრაფიის სახლის“ მიერ წარმოდგენილი ავტორების – დარო სულაკაურის, ლიზა ოსეფაიშვილის, კახა კახიანის (უნდა ვაღიარო, რომ 21 წლის ახალგაზრდა ფოტოგრაფი ყველაზე საინტერესო და შთამბეჭდავი შავ-თეთრი ნამუშევრების ავტორია ქართველ ავტორებს შორის, რომელიც კლასიკური ფოტოგრაფიის გამგრძელებლად შეიძლება მივიჩნიოთ), ვატო წერეთლის და იუსტინა მელნიკევიჩის ფოტონამუშევრები.

არც კავკასიელი მეზობლების, სომეხი და ზერბაიჯანელი ფოტოგრაფების ნამუშევრებია ინტერესსმოკლებული. მაგალითად, მერი აგახანიანის ცუდად „ნაქარგი“ დეპრესიულობით გამორჩეული, საინტერესო „სოფლის ცხოვრება“, ან კარენ მირზიანის დოკუმენტური ფოტოების სერია „თვითმკვლელები“. აზერბაიჯანელი ავტორები (ელდარ მუსტაფაზადე, ილკან ჰუსეინოვი, ნანა გაფაროვა, ნარზინ მამედოვი) ბაქოს ძველ ქუჩებს და ქვეყნის სოციალურ „პორტრეტს“ ერთნაირი ვენებით წარმოადგენენ...

აღმოსავლეთ ევროპული მზერა შედარებით მოკრძალებულია. ლუსია განევა კიჩურად გადაღებულ მოდას შეუფარავი ირონიით უმზერს, ხოლო ტიმ პარჩიკოვი მესამე ათასწლეულის მოსკოვის ურბანისტულ სივრცესა თუ სიცივეს – მეოცე საუკუნის 70-იანი წლების სოც-რეალისტური „მზრუნველობით“.

ფრანგი ფოტოგრაფი ამბრუაზ ტეზენარი უკრაინაში შემორჩენილ საბჭოთა არქიტე-

ქტურის ნანგრევ-ნარჩენებს გარკვეული დისტანციით გვიჩვენებს (საცურაო აუზი, სახლი თუ გიგანტური ქარხნის შენობა); ასევე ფრანგი დენი რუფრი შავკანიანი ძალოსნების სხეულის სექსუალობას არქაულ წარსულს და მონათმფლობელობის დისკურსს უკავშირებს. საინტერესოა თურქი ფოტოგრაფებისა ნამუშევრების ფართო დიაპაზონი – არტისტული სიჭრელიდან მძაფრ სოციალურობამდე. არიფ ამის, იუსუფ სევიჩაღლის, სამი სოლმანის, სერკან ტაიკანის ნამუშევრები ცხადია, ქვეყნის „სუბიექტურ პორტრეტსაც“ გვიხატავს და საკუთარი განცდების „ველსაც“... და ვიღაცას თურქეთის მერე აუცილებლად ირანი გაახსენდება.

უნდა ვაღიარო, რომ ირანელი ფოტოგრაფების ნამუშევრები მათი სახელოვანი თანამემამულე-კინორეჟისორების შედევრებს ნამდვილად არ ჩამოუვარდება! გოჰარ დაშთის, არამ ჰანაიის, ჰასან სარბახშიანის, მეჰრან მოჰაჯერის სახელები, ალბათ, არაფერს გვეუბნება, მაგრამ საკმარისია მათ ნამუშევრებს თუნდაც ზერელედ შეავლოთ თვალი, რომ აუცილებლად გაგახსენდებათ მდიდარი კულტურული არქიტექტურის შრეც და ქვეყნის დღევანდელი სოციალურ-პოლიტიკური ვითარებაც.

გაზეთ „პრაიმ-ტაიმის“ მიერ წარმოდგენილი გიგო გაბაშვილის სრულიად უცნობი, ბრწყინვალე ფოტოები, რომლებიც მანამდე მხოლოდ ერთი დღით იყო ნაჩვენები საჯარო ბიბლიოთეკაში, „ფოტოგრაფიის ღამეს“ ისევე ვიხილეთ. ამჯერად ეკრანზე და მუსიკალური აკომპანიების თანხლებით. ყველა ფოტონამუშევრების ჩვენება მუსიკის თანხლებით მიმდინარეობდა, რაც ისევე ეფექტურია, როგორც სპეციალური საუნდტრეკი პერფორმანსზე, ან მოდის ჩვენებაზე.

„ფოტოგრაფიის ღამეს“ ჟურნალებმაც იყორალეს: „ტაბულამ“ ნიკო ტარიელაშვილისა და ხათუნა ზუციშვილის დამსახურებით უფრო პორტრეტულ ჟანრს გვაზიარა (ბატონი შაშკინი, ბატონი ბენდუქიძე, ქალბატონი ქობალია და ცნობილი როკერი კუხიანიძე), ხოლო „ლიბერალის“ ავტორებმა – ლევან ხერხეულიძემ, მარიკა ქოჩიაშვილმა, თემურ ბარძიმაშვილმა და ზურა ქურციკიძემ გასული წლის მნიშვნელოვანი მოვლენების ამსახველი ფოტოები წარმოადგინეს. ■



გუდიაშვილის ბაღი, თბილისი, 29 მაისი 2011

ფოტო: ნიკოლოზ გვილაშვილი



ჭკვიანი სახლები

ტექნოლოგიების უკანასკნელი სიტყვა ე.წ. „ჭკვიანი სახლები“ IT ბაზრის გიგანტებისთვის სულ უფრო საინტერესო ხდება. საზოგადოებას საკუთარი „ჭკვიანი სახლი“ Google-მაც წარუდგინა. პლატფორმა Android@Home ინტერნეტ-გიგანტის ახალი მიმართულებაა, რომლის მეშვეობითაც Android-მონყობილობები ადამიანებს საყოფაცხოვრებო ნივთების მართვაში დაეხმარებიან. Android Home ღია, უკაბელო პროტოკოლს ეფუძნება და Android-ის ელექტროენერგიაზე მომუშავე ნებისმიერ მონყობილობასთან წვდომის უფლებას აძლევს. პრეზენტაციაზე პროექტის ავტორებმა Android-პლანშეტით ტორშერის მუშაობა მართეს, თუმცა ოპერაციული სისტემის პოტენციურ აქსესუარს, პრაქტიკულად, ყველა საყოფაცხოვრებო ნივთი წარმოადგენს.

Android@Home-ის შემქმნელები მომხმარებლებს წარმოუდგენელი იდეების რე-

ალობად ქცევას ჰპირდებიან. მაგალითად, Android-სმარტფონის მალეიძარა ზარის დარეკვასთან ერთად დამოუკიდებლად შეძლებს მუსიკალური ცენტრის და საძინებელი ოთახის განათების ჩართვას, რითაც სახლის პატრონს კიდევ უფრო მარტივად გააღვიძებს. სმარტფონის დახმარებითვე შესაძლებელი იქნება სახლის ტემპერატურის რეგულირება, შუქის ანთება, სარეცხი მანქანის, ჩაიდნის მომართვა ან მაცივრისთვის ასეთი შეკითხვის დასმა: დამრჩა კიდევ ლუდი თუ წავიდე ამოვიტანო?

Google-ს „ჭკვიანი სახლის“ აშენებაში პარტნიორობას ამერიკული კომპანია Lighting Science Group გაუწევს. იგი უკვე რამდენიმე წელია, შუქდიოდურ ნათურებს აწარმოებს. პირველ, Android-თან თავსებადი სახლის ნათურებს კი კომპანია უკვე მიმდინარე წლის ბოლოს შექმნის.

ამ მიმართულების განვითარებით დაინტერესებულია Microsoft-იც. ცოტა ხნის

წინ კორპორაციამ ჟურნალისტები საკუთარ „ჭკვიანი სახლში“ დაპატიჟა და სპეციალური ვიდეორგოლის დახმარებით, მომავლის ციფრული სახლის პროტოტიპი უჩვენა. პროექტის ავტორები ამბობენ, რომ სისტემის დახმარებით მომავლის სახლს უამრავი შესაძლებლობა ექნება: Microsoft Home ისაუბრებს, თვალს მიადევნებს მობინადრეების ჯანმრთელობას და მათ მედიკამენტების მიღების დროსაც შეახსენებს, სამოსთან დაკავშირებით რჩევებს მისცემს, კულინარიულ რეცეპტებს უკარნახებს და საგამოფენო ცენტრებსა თუ მაღაზიებში ვირტუალურ მოგზაურობაშიც დაეხმარება.

Microsoft Home-ში უამრავი ეკრანი გამოყენებული, რომლებიც მართვის ინტერაქტიული პანელების ფუნქციას ასრულებს. ამას გარდა, მფლობელს კედელზე შპალერის ნაცვლად მოძრავი პროექტირებული გამოსახულების განთავსება და სურვილის მიხედვით შეცვლაც

შეძლება. ოთახის შუაში დიდი ეკრანი, რომელსაც მულტიმედია გასართობი და საინფორმაციო ცენტრის ფუნქციები აქვს.

„ჭკვიანი სახლების“ მიმართულების განვითარება ამერიკაში ჯერ კიდევ 1978 წელს დაიწყო, თუმცა მათ შორის ყველაზე გონიერი შარშან კომპენჯაგენის უნივერსიტეტმა წარადგინა. სახლს თავად შეუძლია გათბობის სისტემის მართვა, შუქის ჩართვა-გამორთვა, ფანჯრების გაღება, იატაკის წმენდა, სადილის მომზადება, ყავის წინასწარ განსაზღვრულ დროს მოდულება, პატრონის მოსვლამდე მისთვის სასურველი ტემპერატურის აბაჯანის მომზადება და სხვა. სახლი საჭირო ელექტროენერჯის მზის ელემენტების დახმარებით თავად გამოიმუშავებს. კომპენჯაგენის უნივერსიტეტმა მის შექმნაზე 5,5 მილიონი ევრო დახარჯა.

ასეთი მრავალფეროვანი შესაძლებლობების მიუხედავად, „ჭკვიანი სახლების“ განვითარებას ბევრი ექსპერტი სკეპტიკურად უყურებს. მიზეზი ტექნოლოგიების სიძვირეა. Microsoft Home-ში, მაგალითად, უამრავი ინოვაციური გადამყვებილება გამოყენებული და მათი ნაწილი ახლაც ხელმისაწვდომია, თუმცა ძვირი ღირს, რის გამოც მის შექმნას მხოლოდ ძალიან მდიდარი ადამიანები თუ ახერხებენ.

ერთ-ერთი ასეთი ჭკვიანი სახლი Microsoft-ის დამფუძნებელს, ბილ გეიტსს ეკუთვნის. სახლში, რომელიც 53 მილიონადაა შეფასებული, საყოფაცხოვრებო თუ ელექტროტექნიკა – კლიმატის კონტროლიდან დაწყებული, ტელევიზორის სისტემებით იმართება. იგი იმდენად გონიერია, რომ ზუსტად იცის, როგორი ტემპერატურა და განათება სჭირდება გეიტსს კონკრეტულ მომენტში სრული კომფორტისთვის.

სპეციალისტების ნაწილი ამ დრომდე ამბობდა, რომ ჩვეულებრივი ადამიანები, რომელთა შემოსავალი ბილ გეიტსზე გაცილებით ნაკლებია, „ჭკვიან სახლებში“ შესახლებას მხოლოდ 2025 წლიდან შეძლებდა, თუმცა Google-ის ბაზარზე შესვლამ მათი ფართოდ გავრცელების ვარაუდი კიდევ უფრო რეალური გახადა.

ვილმი TWITTER-ზე




სინგაპურელმა რეჟისორმა ტან სიოკ სიოკმა ახალი დოკუმენტური ფილმი მიკრობლოგების სერვისს Twitter-ზე გადაიღო. ფილმს სახელად Twittamentary ჰქვია და Twitter-ის მომხმარებლებს ეძღვნება.

ფილმის შექმნის ძირითად რესურსს Twitter-ი წარმოადგენს. ისტორიები, რომლებიც ფილმში შევიდა, თავის დროზე მომხმარებლების მიერ Twitter-ზე დაინერა და შემდეგ მათვე შეარჩიეს. ფილმის გადამღები ჯგუფიც Twitter-ის დახმარებით დაკომპლექტდა. შემოქმედებითი პროცესისთვის თვალის მიდევნება მომხმარებლებს სპეციალური მიკრობლოგის @twittamentary-ს დახმარებით შეუძლიათ. ფილმის პრემიერა 2011 წლის მეორე ნახევარში დაგეგმილი, პირველი ტრილერი კი YouTube-ზე უკვე ხელმისაწვდომია.

PLAYBOY ინტერნეტში

Playboy-ს 57 წლიანი არსებობის მანძილზე გამოცემული ყველა ჟურნალი ინტერნეტში განთავსდება. არქივზე ხელმწიფის ფასი წელიწადში 60 დოლარი, თვეში კი 8 დოლარი იქნება. რედაქცია ინტერნეტ-მომხმარებლებს საიტზე სა-



ძიებო სისტემის განთავსებასაც დაჰპირდა. მასალების მოძიება ავტორებისა და ჟანრების მიხედვით იქნება შესაძლებელი. ამას გარდა, მისამართზე i.playboy.com ჟურნალის iPad ვერსიაც ამოქმედდება. ვებგვერდები ხელმომწერებს კონტენტს ყოველგვარი ცენზურის გარეშე შესთავაზებენ. Playboy-ს გამოშვები რედაქტორი ჯიმი ჯელინეკი ამბობს, რომ ჟურნალის მკითხველებს ამიერიდან 682 ნომერის საწილის ქვეშ შენახვა აღარ მოუწევთ.

გამოცემა საკუთარი არქივის შექმნაზე პირველად არ მუშაობს. 2010 წელს გაყიდვაში Playboy-ს დისკი გამოვიდა, რომელზეც ყველა ნომერი იყო ჩანერილი. მისი ფასი 300 აშშ დოლარია. შარშან რედაქციამ სპეციალური 3D ნომრის პრეზენტაციაც გამართა.

სამაჯური FACEBOOK-ის სტატუსით



ამიერიდან Facebook-ის მომხმარებლების პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გაგება ინტერნეტის გარეშე იქნება შესაძლებელი. საფრანგეთში სპეციალური სამაჯურების გამოშვება დაიწყო, რომლებზეც „დაქორწინებული“, „თავისუფალ ურთიერთობებში“ და Facebook-ის სხვა სტატუსებია დატანილი.

იდვის ავტორებმა წარწერებს 5 ახალი „მომლოდინე“ სტატუსიც დაამატეს: „ვეძებ რომანტიკოსს“, „პაემანზე მინდა“ და სხვა. მათი თქმით, ამგვარი სამაჯურის ტარება ურთიერთობებს კიდევ უფრო გაამარტივებს, ვინაიდან ადამიანებს ოჯახური მდგომარეობის შესახებ ერთმანეთისთვის კითხვების დასმა აღარ მოუწევთ. სამაჯურის შექმნა მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან ინტერნეტითაა შესაძლებელი (www.buump.com). 5 სამაჯურის ფასი 5,99 ევროს შეადგენს. □

მომზადდა ნინო ნატროშვილმა.

სოლანდელი

(თბილისის უბნები თვალის ახტი შავებით. ნაწილი IV)



კახა თოლორდავა

სასაფლაოსკენ გზა ბაირამამ მიგვასწავლა. ტაქსიში ჩავვიჯდა და აზერბაიჯანელებით დასახლებული სოლანდელის ისეთი ვინრო, მიხვეულ-მოხვეული გზებით გვატარა, რომ ტაქსის მძღოლს შეეშინდა, უკან გზას ველარ გავიგნებო. „რას ვიფიქრებდი, აქ თუ როდესმე მოვხვდებოდი?!“ – ერთი-ორჯერ თქვა კიდეც და ჯერ მე გადმომხედა ეჭვის თვალით, მერე კი სარკეში ალმაცერად გახედა უკან მჯდომ გია ხადურს, ჩემს მეგობარს, ხათრი რომ ვერ გამიტყუა და ამ სიშორეზე გამომყვა. მთელი დღე ტვინს ვუბურღავდი: „ნამო, მუსლიმურ სასაფლაოზე წავიდეთ ფონიჭალაში, არ გინდა? წავიდეთ და ეგრევე დავბრუნდეთ“, – ველრიჭინებოდი ლამის ყოველ ნახევარ საათში ერთხელ. მოკლედ, გამომყვა. უცნაურია, დილიდან ღვინის გამოფენაზე ვბაირამობდით, სისხლის და ქარვისფერ ღვინოს ჭიქებში ვატრიალეზდით, ვყნოსავდით, ტუჩების წკლაპუნ-წკლაპუნით ვაჭაშნიკებდით, მერე კი ჩემი ახირების გამო სოლანდულელ ბაირამას გადავეყარეთ და ასე ბაირამ-ბაირამით მოვხვდით მუსლიმთა სასაფლაოზე. „ეხლა რა ვქნათ?“ – მეკითხება გია და დაბნეული იყურება გარშემო. ტაქსისტმა და ბაირამამ უკვე დაახვიეს და ვდგავართ ასე, ეულად, მსუბუქად შეზარხოშებულები, ვარსკვლავ-ნახევარმთვარიან საფლავის ქვებით გარშემორტყმულნი. „ემოდრაობთ!“ – იხტიბარს არ ვიტყვ და წინ მივდივარ, აპარატომარჯვებული. გია უკან მომყვება. შორიდან ვილაცის ქვითინი და უცნაური მოთქმა ისმის. წვიმას აპირებს.

„შვიდი-რვა თვე იქნება, აქ მოხვედრაზე ვოცნებობ!“ – ვამბობ გიას გასაგონად, – „იცოდი, აქ რომ მუსლიმთა სასაფლაო იყო?“ გია არაფერს მპასუხობს. ის ერთ-ერთი საფლავის ქვას დასცქერის. „მკერავი იყო!“ – მხოლოდ ამას ამბობს. საფლავის ქვაზე ვილაც ქალის პორტრეტი; პორტრეტის ქვემოთ კი საკერავი მანქანა. სიარულს ვაგრძელებთ. „აი, კიდე ერთი მკერავი!“ – ახლა მე ვეუბნები და რომელიღაც საფლავთან ვჩერდები. ქვაზე საკერავი მანქანის გარდა, მაკრატელიცაა. „უცნაურია, – ამბობს გია, – დააკვირდი, რომ ნახატები საფლავის ქვის ორივე მხარეზეა ამოტვიფრული?“ „აბა, ამას შეხედე, ექიმები იყვნენ ალბათ! – კიდე ერთ ქვაზე მივანიშნებ, რომელზეც ორი კაცის პორტრეტი, შუაში კი სტეტოსკოპი. „უკან, იცი, როგორ უნდა დავბრუნდეთ?“ – მეკითხება გია. „ჩაფაროვა ბალაგიზ მამმადჰალილ-გიზი“ – ვკითხულობ შემდეგ საფლავზე. „საკინა იბრაჰიმ-გიზი.“ – ამბობს გია და ამატებს, – „რალაც ოდნავ საბჭოთა სასაფლაოა, არა?“ ასე დავდივართ საფლავიდან საფლავზე და კანტი-კუნტი ფრაზებით ვარღვევთ სიჩუმეს. ვატყობ, ორივეს რალაც უცნაური მონინების და უხერხულობის შეგრძნება გვეპარება. თითქოს ყველაფერი ეს ჩვენი თვალისთვის არაა განკუთვნილი, – ეს საკერავი მანქანები და მაკრატლები, სტეტოსკოპები და ნახევარმთვარეები, დიდი ხნის წინათ გარდაცვლილთა ცხოვრების და სიკვდილის ამსახველი, ჭყეტელა ფერებში შესრულებული ძალიან ლამაზი, პრიმიტივისტული და ამავე დროს, ლამის



კომიქსური ნახატები, სადაც ვილაც ზღვის ტალღებს ებრძვის, ვილაც თავის მეგობართან ერთად ჩაცუტქულა კოცონის წინ, ვილაც თავისი შავი „ზიმის“ ფონზე დგას, ვილაცას კი ჭიქა მიაქვს ტუჩებთან. „ამის დამხატავს კი გაიცნობდა კაცი!“ – ვფიქრობ ჩემთვის, თან რომელიღაც საფლავის თავზე დახატულ ნუგბართი სავეს ხონჩებს ვათვალისწინებ. სწორედ ამ დროს ხედავ ვილაც შავებში ჩაცმულ ახალგაზრდას, რომელიც შორიდან გვადევნებს თვალყურს. მხოლოდ ახლალა ვაცნობიერებ, თუ რა უცნაურად გამოვიყურებით უცხო თვალისთვის მე და გია, – საფლავებს შორის მოხეტიალე ორი შუა ხნის მამაკაცი, ერთი შლაპაში და ფოტოაპარატით, მეორე კი გაჩეჩილი და შავი სათვალთ. „წავედით, არა?“ – ვეუბნები გიას.



სოლანლულის მუსლიმთა სასაფლაო

ფოტო ანა შილოვაძა

სასაფლაოდან გასულები იქვე შორია-ხლოს მოთამაშე ბავშვებს ვხედავთ და იქითკენ მივდივართ. ბავშვები სიცილ-სიცილით გარბიან, ჩვენს შესახვედრად კი ვილაც ქალი გამოდის. ოდნავი შიშით უყურებს ჩემს ფოტოაპარატს, თუმცა ზრდილობიანად გვესალმება და ვინაიდან ჩემს შეკითხვაზე პასუხი არა აქვს, ფაცი-ფუციტ შერბის სახლში და ხანში შესულ მამაკაცთან, მგონი მამასთან, ერთად გვიბრუნდება. რუსულად ვსაუბრობთ. „რაც თავი მასსოვს, ეს სასაფლაო აქ იყო,“ – მიყვება კაცი, – „ბევრი ჩვენი ცნობილი მოღვაწეა დასაფლავებული აქ.“ „ხო მოქმედი სასაფლაოა?“ – ეკითხება გია. „კი, მაგრამ ადგილები აღარაა!“ – პასუხობს კაცი, მერე კი მიყურებს და ღიმილით მეკითხება: „აქ რამ მოგიყვანათ?“

ცოტა ხანში მე და გია უკვე სოლანლულურ ლაბირინთში მივბიჯებთ, მთავარი გზის მიმართულებით. აქ თბილისი საერთოდ არ იგრძნობა. გაუცხოების შეგრძნებას კანტიკუნტი გამვლელები გვიძლიერებენ, ინტერესით რომ გვათვალისწინებენ და მერე კიდევ დიდხანს გვაყოლებენ თვალს. ყოველ ჭიშკარზე ალისფერი თავშალი ფრიალებს. გიას ეჭვი აქვს, რომ მათ რაღაც კავშირი აქვთ ქორწინების პირველ ღამესთან. ვილაც ურიკიანი ბიჭი ამ შეკითხვაზე ვერ გვპასუხობს, სამაგიეროდ რამოდენიმე მეტრში, თავისი ეზოს წინ სკამზე ჩამომჯდარი მოხუცი ქალი გვიღიმი და შეკითხვასაც ღიმილით პასუხობს: „ქორწილია, ქორწილი! ფფიცავ!“ „ხომ გეუბნებოდი!“ – უხარია გიას. გზას ვაგრძელებთ.

„თქვენ ისინი არა ხართ, სასაფლაოს რომ ეძებდით?“ – გვეკითხება უკვე ლამის გზაზე გასულს ჭარმაგი კაცი. ის თავის მეგობართან ერთად გზის პირას ზის. გარჩეულ სიმიწდს ყიდიან. მეორეს პირი ოქროს კბილებით აქვს გამოტენილი. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ აქ უკვე ყველამ ყველაფერი იცის ჩვენ შესახებ. ბაირამაც აქედან ავიყვანეთ. „სასაფლაოს ნახვა რაში დაგჭირდათ?“ ვუხსნი. ჩემი პასუხი ახარებს. „ჰოდა, თუ ასეა, ბარემ ისიც ასხენე, რომ მიცვალებულებს ველარ ვასაფლავებთ!“ – მეუბნება სინანულით. „რას ჰქვია, ვერ ასაფლავებთ?“ „ადგილები აღარაა ამ სასაფლაოზე,“ – მპასუხობს. – „ყოველი დაკრძალვა ტანჯვა-წამებაა ჩვენთვის. ღმერთმა არ ქნას, რომელიმე ოჯახში ორი-სამი თვის განმავლობაში ოჯახის რამდენიმე წევრი წავიდეს! გათეთრებულები ვბრუნდებით ხოლმე ასეთი დაკრძალვებიდან. ამოვთხრით ნახევრადგახრწნილ გვამს, დავასვენებთ ზემოდან ახალ მიცვალებულს და მივაყრით მინას ისევ!“ „ჰო, ასეა,“ – ამატებს ოქროსკბილებიანი, – „კარგია თუ დიდი ხნის მიცვალებულია; მაშინ მივანყობთ ძვლებს გვერდზე და ჩავასვენებთ მიცვალებულს.“ „ერთმანეთზე აწყვია ჩვენი მიცვალებულები,“ – აგრძელებს პირველი, – „ვის არ მივმართეთ, ვის არ ვთხოვეთ, მაგრამ რად გინდა, მაინც ერთმანეთზე ვანყობთ ჩვენ მკვდრებს!“ – შემომხედა, – „ხომ დაწერ ამას?“

წვიმა მაშინ იწყებს, როდესაც სოლანლულის საკმაოდ მოზრდილგუმბათიანი მეჩეთიდან გამოვდივართ. იქ ბევრი ვერაფერი ვნახეთ, რადგანაც მეჩეთში რემონტი მიდის. ერთ თვეში მოდიოთ, ზრდილობიანად დაგვპატიჟეს გახსნაზე. ისევ ვინრო ქუჩაზე მივბიჯებთ მე და გია, ისევ მთავარი გზის მიმართულებით. უხმოდ. ერთ-ერთი ეზოდან ვილაც კაცი გამოდის. მისი ჭიშკრის თავზე ისევ ის წითელი თავშალი. „ეს რისთვისაა? – ვეკითხები ისე, ყოველი შემთხვევისათვის. „სოფელში ქორწილია!“ – ღიმილით მპასუხობს, გვათვალისწინებს და გვეკითხება: „აქ რას აკეთებთ?“

ისევ ბნატეხი



გიორგი აბზელდიანი

კი, ერთი კვირა გავიდა, რაც ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალი გაიმართა და იქ ლეო მესიმ და მისმა ამხანაგებმა მორიგი კონცერტი ჩაატარეს უემბლის სტადიონზე. ეს ალბათ მოსალოდნელიც იყო, მიუხედავად იმისა, რომ „ბარსელონას“ მეტოქედ არცთუ ჩვეულებრივი და არცთუ იოლი „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჰყავდა. მაგრამ მთავარი საფეხბურთო ამბები მაინც ციურისში ტრიალებდა, სადაც „ფიფას“ პრეზიდენტის არჩევნები მზადდებოდა და სადაც უკვე მეოთხედ აირჩიეს ზეპ ბლატერი.

ბლატერის ეს არჩევნები იმით იყო გამორჩეული, რომ მან ადრევე მოფერთხა შესაძლო კონკურენტები და საარჩევნო ბიულეტენში მხოლოდ მისი გვარი ეწერა.

„ფიფასთან“ დაპირისპირებულმა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ სცადა, არჩევნები ან გადაეტანა, ან როგორღაც შეეჩერებინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და დარჩა დამარცხებული. საერთოდ, „ფიფა“ ისეთი ორგანიზაციაა, რომ, მისი პრეზიდენტები დიდი ხნით რჩებიან სავარძელში. ასე იყო სტენლი როუზი, და ასე იყო ჟოაო აველანჟი. ჰოდა, ასევეა ბლატერიც.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია კი „ფიფაზე“ გულაყრილი მას შემდეგ არის, რაც მსოფლიო ჩემპიონატის სამასპინძლო საგზური უმოწყალოდ წააგო და როგორც ამბობენ, პირშავად იქნა მოტყუებული „ფიფას“ რიგ დიდმოხელეთა მიერ, რომლებიც ინგლისელებს ხმის მიცემას აღუთქვამდნენ, რუსეთი კი აირჩიეს. მგონი, ინგლისელთა გარდა, მთელმა მსოფლიომ იცოდა, რომ საგზურს რუსეთი მოიგებდა.

ამას ისიც დაერთო, რომ „ფიფაში“ მორიგი კორუფციული სკანდალები აგორდა და მთელი გაზაფხული, ინგლისური პრესა სწორედ „ფიფას“ დიდმოხელეების უპატიოსნო მოთხოვნებსა და საქმეებზე წერდა. „ფიფას“ მძლე ფიგურები მსოფლიოს სულ სხვადასხვა კუთხიდან, სულ ნაირგვარ უნამუსობებში ამხილეს.

მაგრამ ინგლისელთა აღტკინებას და პატიოსნებისთვის ბრძოლას მხარი არავინ დაუჭირა. როგორც ახლა თავად ინგლისელები ამბობენ, ინგლისი კიდევ ერთხელ გაამარგინალა „ფიფამ“.

ბლატერის მთავარი კონკურენტი, აზიის ფეხბურთის თავკაცი, მუჰამედ ბინ ჰამამი ადრევე გამოეთიშა საპრეზიდენტო რბოლას, რახანლა კორუფციაში იქნა მხილებული და რამდენიც არ უნდა ფანტო ასეთი ეჭვები არჩევნების წინ, არაფერი გამოვიდა.



ზეპ ბლატერი

არჩევის შემდეგ ბლატერმა დიდსულოვნად განაცხადა, რომ არაფერს ერჩის ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას, თუმცა კი უკვირდა მისი ამგვარი საქციელი, მაგრამ „ფიფა“ ხომ მაინც ერთი ოჯახია და ინგლისიც ამ ოჯახის ისეთივე წევრია, როგორც სხვები.

არჩევის მიუხედავად, ბლატერს ბევრ შეკითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა. ის ახლა თავად აღიარებს, რომ ერთ კონგრესზე მსოფლიოს ორი მომავალი ჩემპიონატის მასპინძლის არჩევა შეცდომა იყო. მასპინძლობის უფლება ხომ რუსეთმა (2018) და კატარმა (2022) ერთ დღეს მიიღეს.

ბევრი განსაკუთრებით შეაშფოთა, არა მხოლოდ ორმაგმა არჩევნებმა, არამედ კატარის გამარჯვებამაც. გერმანიის ფეხბურთის ფედერაცია ჯერ კიდევ ბლატერის ახლანდელ გამარჯვებამდე ითხოვდა კატარის საქმის გამოძიებას. ჰოდა, ახლა ხელახლა არჩეულ ბლატერს ხელახალი პასუხების გაცემა მოუწევს, თუმცა ეს პასუხები ახლა უკვე სულ სხვაგვარი იქნება. ახალარჩეულს საქმე ყოველთვის გაიოლებული აქვს.

„ფიფა“ კიდევ ასეთია – თავის საქმეში გარემუს არავის რევეს და შიგნით კი გვარიანად ხდება ისეთი ამბები, რისთვისაც სხვაგან იოლად ვერ დაიძვრენ თავს.

„ბარსელონა“ კი მაგარი! 📌



თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი
გორი, ქარელი, საშური
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

FM 105.5

FM 103.0

FM 104.5

FM 101.0

FM 101.9



WWW.LIBERALI.GE

